წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგის 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 8—48.

დ ღ ი უ რ ი

- ბრიანისა და მუსოლინის შეხვედრა არ მოხდება.
- ტანჟერში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა.
- ბრაზილიაში რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო.
- ქურთ აჯანყებულთა მეთაური სიმკო პატიებას თხოვს სპარსეთის მთავრობას.
- პროვოკატორ ვიტკოვსკის მკვლელს—19 წლის [illegible] ვარშავაში 13 წლის კატორღა მიუსაჯეს.
- ავსტრიაში ნახშირის დიდი კრიზისია.
- ამერიკაში ბელგიამ ასი მილიონი დოლარი მიიღო სესხად.
- გაიხსნა მექსიკისა და ევროპის ზოგიერთი ქვეყნების პროფმოძრაობის ხელმძღვანელთა (რეფორმისტების) კონფერენცია

პარასკევი, 29 ოქტომბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 247 (1792)

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენცია

მესამე და მეოთხე სხდომა

პირდაპირი მავთულით

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან

28 ოქტომბერს დღის და საღამოს სხდომებზე. სწარმოებდა კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჩუბარმა, მილიუტინმა, ლარინმა, სირცოვმა, სულიმოვმა. გოლოშჩეკინმა, კრინიცკიმ, კალიგინმა, რუხიმოვიჩმა, იაკოვლევმა, ლუნაჩარსკიმ, უხანოვმა, ლიუბიმოვმა და სხვ.

ამხ. ჩუბარი ლაპარაკობს „ზე - ინდუსტრიალიზაციის" იდეოლოგების—ოპოზიციონერების შეხედულებათა უსაფუძვლობაზე საერთოდ და კერძოდ უკრაინაში. ამხ. რიკოვის მიერ საკითხის გარკვევით დაყენებისა, განაგრძობს ორატორი და სწორი ანალიზის წინააღმდეგ საეჭვოა, რომ მე-15 პარტკონფერენციაზე ადგილი ექნეს ეკონომიურ საკითხების შესახებ ოპოზიციის შეხედულებათა პრინციპიალურ დაცვას, ამავე დროს კი პარტიისთვის მთლიანად სასარგებლო იქნებოდა მოგვესმინა რაიმე აზრიანი და დადებითი ოპოზიციის მხრით.

ამხ. ლარინი აღნიშნავს, რომ ოპოზიციის გამოსვლა არის ბურჟუაზიული გარემოცვის ანარეკლი, რაც იწვევს იდეურ მერყეობასა და ბორძიკს. ოპოზიცია დამარცხდა. მაგრამ იმისათვის, რომ მიწაზე განართხმული ოპოზიცია კვლავ არ წამოდგეს, ამხ. ლარინის აზრით, საჭიროა სამი ამოცანის გადაჭრა: ყურადღების გაძლიერება იმ ბურჟუაზიული გარემოცვისაგან თავდასაცავად, რომლის მსხვერპლიც გახდა ოპოზიცია, ნაკლულევანებათა და სწორი ხაზის დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება (ვინაიდან ოპოზიციასთან ბრძოლა ასუსტებდა პარტიის ყურადღებას ამ ამოცანისადმი) და ყურადღების გადატანა ოპოზიციის მიერ წამოყენებულ მოჩვენებითი ამოცანებიდან რეალურ ამოცანებზე.

ამხ. ლუნაჩარსკი თავის საინტერესო და საქმიან სიტყვაში, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით ეხება საერთო კულტურულ და ტეხნიკურ დონის აწევისა და ინდუსტრიის მშენებელთა კადრის აღზრდის საკითხს. ამხ. ლუნაჩარსკი აქვეყნებს ზოგიერთ მეცნიერთა შეხედულებებს, რომლებიც თანაგრძობით უყურებენ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის მუშაობას და მიმართავს კონფერენციას მეტი ყურადღება მიაქციოს კულტურულ და მეცნიერულ ძალებს და განათლების სახ. კომისარიატს, რომლებიც მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესის განვითარებას.

არც ერთ ოპოზიციონერს არ გამოუთქვამს აგრეთვე თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ, თუმცა ეკონომიური პოლიტიკის შესახებ ნაწილობრივი დისკუსიის დროს, პარტიაზე იერიშები მიიტანა ოპოზიციამ, რომელმაც განავითარა თავისი საკუთარი სამეურნეო პლატფორმა. კონფერენციაზე ამ პლატფორმამ ვერ ნახა დამცველები.

როგორც საერთაშორისო პოლიტიკის, ისე სამეურნეო საკითხების შესახებ ოპოზიციონერებს თავისი აზრი არ გამოუთქვამთ.

მათ გამოსვლას მოველით ამხ. სტალინის მოხსენების ირგვლივ. დღეს, პარასკევს 29 ოქტომბერს, მოსმენილი იქნება ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა და ამხ. ტომსკის მოხსენება.

მიხ. კახიანი.

მოსკოვი, 29 ოქტომბერი.
მიღებულია დილის 5-ნახევ. საათზე.

კაპიტალიზმის ძალები და რევოლიუცია

(„პრავდა"-ს მოწინავე)

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ლენინელთა საბჭომ—სრულიად საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15-ტე კონფერენციამ მესამე დღეა, რაც მოისმინა ამხ. ბუხარინის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, რომელიც დაბეჭდილია ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.

გარკვეული ლენინური ანალიზი იმისი, თუ რას წარმოადგენს საერთაშორისო იმპერიალიზმი მისი განვითარების თანამედროვე ფაზისში, მთელი მისი კონკრეტულობით და წინააღმდეგობათა სრული მოცულობით, დღევანდელი პერიოდის მიერ წამოყენებული პრობლემათა გაშუქება და შემდგომი ბრძოლისათვის გზების დასახვა, სავსებით სავალდებულოა ჩვენი პარტიისათვის და მთელი კომუნისტური ინტერნაციონალისათვის. ანალიზი იმისი, რაც წარმოადგენს კლასიური მტრის ძალების და საერთაშორისო კომუნიზმის ძალების შეფასებას, აუცილებელია, მოსალოდნელი პერსპექტივების წინასწარ გასათვალისწინებლად და სწორი რევოლიუციონური ტაქტიკის დასასახავად, იმისათვის, რომ მსოფლიო რევოლიუციის შტაბმა შესძლოს სწორი დირექტივების მიცემა ბრძოლისა და რევოლიუციონური მოქმედებისათვის.

ჩვენს პარტიასაც და კომინტერნსაც უნდა ჰქონდეს ზედმიწევნითი სისწორით გარკვეული მეცნიერული წარმოდგენა საერთაშორისო მდგომარეობის ცენტრალურ საკითხზე—კაპიტალიზმის სტაბილიზაციის შესახებ. აქ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ასეთი იმპრესიონისტული განმარტებებით, თითქოს დღევანდელი სტაბილიზაცია კლდესავით ურყევი და მტკიცე იყოს, ხოლო ხვალ კი სტაბილიზაციის ფაქტის არსებობა ერთი კალმის მოსმით „უარყოფილი იქნეს", აქ საჭიროა სინამდვილის ფხიზელი მარქსისტული ასახვა. ამხ. ბუხარინის მოხსენებაში მოცემულია სტაბილიზაციის სრული დახასიათება, გამოაშკარავებულია მთელი მისი პირობითი, არა მტკიცე და შედარებითი ხასიათი, გამოაშკარავებულია მთელი მისი ისტორიული წინააღმდეგობა.

სტაბილიზაცია არსებობს, კაპიტალიზმის საწარმოო ძალები ასე თუ ისე აღდგენის პროცესს განიცდიან, მაგრამ ეს აღდგენა დიდი უთანაბრობით ხდება ცალკე ქვეყნების მიხედვით. იზრდება, თუმცა ნელა, მსოფლიო წარმოება და მსოფლიო ვაჭრობა, მაგრამ ეს ზრდა სწარმოებს მეტად ავადმყოფურ ფორმებში. აღდგენას, თითქმის ყოველ ორ წელიწადში, თან მოსდევს დაცემა, ნაცვლად დიდი კაპიტალისტური ციკლებისა —აყვავების ხანგრძლივი პერიოდებით, ამჟამად ჩვენ გვაქვს კაპიტალისტური განვითარების თავისებური „ციებ-ცხელებიანი" მრუდე. ძლივს-ძლივობით კაპიტალიზმი წინ მიდის, მაგრამ თანდათან იზრდება შეუფარდებლობა საწარმოო აპარატსა და მის დატვირთვის შორის.

სტაბილიზაცია არსებობს, მაგრამ იგი განსაკუთრებული სიმწვავით ახალ საფუძველზე აყენებს ბაზრების პრობლემას. სტაბილიზაცია ხორციელდება მასსების განადგურების, წვრილ-ბურჟუაზიულ ფენების ექსპროპრიაციის და პროლეტარიატის შევიწროების ე. ი. გასასაღებელი ბაზრების შეზღუდვის საშუალებით, რაც იწვევს თვით კაპიტალისტური განვითარების შეფერხებას. ამჟამად ევროპაში მიმდინარეობს რაციონალიზატორული ეპოპეია, მაგრამ მასსების მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად, მათი მდგომარეობა სისტემატიურად უარესდება, ხელფასის დონე მეტად მერყევია და მილიონ პროლეტარებს—წარმოებათა მკვიდრ მუშებს ქუჩაში ერეკებიან (განსაკუთრებით გერმანიაში).

საერთაშორისო კაპიტალიზმის შენგრეულ ციხე-სიმაგრეს სცემს აღმოსავლეთის რევოლიუციონური მოძრაობის მძლავრი ტალღა. ჩინეთის რევოლიუცია, რომელსაც საერთაშორისო ოპორტუნიზმის საჭურისებმა დიდი ხანია სულთათანა უგალობეს და 1849 წლის შავი ხვედრი უწინასწარმეტყველეს, არა თუ სცოცხლობს, არამედ დღესასწაულობს თავის სახელოვან გამარჯვებებს. გაძლიერებული რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც გადუხვევლად მისდევს რა თავის ძირითად მიზანს—უცხოეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, სულ ახალ და ახალ ძალებს იკრეფს, ფეხზე აყენებს გლეხთა მარქაფო ძალებს და თავის წინაშე აყენებს უკვე ახალ დამატებით ამოცანებს და, პირველ ყოვლისა, აგრარულ-გლეხური საკითხის გადაწყვეტას. მიუხედავათ სტაბილიზაციისა, და წინააღმდეგ სტაბილიზაციისა, მიუხედავათ სოციალურ რეფორმისტულ ბელადების მისნური წინასწარმეტყველებისა, ინტერნაციონალური და კლასობრივი ბრძოლა არ ცხრება. სტაბილიზაციის წინააღმდეგობანი იზრდებიან, კლასობრივ ბრძოლას ემჩნევა ტენდენცია გაძლიერებისაკენ, კაპიტალიზმის გაათფთრებული იერიშები იწვევენ პროლეტარიატის კონტრიერიშებს, და ყველგან სწარმოებს უხმო ბრძოლა კაპიტალისა და შრომის შორის.

ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვა, გარევოლიუციონერებული ჩინეთი და საბჭოთა კავშირი საბედისწერო ნიშნად მოსჩანს სტაბილიზაციის პროცესში მყოფ კაპიტალიზმის შუბლზე.

ამ სამი ძალიდან სტაბილიზაციის დაუძლეველნი წინააღმდეგობანი ღებულობენ მეტად გარკვეულ და აშკარა ფორმას. ამ სამს რევოლიუციონურ ნაკადში: ბრიტანელი მემაღაროეს შეტევაში, სოციალიზმის მშენებელ საბჭოთა პროლეტარის ჩაქუჩის ცემაში და იარაღის ჩხარუნში იანცი-ციანის ნაპირებზე ისმის მსოფლიო რევოლიუციის აუცილებელი გამარჯვების ხმა.

კომინტერნის ყველა სექციები მომზადებულნი უნდა იქნენ მომავალი ბრძოლებისათვის. ყველა კომპარტიებმა უნდა გაათკეცონ თავისი ენერგია მასსების მობილიზაციის საქმეში.

ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატიული მუშების მუდმივი, სისტემატიური გადმოყვანა კომუნიზმის მხარეზე, გაცხოველებული მუშაობა ყველა პროლეტარულ ორგანიზაციებში, პირველ ყოვლისა და ყველაზე მეტად, პროფკავშირებში, ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გონივრული გატარება, საპროპაგანდო და საავიტაციო მუშაობა—წინანდებურათ რჩება კომპარტიის მიმდინარე ამოცანებად.

საჭიროა უცხოეთის კომპარტიების ბოლშევიზაციის საბოლოო გატარება და მათი ხელმძღვანელობის ბოლშევიზაცია. საჭიროა უფრო მეტად, ვიდრე აქამდე, კომინტერნის სექც. გამოცოცხლება, მათი უფრო მეტად ჩაბმა კომინტერნის სახელმძღვანელო მუშაობაში. საჭიროა მალე მოეღოს ბოლო ულტრა-მემარჯვენე და ულტრა-მემარცხენე გადახრებს, საჭიროა ყველგან და ყველა პარტიებში მტკიცე ბოლშევიკური დისციპლინის შემოღება. კომუნიზმსა და სოციალ-დემოკრატიის შუა მოქანავე ინტელიგენტები რევოლიუციისათვის საჭირო არ არიან. კომინტერნი საქმეს გააკეთებს უმათოდაც. ს. კ. პ. (ბ) ოპოზიციის იდეურ-პოლიტიკური გაკოტრება, ოპოზიციის, რომელსაც უკან მიჰყვებოდა მთელი ულტრა-მემარცხენე ბოგემა,—გახდება ყველა ანტი-ბოლშევიკური გადახრების პოლიტიკური იზოლიაციის სრული აღმოფხვრის ნიშნად კომინტერნში.

(გადმოცემულია ტელეგრაფით).

მოსკოვი, 28 ოქტომბერი.

ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა და პარტიის ამოცანები

ამხ. ა. ი. რიკოვის თეზისები მე-15 პარტკონფერენციისათვის მოწონებული საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტბიუროს მიერ

შესავალი

ის უდიდესი ისტორიული ამოცანა სოციალისტური საზოგადოების აღმშენებლობისა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის წინაშე სდგას, მოითხოვს რომ პარტიამ, სახელმწიფომ და მუშათა კლასმა მთელი ძალ-ღონე სამრეწველო-სამეურნეო პოლიტიკის საკითხების გადაჭრას მოანდომოს.

იმ მძიმე პირობებში, რომელთაც ჰქმნის მსოფლიო კაპიტალიზმის გარემოცვა, საბჭოთა კავშირის ტეხნიკური და ეკონომიური ჩამორჩენა, სხვადასხვა სოციალ-ეკონომიურ წყობათა ჭრელი ურთიერთობა, მძაფრი ბრძოლა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტებისა როგორც სოფლად, ისე ქალაქად,—აუცილებლად საჭიროა სამეურნეო განვითარების მამოძრავებელი ძალების ფხიზელი ანგარიში და სახელმწიფოს მტკიცე, მოქნილი და დროს შესაფერი შემოქმედება მთელი ქვეყნის ეკონომიკაზე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მისი გეგმაშეწონილი მსვლელობა სოციალიზმისკენ.

სოციალისტური აღმშენებლობის წარმატების ძირითად წინასწარ პირობას წარმოადგენს მსხვილი სოციალისტური მრეწველობის ჰეგემონიის განმტკიცება ქვეყნის ეკონომიკაში, აგრეთვე, უწინარეს ყოვლისა, მისი ხელმძღვანელი და სოციალისტურად გარდამქმნელი როლი გლეხკაცობის მეურნეობის მიმართ, ბოლოს პროლეტარიატის რიცხვისა და აქტივობის ზრდა და მუშათა კლასის კავშირის განმტკიცება გლეხკაცობის ძირითად მასასთან.

ქვეყნის მწარმოებელ ძალების განვითარება, რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვლილ წლებში ხდებოდა, სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის უფრო ჩქარი ზრდა კერძო კაპიტალისტურთან შედარებით, ოპოზიციის შეხედულებათა საუკეთესო გაბათილებას წარმოადგენენ, მიტომ რომ ოპოზიცია სამრეწველო-სამეურნეო აღმშენებლობის პირველი ნაბიჯების სიძნელეებისა და დაბრკოლებებში საბუთს ხედავს სოციალიზმის ძლევამოსილი აღმშენებლობის წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით საერთოდ შესრულებულია უზარმაზარი შრომა სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. აღდგენითი პერიოდი საერთოდ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. ახლა სახალხო მეურნეობა შედის თავის განვითარების ახალ პერიოდში,—ეს არის პერიოდი მრეწველობა-მეურნეობის გარდაქმნის ახალი, უფრო მაღალი ტეხნიკის საფუძველზე.

აღდგენითი პროცესის უმთავრესი შედეგებია იმ მბრძანებელი ეკონომიური მწვერვალების ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფა, რომელიც პროლეტარიატის ხელშია, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების და რკინის გზის ტრანსპორტის აღდგენა ომის წინადროინდელ ფარგლებში, კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის მიერ გადამწყვეტი როლის შეძენა საქონლის ალებ-მიცემობის დარგში, მტკიცე ვალიუტის დამყარება და კრედიტის სისტემის აშენება ახალ საფუძველზე.

I. მეურნეობის ახალ ტეხნიკურ საფუძველზე გადახალისების პერიოდი და ინდუსტრიალიზაციის ტემპი

აღდგენითი პერიოდის დამთავრების შემდეგ, სახალხო მეურნეობის მომავალი განვითარება ებჯინება ბურჟუაზიული საზოგადოებიდან მემკვიდრეობით მიღებული საწარმოო-ტეხნიკური საფუძვლის ნაკლულოვანებასა და ჩამორჩენილობას. სახალხო მეურნეობა იმ ზოლში შედის, როცა მისი განვითარების ტემპი საგრძნობლად ნელდება წარსულ წლებთან შედარებით.

სრულიად უმართებულოა პორაჟენცული იდეოლოგია, რომელმაც თავი იჩინა ოპოზიციის გამოსვლებში; ოპოზიცია ამ ტემპის განელებას ინდუსტრიალიზაციის გაბათილებათ და პროლეტარიატის დიქტატურის საფრთხეთ სთვლის. ეს იდეოლოგია ანგარიშს არ ეწევს იმ გარემოებას, რომ ინდუსტრიის განვითარება გაფართოებული ძირითადი კაპიტალის (ახალი კაპიტალური აღმშენებლობის) საფუძველზე ვერასოდეს ვერ წავა ისეთი სიჩქარით, როგორითაც მრეწველობის განვითარება ძველს საფუძველზე მიდიოდა უკანასკნელი წლების აღდგენითი პერიოდში. მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს სპეციფიური პირობები მრეწველობისათვის უზრუნველყოფენ უფრო ჩქარი განვითარების ტემპს, ვიდრე კაპიტალისტური სახელმწიფოს პირობები.

მრეწველობის შემდგომი განვითარების წინასწარ პირობას ძირითადი კაპიტალის გაფართოება წარმოადგენს. პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ძალ-ღონე, უწინარეს ყოვლისა, იქით უნდა იქნას მიმართული, რომ უზრუნველყოფილ იქმნას ძირითადი კაპიტალის ისეთი გაფართოება, რომელიც შესაძლებლად გახდიდა მთელი სახალხო მეურნეობის გადატანას ახალ, უმაღლეს ტეხნიკურ საფუძველზე. უნდა ვეცადოთ, რომ შედარებით მოკლე ისტორიულ ვადაში დავეწიოთ და შემდეგ კიდეც გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიალურ განვითარებას. ამის მიღწევა დამოკიდებულია დაგროვების ტემპზე სახალხო მეურნეობაში და იმ სალარზე, რომელიც მას შეუძლია გამოჰყოს ინდუსტრიალიზაციის ამოცანების გადასაწყვეტად.

ინდუსტრიალიზაციის პირველი საფეხურის ერთი დამახასიათებელი თვისება და ამასთანავე ერთი უმთავრესი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალური აღმშენებლობის ხარჯები სახალხო მეურნეობას უდიდეს მოთხოვნილებებს უყენებენ, ხოლო ახალი აღმშენებლობის შედეგები ე. ი. ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების პროდუქცია, უფრო კარგი ხარისხის და უფრო იაფი ნაწარმოები ბაზარზე გვიან გამოვა, ზოგიერ შემთხვევაში რამდენიმე წლის შემდეგ.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი მომავალში არ გაუსწრებს ომის წინადროინდელ ტემპს ან კიდევ მასზე ნელი იქნება. ასეთი შეხედულება ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ სამრეწველო აღმშენებლობის გეგმის განხორციელების მიხედვით ახალი და ახალი შესაძლებლობა იხსნება განვითარების ტემპის შემდგომი გაძლიერებისათვის როგორც სასოფლო მეურნეობაში, ისე მრეწველობაში, უფრო დიდი პერსპექტივები იშლება საბჭოთა კავშირის შინაგანი რესურსების გამოსაყენებლად. ასეთი შეხედულება ანგარიშს არ უწევს აგრეთვე იმ ძირითად ცვლილებებს, რომელიც საბჭოთა კავშირის მეურნეობაში მოხდა და რომელიც მას კაპიტალისტური ქვეყნების მეურნეობისგან ანსხვავებს. ეს განსხვავება, რომელიც უწინარეს ყოვლისა, წარმოების ძირითად საშუალებათა კერძო საკუთრების მოსპობაში გამოიხატებოდა და მთელი მეურნეობის გეგმიან ხელმძღვანელობაში, მეურნეობის შემდგომ განვითარების მიხედვით, თანდათან უზარმაზარ უპირატესობათ იქცევა, რაიცა განვითარების ჩქარ ტემპს უზრუნველჰყოფს ომის წინადროინდელ და კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების ტემპთან შედარებით.

ამ უპირატესობათა რეალიზაცია პრაქტიკულ აღმშენებლობაში პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პერიოდში. ყველა შესაძლებლობათა რაციონალური და გეგმაშეწონილი გამოყენება სახალხო მეურნეობაში უზრუნველჰყოფს საკმაოთ მნიშვნელოვანი განვითარების ტემპის შენარჩუნებას, სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული ნაწილის ზრდას წლითი წლამდე და პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას ჩვენს ქვეყანაში.

II. დაგროვების წყაროები

ძირითადი კაპიტალის გაფართოების ტემპი დამოკიდებულ იქნება:

ა) ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობის დაგროვების სიდიდეზე;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტით სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემოსავლის გამოყენებაზე;

გ) მოსახლეობის მოჭარბებულ თანხების გამოყენებაზე მათი მიზიდვით კოოპერაციაში, შემნახველ კასებში, შინაგან სახელმწიფო სესხში, საკრედიტო სისტემაში და სხ.

მრეწველობის გაფართოებული დაგროვების პროცესი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, უწინარეს ყოვლისა, ინდუსტრიაში იმ ზედმეტი პროდუქტის ახალი მასების მოთავსებით, რომელიც იქმნება თვით მრეწველობის შიგნით. მრეწველობის შიგნი დაგროვების გასადიდებლად უმთავრეს პირობებს წარმოადგენს: ზედნადებ ხარჯების გადაჭრით აღმოფხვრა, კაპიტალის ბრუნვის დაჩქარება, მრეწველობის რაციონალიზაცია, ტეხნიკის ახალ მიღწევების გამოყენება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და შრომის დისციპლინის აწევა.

მაგრამ, როგორც არ უნდა იზრდებოდეს მრეწველობის შიგნი დაგროვება, ის, ყოველ შემთხვევაში, მახლობელ პერიოდის მანძილზე მაინც არ იქნება საკმაო ინდუსტრიის განვითარების აუცილებელ ტემპის უზრუნველსაყოფად. ამიტომ მრეწველობის შემდგომი გაშლა საგრძნობლად იქნება დამოკიდებული იმ დამატებით საშუალებებზე, რომლებიც საჭირო იქნება მრეწველობის მშენებლობისთვის.

სახალხო შემოსავლის განაწილების ერთ-ერთ მთავარ იარაღს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი. კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ინტერესები სრული გამოხატულება უნდა ჰპოვონ. ბიუჯეტის გასავლის ნაწილში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სათანადო ასიგნობები მრეწველობაზე, ელექტროფიკაციაზე და სხ.

ინდუსტრიალიზაციის ინტერესები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირველ რიგში საექსპორტო-საიმპორტო გეგმის შედგენის დროსაც (საწარმოო იარაღების იმპორტის ზრდა, მოხმარების საშუალებათა იმპორტის შემცირებით).

კონფერენცია აღიარებს, რომ აქამდე არ ყოფილა მიღებული რამდენათმე მაინც სერიოზული ღონისძიებანი მოსახლეობაში დაგროვილ საშუალებათა მისაზიდათ კოოპერაციაში, შემნახველ კასებში, სესხში დ სხ. მოსახლეობის საერთო კეთილდღეობის ზრდასთან ერთად კოოპერატიულ და საკრედიტო დაწესებულებების საშუალებით მოსახლეობის ამ ზედმეტი მარაგის გამოყენებამ უნდა მიიღოს სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა, როგორც მეურნეობის განვითარების ერთ-ერთმა წყარომ.

კონფერენცია კატეგორიულად გმობს ოპოზიციის შეხედულებას ინდუსტრიალიზაციის გატარების აუცილებლობის შესახებ სოფლის ისეთი დაბეგვრით და ფასების ისეთი პოლიტიკით, რომლებიც უსათუოდ მიგვიყვანდა სასოფლო მეურნეობის განვითარების შეჩერებამდე, შეამცირებდენ მრეწველობისთვის საჭირო ნედლი მასალის წყაროებს და მრეწველობის პროდუქციის გასასაღებელ ბაზარს, რაც აუცილებლად გამოიწვევდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის სწრაფ დაცემას.

III. მომჭირნეობის რეჟიმი და ახალი ამოცანები მმართველობის დარგში

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელება შეუძლებელია, თუ მომჭირნეობის რეჟიმი მტკიცედ და გადაუხრელად არ იქნა გატარებული. მთელი პარტიისა და ყველა საბჭოთა ორგანოების ყურადღება იქეთკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ ბოლო მოეღოს ყოველგვარ ზედმეტ და უნაყოფო ხარჯებს.

მომჭირნეობის რეჟიმის სწორად და წარმატებით ჩატარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ამ საქმეში მუშათა ფართო მასების მონაწილეობის მიღება. მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელებას შეუძლია და უნდა შესძლოს კიდეც საგრძნობი საშუალებების შენახვა მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე. კონფერენცია აღნიშნავს, რომ მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების დროს ადგილი ქონდა პარტიის დირექტივების დამახინჯებას, რაც მუშათა კლასის საარსებო ინტერესების ხარჯზე მომჭირნეობის განხორციელების ცდაში გამოიხატა. საჭიროა სასტიკი ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის ასეთი დამახინჯების წინააღმდეგ და ამ მიმართულებით ყოველგვარი ცდის ძირიანად აღმოფხვრა.

მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელების დროს მიღწეულ უნდა იქნეს გადამჭრელი წარმატება როგორც სამეურნეო ხარჯზე, ისე სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ორგანოების შტატების შემცირებაში, ამ ჟამად არსებულ მეტად დიდი ზედნადები ხარჯების მაქსიმალურად შემცირებაში, მმართველობის მთელი სისტემის რაციონალიზაციაში და ბიუროკრატიზმთან გადამწყვეტ ბრძოლაში. ბიუროკრატიზმი წარმოადგენდა უდიდეს ბოროტებას საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე. ეს ბოროტება უფრო საშიში ხდება ამ ჟამად, როცა ქვეყანამ მთელი სამეურნეო ცხოვრების გარდაქმნას მოჰკიდა ხელი. ბიუროკრატიული აპარატის სიძვირე, მშენებლობის გადაუდებელ საკითხების არაჩვეულებრივი გაჭიანურება, ხშირად პარტიისა და სახელმწიფო ხელისუფლების დირექტივების დამახინჯება წარმოადგენენ სერიოზულ დაბრკოლებებს შემდგომი მშენებლობის გზაზე.

ახალ სამეურნეო ამოცანებთან შეფარდებით არ კმარა მარტო ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატის წვრილმანი ნაკლის გამოსწორება, არამედ უნდა დაისვას მმართველობის აპარატის მთელი სისტემის გადასინჯვის საკითხი მისი მაქსიმალურად გამარტივებისა და გაიაფების მიზნით.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდგომი 9 წლის მანძილზე შეიქმნა წარმოების საქონლის გამტარებელ ქსელის, საკრედიტო ორგანოების და სხ. ორგანიზაციის მეტად რთული სისტემა. ამ სისტემის სხვადასხვა საფეხურები ხშირად სტიქიურად აღმოცენებულა. მათი მოქმედების წრე განსაზღვრული იყო სულ სხვა სამეურნეო მდგომარეობისთვის. სახელმწიფოსა და სახალხო მეურნეობის წინაშე ახლად წამოჭრილი ამოცანები ხშირად ვერ პოულობენ ამ ორგანოებში საჭირო დასაყრდენ საფუძველს. ცენტრალიზაციის პრინციპის განხორციელება, რაც აუცილებელია გეგმაშეწონილ, მოწყობილ მეურნეობისათვის, ამ ჟამად ტარდება იმავე მეთოდებით, რომლებიც საჭირო იყო საბჭოთა მეურნეობის მოწყობის პირველ პერიოდში, მაგრამ რომლებიც ეხლა უკვე დაძველებულია. თვით ორგანოების შიგნით არ არის საკმაოდ გატარებული შრომის ზედმიწევნით განაწილებისა და პასუხისმგებლობის პრინციპი, როგორც ამ ორგანოებს ცალკე ნაწილებს შორის, ისე ცალკე მუშაკებს შორისაც. ორგანიზაციის სისტემისა და შეცვლილ პირობებს შორის შეუსაბამობა აუცილებლად იწვევს საშუალებების გაფლანგვასა და ბიუროკრატიზმის გაძლიერებას.

აღდგენითი პერიოდის განმავლობაში შეიქმნა მუშაკების კადრი, რომელმაც დიდი გამოცდილება მიიღო მრეწველობის მმართველობის საქმეში. ძირითადი საწარმოო უჯრედების (ფაბრიკა, ქარხანა) მმართველობის აპარატი საკმაოდ მომაგრდა, გაეცნო საქმეს.

გამოირკვა საწარმოო თათბირების, კონფერენციების და წარმოების ორგანიზაციის საქმეში მუშების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე წამოყენების სისტემის უდიდესი როლი (რომელიც მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება). ყოველივე ეს შესაძლებლად ხდის გადადგმულ იქნას შემდეგი, უფრო გაბედული ნაბიჯი საწარმოო სისტემის ქვედა საფეხურების გადაჭარბებულ წვრილმან მეურვეობისა, კონტროლისა და ანგარიშვალდებულებისაგან განთავისუფლების საქმეში. ამასთანავე ერთად გადიდებულ უნდა იქნას თვითეულ ცალკე ორგანოს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მათ მიერ შესრულებულ მუშაობისათვის.

IV. სასოფლო მეურნეობა და გლეხობა

დამდეგი სამეურნეო პერიოდი ახალ დაბრკოლებებს ააშკარავებს როგორც სასოფლო-მეურნეობის განვითარებაში, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობაში სოფლად. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, და სამეურნეო მანქანების ნაკლებობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპის შენელების მიზეზს წარმოადგენს და შეიძლება იქმნას აღმოფხვრილი მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის განვითარებით. სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნაკლები განვითარება, ჩამორჩენილ სამეურნეო ფორმების სიჭარბე—ყოველივე ეს უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მეურნეობის ჩამორჩენილი ფორმების სიჭარბე საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში იწვევს მოსახლეობის მიწის სიმცირეს სოფლად და სამუშაო ძალის წასვლას ქალაქში. ამ მოვლენის აღმოფხვრა მოითხოვს ხანგრძლივ პერიოდს და დამოკიდებულია სამიწათმოქმედო კულტურისა და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარებისაგან, კერძოდ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისა და სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციისაგან.

პარტიის პოლიტიკა სასოფლო-მეურნეობის დარგში გამომდინარეობს ორი ტენდენციისაგან სოფლის განვითარებაში: კაპიტალისტებისა და სოციალისტებისაგან. ამიტომ პრაქტიკული ღონისძიებანი პარტიის კურსის განსახორციელებლად სასოფლო-მეურნეობის საწარმოო ძალთა საერთო განვითარების დარგში მიმართულნი იმისაკენ, რომ სოფლად განუწყვეტლივ მტკიცდებოდეს და ფართოვდებოდეს მეურნეობის სოციალისტური ფორმები.

კონფერენცია აღნიშნავს კოოპერატიული საზოგადოებრიობის როლისა და მნიშვნელობის გაფართოებას და გამტკიცებას სოფლად, პირველ რიგში—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდას.

აუცილებელია აგრეთვე აღინიშნოს წარმატებანი კოლექტიურ მეურნეობათა დარგში, როგორც მათი რიცხვობრივი ზრდის, ისე სამეურნეო ძალის გამტკიცების მხრივ.

საბჭოთა მეურნეობათა განვითარებამ უკანასკნელ ხანებში შესაძლო გახადა მათი უდეფიციტო არსებობა, რაიც უწყობდა ხელს ამ მსხვილი სოციალისტური წარმოების ჩანასახების როლის ზრდას მიწათმოქმედებაში სასოფლო სამეურნეო ტეხნიკისა და კულტურის განვითარების საქმეში. ყველა ღონისძიებანი სასოფლო-მეურნეობაში უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს მუშათა კავშირი გლეხობის ძირითად მასასთან—ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობასთან. ამ თვალსაზრისის მიხედვით მომავალშიაც უნდა მივაწოდოთ გლეხობას სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვა საქონელი, და აგრეთვე უნდა მოვაწყოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღებისა, სასოფლო-სამეურნეო კრედიტისა და სოფლის ღარიბი ნაწილისათვის დახმარების აღმოჩენის საქმე (ღარიბებისა გლეხობის განთავისუფლება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, განსაკუთრებული კრედიტების მიცემა სოფლის ღარიბისა ნაწილისათვის, მიწათმოქმედების კოლექტიური ფორმების განვითარებისათვის ხელის შეწყობა და სხ.).

ადასტურებს რა სისწორეს იმ ხაზისა, რომელიც მიიღო მე-14 პარტიულმა კონფერენციამ და მე-14 პარტიულმა ყრილობამ გლეხობის მიმართ, მე-15 პარტიული კონფერენცია გადაჭრით გმობს ოპოზიციის ცდას, რომ შეცვალოს ეს პოლიტიკა გლეხობის მიმართ ვითომდა ინდუსტრიალიზაციის ინტერესების დაცვის დროშით და ამით გაწყვიტოს კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის.

ცდა იმისა, რომ გლეხობა იქმნას განხილული როგორც დაბეგვრის ობიექტი, რომ გადაჭარბებული გადასახადებისა და საბითუმო ფასების აწევის საშუალებით გლეხის მეურნეობისაგან მივიღოთ რაც შეიძლება მეტი თანხები, აუცილებლად გამოიწვევს სოფლის საწარ. ძალთა განვითარების შეჩერებას, სასოფლო-მეურნეობის პროდუქციის შემცირებას, და შექმნის მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის გაწყვეტის საფრთხეს, და საფრთხის წინაშე დააყენებს სოციალისტური აღმშენებლობის საქმეს.

უკანასკნელმა წლებმა სრულის სიცხადით გამოაშკარავეს, რომ მიწის ნაციონალიზაციის, და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე (დახმარების აღმოჩენა ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობისათვის, კოოპერაციის ზრდა, მიწათმოწყობა, კრედიტი, საგადასახადო პოლიტიკა დ სხ.), სახალხო მეურნეობის საერთო აღორძინების პირობებში სწარმოებს ძირითადი გლეხობის მასის და მის რიცხვში გლეხობის ღარიბი მასის მნიშვნელოვანი ნაწილის ეკონომიური აღორძინება (უცხენო და მცირე ნათესის მქონე მეურნეობათა რიცხვის შემცირება).

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში გლეხობის დიფერენციაციის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სოფლის კულაკური ელემენტების ზრდასთან და ღარიბი გლეხების მეურნეობათა ზოგიერთ ნაწილის პროლეტარიზაციასთან ერთად სწარმოებს ღარიბი გლეხობის მეურნეობათა სხვა ნაწილის ეკონომიური აღორძინება.

სოფლის საშუალო გლეხობის მასა, რომელიც ივსება ეკონომიურად აღორძინებული ღარიბი გლეხობის მეურნეობებით, კვლავ რჩება მიწათმოქმედების უმთავრეს ძალად.

ყოველივე ეს ქმნის საუკეთესო პირობებს ეკონომიური და პოლიტიკური მუშაობის განსავითარებლად სოფლის ღარიბ გლეხობას შორის, რომელთაც ეძლევათ საშუალება, რომ საშუალო გლეხობასთან კოოპერაციის მეოხებით შეკავშირებით ებრძოლონ სიღარიბეს და გადატაკებას და გადამჭრელი ბრძოლა აწარმოონ კულაკების ექსპლოატატორულ მისწრაფებათა შეზღუდვისათვის.

მომავალში ჩვენი კურსი განუხრელად უნდა იყოს: სასოფლო-მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარება, რომელიც უზრუნველჰყოფს მრეწველობის და მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების შესაძლებლობას, პრაქტიკულ მუშაობაში სოფლად აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია: ტეხნიკური კულტურებისა და მესაქონლეობის განვითარებისაკენ, სასოფლო-მეურნეობის მექანიზაციისა და ინტენსიფიკაციისაკენ, მრეწველობის იმ დარგების განვითარებისაკენ, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ამუშავებენ, საბჭოთა მეურნეობისა და კოლექტიურ მეურნეობათა აღმშენებლობის განვითარებისაკენ.

კოოპერაციის განვითარება კვლავ რჩება პარტიის ძირითად ამოცანად სოფელში, რამდენადაც სასოფლო-მეურნეობის შემდგომი განვითარება, მისი ახალი ტეხნიკისა და ორგანიზაციის უმაღლეს საფეხურზე, სოფლის ჩაბმა სოციალისტურ აღმშენებლობაში—შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ კოოპერატიული მუშაობის განვითარებისა და გაუმჯობესების გზით.

V წარსული 1925—26 წლის შედეგები და 1926—27 წლის პერსპექტივები

ზემოთ დახასიათებულმა ამოცანებმა და ხანგრძლივმა სიძნელეებმა გავლენა იქონიეს 1925—26 წლის სამეურნეო განვითარებაზე, და კიდევ მეტად მოქმედობენ 1926—27 წლის სამეურნეო ცხოვრების სახეზე.

წარსული წლის უმთავრესი შედეგები (სახელმწ. გეგმ. კომისიის ცნობებით) შემდეგში მდგომარეობს:

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1924—25 წ. 9.031,3 მილიონ მანეთიდან (ომის წინადროინდელი ფასებით) 1925—26 წელს გაიზარდა 11.124,4 მილ. მანეთამდე, ე. ი. 23 პროცენტით; სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ზრდა შეადგენს 22,8 პროც., ამასთან ერთად პურის დამზადების რაოდენობამ მიაღწია 584 მილიონ ფუთს წინააღმდეგ წინანდელი წლის 318,6 მილიონი ფუთისა.

სახელმწიფო მრეწველობის წარმოება 1924—25 . 3.761 მილიონ ომის წინადროინდელ მანეთიდან 1925—26 წელს გაიზარდა 5.363 მილ. მანეთამდე, ე. ი. 42 პროცენტი მომატება მოგვცა. მრეწველობაში მძიმე ინდუსტრიის დარგები უფრო ჩქარი ტემპით ვითარდებიან, ვიდრე მსუბუქი მრეწველობა. შესამჩნევათ გაიზარდა კაპიტალური ხარჯები წარსულ წელთან შედარებით. საერთო ჯამი კაპიტალური ხარჯებისა 1925—26 წელში 778 მილ. მანეთს უდრიდა—1924—25 წლის 385 მილ. მანეთის წინააღმდეგ.

საწარმოო ძალების ზემოთ დახასიათებულმა ზრდამ გამოიწვია მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება. ხელფასი, რომელიც 1924—25 წელში საშუალოდ წელიწადში 1 მუშაზე 468 ჩერვონულ მანეთს უდრიდა, 1925—26 წელში 571 მანეთამდე გაიზარდა.

სახელმწიფო ბიუჯეტმა 1925—26 წელში 4 მილიარდს მიაღწია.

ექსპორტი (წინასწარი ცნობებით) გაიზარდა 508 მილ. მანეთიდან 685 მილ. მანეთამდე; იმპორტი 683 მილ. მანეთიდან 730 მილ. მანეთამდე.

მაგრამ ეს ზოგადი ზრდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებისა ხდებოდა მნიშვნელოვანი სამეურნეო სიძნელეების პირობებში, რომელიც მხოლოდ სამეურნეო წლის მეორე ნახევარში [illegible].

დიდ სამეურნეო მიღწევებთან ერთად წარსულ წელში აღსანიშნავია მთელი რიგი არა ხელსაყრელ მომენტებისა:

ა) საცალო ფასების ზრდა, დაახლოებით 10—11 პროცენტით წელიწადში; ამასთანავე ხდებოდა ნაწილობრივი მომატება წარმოების თვითღირებულებისა;

ბ) პასიური სავაჭრო ბალანსი;

გ) ნაკლები ფულის რეზერვის შექმნა ბიუჯეტში, ვიდრე ნავარაუდევი იყო;

დ) ტრანსპორტის საშემოსავლო ნაწილის შეუსრულებლობა, უმთავრესად ნაკლებ მომგებიანი ტვირთების გადატანის გამო და როგორც ამის შედეგი ტრანსპორტის ფინანსიური მდგომარეობის გართულება, რის გამო წარმოსდგა პრობლემა სარკინიგზო ტარიფის ხელახალი გადიდებისა;

ე) მნიშვნელოვანი შემცირება სათბობი მასალის მარაგისა, გამოწვეული გეგმის შეუსრულებლობით (97%) და ფაქტიური გადაჭარბებით დახარჯვის გეგმისა (102,4%); არა საკმარისი გადიდება ელექტრო - ენერგიის წარმოებისა, მიუხედავათ მისი მოთხოვნილების ზრდისა.

ყველა ეს უარყოფითი მომენტები აიხსნება წარსული წლის იმ სპეციფიური სამეურნეო დაბრკოლებებით, რომელიც გამოიწვია კაპიტალური ხარჯების გეგმის შესრულების დაწყებამ, რაიც არ შეესაბამებოდა ქვეყნის რესურსებს, ვალიუტის რესურსებთან შეუფარდებელ იმპორტით და ემისის ზედმეტი გამოყენებით პურის დამზადებისა და მეურნეობის ფინანსიური დახმარებისთვის წარსული წლის დასაწყისში. საგეგმო განზრახვების შემოკლებით და ჩამოყალიბებით სამეურნეო წლის მეორე ნახევარში არსებითად მოხერხდა ამ სიძნელეთა გადალახვა.

მიღებული ზომების წყალობით სამეურნეო გეგმის ძირითადი ხაზი სავსებით დაცულია და მთელი მეურნეობა უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

წარსული წელი ხელახლა მოწმობს სოციალისტური ელემენტების განმტკიცებას და გაზრდას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. წარმოებისა და ალებ-მიცემობის დარგში, როგორც ქალაქში, ისე სოფელში სოციალიზმის პოზიცია განმტკიცდა.

განმეორებით კარგი მოსავალი შესამჩნევათ განსაზღვრავს სამეურნეო ცხოვრების ზოგად ხასიათს 1926—27 წლებისთვის. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 7%, საქონლიანობა 14,4%, მომატება ხორბლეულობისათვის უდრის 9,1 %, მესაქონლეობისთვის 4,9%; ტეხნიკური კულტურა გვიჩვენებს 6% შემცირებას. ტეხნიკური კულტურის ასეთი დაცემა მიმდინარე წელში დაბრკოლებებს ჰქმნის მრეწველობის უზრუნველყოფისთვის ნედლი მასალით და ექსპორტის განვითარებისთვის.

განზრახულია სამრეწველო წარმოების გადიდება 17—18 პროც. წარსულ წელთან შედარებით (მძიმე ინდუსტრიისა 20 პროცენტზე მეტი); კაპიტალურ ხარჯების რაოდენობა მატულობს 900 მილ. მანეთით ხოლო ელექტროფიკაციასთან ერთად 1.050 მილიონი მანეთით.

წარმოების ასეთი ზრდისა და კაპიტალური მუშაობის ზომის უზრუნველსაყოფად განზრახულია სამრეწველო იმპორტის მაქსიმალური გადიდება. თუ წარსულ წელს სამრეწველო იმპორტი 60 პროც. ცოტა მეტი იყო, მომავალ წელს ის 80 პროც. უნდა ავიდეს.

ტეხნიკური მოწყობილობის იმპორტი მომავალ წელში სამჯერ მეტი იქნება, ვიდრე წარსულ წელს იყო. ნედლი მასალა შემოზიდულ იქნება მხოლოდ იმ რაოდენობით, რომელიც წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად არის საჭირო.

ასეთ პირობებში საქონლის შიმშილი მომავალ სამეურნეო წელიწადშიც არის მოსალოდნელი, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის გამწვავდება.

წარსულ წლის წინააღმდეგ ბაზრის გაძლომა ფართო მოთხოვნილების სამრეწველო საქონლით უნდა მოხდეს შინაური წარმოების ხარჯზე.

VI მიმდინარე სამეურნეო წლის ძირითადი პრობლემები

ის პირობები, რომელნიც სამეურნეო წლის დასაწყისში შეიქმნენ, პარტიისა და საბჭოთა ორგანოებისაგან მოითხოვენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შემდეგი უდიდესი მნიშვნელობის მქონე პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას:

ა) მრეწველობა და კაპიტალური აღმშენებლობა

პარტიისა და სახელმწიფოს ამოცანა მრეწველობის ხელმძღვანელობის დარგში მიმდინარე წელშიაც იგივე რჩება: ყველა საშუალებათა გამოყენება მრეწველობის პროდუქციის მაქსიმალურად გადიდებისათვის სამრეწველო საქონლის დანაკლისის შევსებისა და საქონლის ბრუნვის საერთო გაჯანსაღების მიზნით. ამ ამოცანის განსახორციელებლად აუცილებელია ნედლეულის საშინაო ბაზრის მაქსიმალურად და ორგანიზაციულად გამოყენებასთან ერთად [illegible] შეძლებისთანავე გადიდებულ იქნას უცხოეთის ნედლეულის დამატებითი შემოზიდვა მრეწველობის იმ დარგების სრული დატვირთვისათვის, რომელნიც ფართო ბაზრისათვის მუშაობენ. მრეწველობის მუშაობის ახალ პირობებში, როცა მისი დარგების უმეტესი ნაწილი სავსებით არის დატვირთული, პროდუქციის მაქსიმალური გადიდების ამოცანა უფრო რთული ხდება, ვიდრე წინა წლებში. წარმოების გაფართოების შესაძლებლობანი უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეძიოთ თვით მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებაში: ტეხნიკურ მიღწევებში, სამუშაო ძალის უკეთეს ორგანიზაციაში, შრომის ნაყოფიერების აწევაში, ზედნართი ხარჯების შემცირებაში, მრეწველობის იმმობილური რესურსების შემცირებაში და სხ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 კონფერენცია სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების უმთავრეს ამოცანად სცნობს წარმოების ორგანიზაციისა და მრეწველობის მართვის გაუმჯობესებას, ადმინისტრატიული და მმართველობითი ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას, პროდუქციის მაქსიმალურ გადიდებას და მისი თვისების გაიაფებას და გაუმჯობესების უდიდესი მომჭირნეობისა და ყველა საშუალებათა მობილიზაციის გზით.

მე-15 პარტკონფერენცია, აღნიშნავს რა კაპიტალურ მუშაობათა პროდუქტების ნაკლებ ეკონომიურ და ტეხნიკურ დამუშავებას, მათ ნაკლებ დაკავშირებას საერთო-სამეურნეო გეგმასთან, საამშენებლო მუშაობის კონტროლის უორგანიზაციობას (რაიც ნაწილობრივ იწვევდა თანხების არარაციონალურ ხარჯვას), კონფერენცია მრეწველობის ორგანოებს წინაშე აყენებს ამოცანას, რომ გადამჭრელი ბრძოლა იქმნას წარმოებული ამ ნაკლთა აღმოსაფხვრელად. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 კონფერენცია ავალებს რა სათანადო სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებს, რომ კაპიტალურ სამუშაოებს და ახალ აღმშენებლობას მრეწველობის დარგში მოანდომონ არა ნაკლებ 900 მილიონი მან., ელექტროფიკაციასთან ერთად კი არა ნაკლებ 1 მილიარდი მანეთისა, კონფერენცია მოითხოვს ყველა ორგანოებისაგან, რომ მაქსიმალური წინდახედულობა გამოიჩინონ კაპიტალურ სამუშაოთა დაწყებისას, დაიცვან უდიდესი საგეგმო დისციპლინა და გეგმათა შესრულების ისეთი შემოწმება, რომელიც უზრუნველჰყოფს აღმშენებლობის მომჭირნეობას, (სარფიანობას) და აშენების დაწესებული ვადის დაცვას.

კაპიტალური აღმშენებლობა კიდევ უფრო მეტად, ვიდრე წარსულ წელში, უმთავრესად უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ ახალ საფუძველზე იქნას მოწყობილი მსხვილი მრეწველობა (ლითონი, სათბობი მასალა, ელექტრო-აღმშენებლობა).

კონფერენცია აუცილებლად სცნობს რა ჩვენი ქვეყნის საწარმოო საშუალებათა წარმოების ტემპის აჩქარების იმ მიზნით, რომ მოსპობილ იქმნას დამოკიდებულება კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან ინდუსტრიალიზაციისათვის ამ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დარგში, იგი სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების წინაშე ამოცანად სვამს, რომ ყოველმხრივ შეეწყოს ხელი მანქანათა დამზადების განვითარებას. ამ მიმართულებით უნდა მიდიოდეს მრეწველობის ხელმძღვანელი ორგანოების უმთავრესი ძალ-ღონე, აქეთკენ უნდა იყოს მიმართული საუკეთესო ტეხნიკური ძალები და საუკეთესო კომუნისტი ადმინისტრატორები.

პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანები მრეწველობის დარგში მხოლოდ მაშინ შეიძლება იქმნეს წარმატებით გადაჭრილი, თუ ამ უდიდეს აღმშენებლობით მუშაობაში ჩაბმულნი იქნებიან მუშათა ფართო მასების შემოქმედებითი ძალები, რის გამოც აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ ამ მუშაობაში მახლობელი მონაწილეობა მიიღონ პროფესიონალურმა კავშირებმა და საწარმოო თათბირებმა.

მრეწველობის გარდაქმნა ახალი ტეხნიკურ ბაზის მიხედვით მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ყველა ტეხნიკური ძალების უდიდეს მობილიზაციას, ფრთხილ მოპყრობას სპეციალისტებისადმი, რომელნიც თავის საქმეს ერთგულად ასრულებენ და მთელ თავისი ძალ-ღონით ეხმარებიან მუშათა კლასს სოციალიზმის უდიდეს აღმშენებლობაში. ანგარიში უნდა გაეწიოს ტეხნიკურ-კულტურულ ძალების სიმცირეს, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურამ მიიღო კულტურულად ჩამორჩენილი რევოლიუციამდე არსებული რუსეთისგან; სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ტეხნიკური კულტურის ზრდისათვის, მუშებისა და გლეხებისაგან ახალი ტეხნიკების კადრების შექმნისათვის და ამასთან ერთად მიზანშეწონილად და მომჭირნეობით უნდა გამოიყენოს მის განკარგულებაში მყოფი ძალები.

ბ) ფასების პრობლემა და საქონლის ბრუნვა

პარტიის პოლიტიკა ინდუსტრიალიზაციის ახალ პირობებშიაც გამომდინარეობს იქიდან, რომ გაგრძელებულ უნდა იქმნას სამრეწველო ფასების დაკლების კურსი. მხოლოდ ფასების დაკლების კურსი შეეფერება ქალაქსა და სოფლის ფართო მასების ინტერესებს. მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება განვლილი წლის განმავლობაში გამოაშკარავებულ ავადმყოფურ მოვლენებს ფასების დარგში, რომელიც პირველ რიგში გამოიხატა საცალო ფასების ზრდაში სამრეწველო საქონელზე. საცალო ფასების ზრდის მიზეზი შემდეგ პირობებში მდგომარეობს: პირველი, საქონლის ნაკლებობა, რომელიც დიდი მოგების მიღების შესაძლებლობას ქმნის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, და მეორე, უზომო ზედნართი ხარჯები და საქონლის გადაცემის ქსელის არარაციონალური ორგანიზაცია. სამრეწველო საქონლის საცალო ფასების ინდექსმა უდიდეს რაოდენობას მიაღწია 1926 წ. 1 მაისისათვის—2,71 წინააღმდეგ 1925 წლის მაისისა—2,35. საცალო ფასების შემცირებისათვის მიღებულ ღონისძიებათა გამო ეს ინდექსი 1 მაისიდან დაწყებული ერთგვარად იკლებს—1 ოქტომბრისათვის შეადგენს 2,64. ფასების ეს დაკლება არ შეიძლება იქმნას ცნობილი საკმაოდ. საბითუმო და საცალო ფასების განსხვავება ჯერ კიდევ დიდია. მიღწევებს სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების შემცირების დარგში მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ პურის ფასების დონე ეხლა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე შარშან იყო.

კონფერენცია აუცილებლად სცნობს, რომ მთელის ენერგიით გაგრძელდეს პარტიის მიერ დაწყებული ამოცანა საცალო ფასების შესამცირებლად და ჩაბას ამ საქმეში კოოპერაციაში შეკავშირებული მოსახლეობის ფართო ფენები—მუშები და გლეხები.

წარმოების თვითღირებულების ნაწილობრივი გადიდება, რომელსაც ადგილი ქონდა წარსულ წელში, გვიკარნახებს, რომ გადამჭრელი ზომები იქმნას მიღებული თვითღირებულების შემცირებისათვის.

კონფერენცია აუცილებლად სცნობს, რომ ამ წლის განმავლობაში იქმნას მიღწეული სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების ისეთი შემცირება, რომელიც შესაძლებელს გახდის საბითუმო ფასების შემცირებასაც.

უდიდეს შეცდომას წარმოადგენს ოპოზიციონერ ამხანაგების წინადადება სამრეწველო საქონელზე საბითუმო ფასების მომატების შესახებ, რომელიც, მათის აზრით, წყარო უნდა იყოს დამატებითი თანხებისა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებისათვის. საკავშირო კომპარტიის მე-15 საკავშირო კონფერენცია გადაჭრით უარყოფს ამ წინადადებებს. ინდუსტრიალიზაციის გატარება საბითუმო ფასების გადიდების მეთოდებით ნიშნავს ჩვენი მრეწველობის განვითარებას, გაფართოებას ისე, რომ იგი მოწყვეტილი იყოს სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენ დარგებისაგან, მრეწველობის პროდუქციის გასასაღებელი ბაზრის გაფართოების შეზღუდვას, ხელის შეწყობას საცალო ფასების ზრდისათვის და ამით რეალური ხელფასის დონის შემცირებას, სოფლის ამხედრებას ქალაქის წინააღმდეგ, დიფერენციაციის გაძლიერებას სოფლად, ვინაიდან სამრეწველო საქონელი მისაწვდომი იქნება სოფლის მხოლოდ შეძლებული ნაწილისათვის, წინასწარ პირობების შექმნას ინფლიაციისათვის და დაბოლოს, თვით ინდუსტრიალიზაციის განხორციელების ამოცანის ჩაშლას. საბითუმო ფასების აწევა განსაკუთრებით სახიფათოა სახელმწიფო მრეწველობის ფაქტიური მონოპოლიის პირობებში, ვინაიდან ამას აუცილებლად მივყავართ ტეხნიკურ დაბრკოლებებისაკენ და ბიუროკრატიზმის გაძლიერებისაკენ მთელ სამეურნეო აპარატში.

ის ამოცანები, რომელნიც დგანან პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ფასების დარგში, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას მოითხოვენ საქონლის გადაცემის ქსელის ორგანიზაციისა და მოწესრიგების საკითხებისადმი.

აღნიშნავს რა კმაყოფილებით სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის მიერ მიღწეულ წარმატებებს ქვეყნის ალებ-მიცემობის დაპყრობის საქმეში, კონფერენცია ადასტურებს, რომ ალებ-მიცემობის დარგში კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის გაბატონებული მდგომარეობის განმტკიცებაზე აღებული ხაზი შემდეგშიაც განვითარებული უნდა იქნეს. ამასთან ერთად კონფერენცია აღნიშნავს, რომ ვერ არის საკმაო ის მიღწევები, რომელიც გვაქვს საქონლის გამტარებელ სახელმწიფო და კოოპერატიულ ქსელის გაჯანსაღებისა და გაიაფებისათვის ბრძოლაში.

მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის გატარება სავაჭრო ორგანიზაციებში, დაუზოგავი ბრძოლა ზედნადებ ხარჯების შემცირებისათვის, აპარატების შემცირება, [illegible] და ბიუროკრატიზმის დაძლევა სავაჭრო აპარატებში, საკრედიტო დისციპლინის გაძლიერება წინანდებურად იმ ამოცანებად რჩებიან, რომელთა გადაჭრას პარტიამ, მუშათა კლასმა და გლეხობამ გაძლიერებული ყურადღება უნდა მიაპყრონ.

კოოპერაციამ, რომელმაც დაიპყრო 40 პროცენტზე მეტი საცალო ბრუნვის (ხოლო სახელმწიფო საცალო ვაჭრობასთან ერთად 60 პროცენტზე მეტი), საქმით უნდა დაუმტკიცოს მასიურ მომხმარებელს—მუშას და გლეხს,—რომ მას, როგორც უფრო იაფ, ეკონომიურ და მასიურ მომხმარებლის ინტერესების შესაფერ ორგანიზაციას, უპირატესობა აქვს კერძო კაპიტალისტურ ვაჭრობასთან შედარებით. ამიტომ კოოპერაციის ვაჭრობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები სცილდებიან ვიწრო ეკონომიური ამოცანების ფარგლებს და უაღრესად დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობის მქონე საკითხების ხასიათს ღებულობენ.

აღნიშნულ განზოგადოებულ სექტორის ზრდასთან ერთად სახალხო მეურნეობაში, კერძო კაპიტალის როლი, განსაკუთრებით ალებ-მიცემობის დარგში კიდევ საგრძნობი რჩება. აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ პარტიამ და სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კერძო კაპიტალთან ბრძოლის საკითხებს.

ზოგიერთი წარმატებანი, რომელნიც გვაქვს კერძო კაპიტალის სახელმწიფო მოწესრიგების საქმეში (ეკონომიური მოწესრიგება ტრანსპორტში, მრეწველობის პროდუქციით მომარაგება მხოლოდ ზედმიწევნით გარკვეულ პირობებში, კერძო კაპიტალისათვის მოქმედების ერთგვარ განსაზღვრულ სფეროების დათმობა და სხვ.) მოწმობენ იმას, რომ თუ კერძო კაპიტალის მუშაობის აღრიცხვა უკეთესად იქნება დაყენებული, შესაძლებელია მისი ეხლანდელზე უფრო მეტად დამორჩილება სახელმწიფო მოწესრიგებისადმი.

კონფერენცია განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ ამჟამად სრულებითაც საკმარისად ვერ ხდება კერძო კაპიტალის რაოდენობის და მისი მუშაობის მიმართულების აღრიცხვა. ამ აღრიცხვის უქონლობა იწვევდა კერძო კაპიტალისტურ დაგროვების გადაჭარბებულად გამოანგარიშებას მეურნეობის ცალკე დარგებში. კერძო კაპიტალის აღრიცხვის უქონლობა, მაშინ როცა ეს კაპიტალი დიდ მოქნილობას იჩენს მუშაობის ერთი სფეროდან მეორეში გადასვლის მხრივ, აძნელებს პარტიის იმ საგადასახადო პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებას, რომელიც ემყარება პროგრესიულ—საშემოსავლო დაბეგვრას, და ამ გზით აძნელებს აგრეთვე კერძო კაპიტალისტურ დაგროვების შეზღუდვას. აღრიცხვის უქონლობა კერძო კაპიტალის ცალკე ჯგუფებს საშუალებას აძლევდა აგრეთვე გაექცეოდენ დაბეგვრას (ვალიუტის ბაზართან დაკავშირებული ჯგუფები და სხვა).

კონფერენცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ აუცილებელია ფხიზელი კონტროლის დაწესება შინამრეწველობასთან დაკავშირებულ კერძო კაპიტალის მუშაობაზე, რათა ბრძოლა გაეწიოს მის მიერ შინამრეწველთა და ხელოსანთა ყვლეფას.

იწონებს რა პარტიისა და სახელმწიფოს ღონისძიებებს კერძო კაპიტალის მოგების დაბეგვრის გასაძლიერებლად, კონფერენცია საჭიროდ სთვლის გატარებულ იქნეს ცხოვრებაში მთელი რიგი ღონისძიებათა, რომელნიც უზრუნველყოფენ ჯერ ერთი, კერძო კაპიტალის მუშაობის სათანადო აღრიცხვას და მეორე, მისი მუშაობის თავის მოყრას სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, რომელნიც ყველაზე უფრო შესაძლებელს ხდიან მისი მუშაობის რეგლამენტაციის, აღრიცხვას და მოგებათა დაბეგვრას.

გ) საგარეო ვაჭრობა

განვითარების ამ სტადიაში ინდუსტრიალიზაციის განხორციელება ებჯინება მოწყობილობათა მაქსიმალური შემოტანის საჭიროებას, რომლის გაფართოების შესაძლებლობაც დამოკიდებულია ექსპორტის განვითარებისაგან და იმპორტის განთავისუფლებისაგან იმ საქონლიდან, რომელთა დამზადებაც შესაძლებელია საბჭოთა კავშირის შიგნით.

საგარეო ვაჭრობის განვითარების და ქვეყნის შინაგან წარმოების განვითარების დონის შეუფარდებლობა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით სვამს ექსპორტის მაქსიმალურად გაფართოების ამოცანას. გამოდის რა აქედან, კონფერენცია სავსებით საჭიროდ სთვლის სახალხო მეურნეობის მტკიცე საექსპორტო ბაზის შექმნას სასოფლო-მეურნეობისა და მრეწველობის სათანადო დარგების განვითარების წახალისების გზით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სალევატორო და სამაცივრო (ХОЛОДИЛЬНИК) საქმის განვითარებას, სასოფლო-მეურნეობის საექსპორტო პროდუქტების დამუშავების პირველ საფეხურს, მათ სტანდარტიზაციას და ტრანსპორტის სათანადოთ მოწესრიგებას. იმავე მიზნით კონფერენცია საჭიროდ სთვლის სპეციალური ფონდის შექმნას ნაკლებ შემოსავლიან საქონლის ექსპორტის წასახალისებლად.

აღნიშნავს რა პარტიის დირექტივების შეუსრულებლობის საგარეო ვაჭრობის აქტიურ ბალანსის შესახებ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, კონფერენცია გადაჭრით ხაზს უსვამს ექსპორტ-იმპორტის ოდენობის შორის ისეთი შეფარდების საჭიროებას, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფდა სავაჭრო ბალანსის გათანაბრება აქტიურ სალდოსთან სავალიუტო რეზერვის დაგროვების უზრუნველმყოფელ პირობებში.

საგარეო ვაჭრობის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ზედნადებ ხარჯების შემცირება, რომელნიც ჯერ კიდევ არაჩვეულებრივად დიდია, საგარეო ვაჭრობის აპარატის მუშაობის ღირსების გაუმჯობესება და მისი გაიაფება.

მე-15 საკავშირო კონფერენცია ხაზს უსვამს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შეურყევლო-

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმართვა გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისადმი

მიღებული 27 ოქტომბრის სხდომაზე *)

მოსკოვი, 28 ოქტომბ. „საკავშირო მე-15 პარტკონფერენცია ძმურ, პროლეტარულ სალამს გიგზავნით თქვენ, გერმანიის მუშათა კლასის ავანგარდს—გერმანიის კომუნისტურ პარტიას, რომელთანაც ამჟამად ჩვენი პარტია უფრო მეტად არის დაახლოებული, ვიდრე ოდესმე. ამ დაახლოების მიზეზია ბრძოლა ლენინიზმისათვის სიტყვით „მემარცხენე", ხოლო საქმით საკავშირო კომპარტიაში აღმოცენებული ოპოზიციური ბლოკის და მის მოკავშირე—გერმანიის ე. წ. ულტრა-მემარცხენე ფრაქციის სოციალ-დემოკრატიულ ოპორტუნისტულ გადახრების წინააღმდეგ, დემოკრატიულ რენეგატულ იდეების აშკარა ქადაგებაში. გაერთიანებულმა ოპოზიციამ ჩვენს პარტიაში სასტიკი და საბოლოო დამარცხება იგემა. ოპოზიციური ბლოკის გამთიშავ ფრაქციულ მუშაობას პარტიის წევრთა მასსამ გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწია. არც ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, არც ერთ მუშურ უჯრედში ოპოზიციამ ვერ ჰპოვა ნიადაგი ოდნავ მნიშვნელოვან უმცირესობაშიაც კი. მოსკოვისა და ლენინგრადის მუშა-კომუნისტები და პარტიული დემოკრატია, რომლებსაც მიმართეს ოპოზიციის ლიდერებმა, მტკიცე ბოლშევიკურ კედლათ აღიმართენ პარტიის მთლიანობისა და ლენინური ხაზის დასაცავად. ყველა პარტიულ კრებებზე უბრალო პარტიულ-მუშებისაგან იგემეს რა სასტიკი დამარცხება, ოპოზიციის ლიდერები იძულებული გახდენ, პარტიულ მასის ზეგავლენით, დაეგმოთ თავისი ფრაქციული საქმიანობა და უარი განეცხადებიათ ბრძოლის ფრაქციულ მეთოდებზე. პარტიამ თავ-თავისი ადგილი მიუჩინა ოპოზიციონურ ბლოკის თავამეტებულ ბელადებს, რომელნიც თავის ყოფილ ავტორიტეტითა და დემაგოგიური ფრაზებით ფიქრობდენ გავლენის მოპოვებას ბოლშევიკებს შორის. პარტია საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს იდეურ-პოლიტიკურ ლიკვიდაციას იმ წვრილ-ბურჟუაზიული გადახრისა, რომელიც წარმოდგენილია ოპოზიციური ბლოკით და რომელსაც ოპოზიცია ძველებურად იცავს. გერმანიის კომუნისტურ პარტიას უხდება ბრძოლის წარმოება მხოლოდ იმ დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელნიც წარმოადგენენ ოპოზიციური ბლოკის გაგრძელებას საკავშირო კომუნისტურ პარტიაში. მოხვდენ რა გერმანიის ულტრა-მემარცხენე ნიადაგზე, ოპოზიციური ბლოკის იდეები ჩამოყალიბდენ დასრულებულ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკურ ხაზში, რომელსაც იცავენ არა მარტო გერმანიის პარტიიდან გარიცხული კორში, მასლოვი და რუტ ფიშერი, არამედ პარტიის ულტრა-მემარცხენე დაჯგუფების ხელმძღვანელებიც კი. თავდასხმა საბჭოთა მუშურ სახელმწიფოსა და საკავშირო კომპარტიაზე, გერმანიის კომპარტიასა და კომინტერნზე, რომელსაც აშკარად აწარმოებენ შოლემი, ვებერი და ურბანსი, აყენებს მათ რიგში გამთიშველებსა და კომუნიზმის შეურიგებელ მტრებთან ერთად. საკავშირო კომპარტია მიესალმება გერმანიის მოძმე კომპარტიის მიერ აღებულ ხაზს, რომლითაც ის ბოლოს მოუღებს ურბანსისა და მისი კომპანიის პორაჟენცულ აგიტაციას პარტიის შიგნით მათ გამთიშავ ფრაქციულ მუშაობის შესახებ.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია ამ მოკლე ხანში მოახერხებს ულტრა-მემარცხენე ოპორტუნიზმის ნაშთების ლიკვიდაციას მის რიგებში. ოპოზიციის დამარცხება საკავშირო კომპარტიაში და ულტრა-მემარცხენე დაჯგუფების ლიკვიდაცია გერმანიის კომპარტიაში უზრუნველყოფს აბსოლიუტურ მტკიცე ლენინურ მთლიანობას კომუნისტურ ინტერნაციონალში და ბოლოს მოუღებს საერთაშორისო ანტილენინური ფრაქციების შექმნის ცდას.

ამ უკანასკნელ თვეებში საკავშირო კომპარტიას, გერმანიის კომპარტიას და მთელ კომუნისტურ ინტერნაციონალს დიდი ძალის დახარჯვა დასჭირდათ წვრილ-ბურჟუაზიულ დაცემულ სულიერ განწყობილებასთან საბრძოლველად, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საკავშირო კომპარტიის ოპოზიციურ ბლოკის და საერთაშორისო ულტრა-მემარცხენე და ულტრა-მემარჯვენე დაჯგუფების შეხედულებებში. ეს ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა, მაგრამ უკვე უზრუნველყოფილია ლენინური ხაზის სრული გამარჯვება ყოველგვარი სახის ოპორტუნიზმზე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მთელი ფრონტით. კომუნისტების ცალკე ჯგუფებს შორის პორაჟენცული იდეოლოგიის აღმოცენება და ჩამოყალიბება წარმოადგენს მხოლოდ უმნიშვნელო გარდამავალ ეპიზოდს კომუნისტური ინტერნაციონალის გამარჯვებით განვითარებაში.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს გერმანიის კომუნისტური პარტიის ბოლშევიკურ მთლიანობას!"

---

*) მოგვყავს სრული ტექსტი. რედ.

ზას, როგორც ძირითადი წინაპირობისა კაპიტალისტურ ქვეყნებთან ჩვენს სამეურნეო ურთიერთ დამოკიდებულებაში, და საგარეო ვაჭრობის განვითარების იმ მიმართულებით რომელიც უფრო ეგუება სოციალისტური მშენებლობის ძირითად ამოცანებს.

დ) შრომის საკითხები

მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი საცხოვრებელი დონის აწევა სახალხო მეურნეობის მიღწევებსა და წარმატებებთან შეფარდებით, წარმოადგენენ პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანათაგანს.

უკანასკნელი წლები ხასიათდება წარმოებაში ჩაბმულ მუშების სწრაფი ზრდით, ნომინალურ და რეალურ სამუშაო ხელფასის ზრდით და შრომის პირობების გაუმჯობესებით. ამასთან დაკავშირებით წლიდან წლამდე, იზრდებოდა დაქირავებული შრომის პირთა შემოსავლის ხვედრითი წონა საერთო ნაციონალურ შემოსავალში და შეადგინა (სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებით) 1925—26 სამ. წელში—29,2 პროცენტი წინააღმდეგ 1923—24 სამ. წლის 23,2 პროცენტის და 1913 წლის 22 პროცენტისა.

წარსული წლის განმავლობაში მსხვილი მრეწველობის მუშების რიცხვი გაიზარდა 439 ათასით.

რეალური დღიური სამუშაო ხელფასი გაიზარდა 11,7 პროცენტით.

მე-15 საკავშირო პარტკონფერენცია სავსებით იწონებს ცკას მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს მიმდინარე წლის განმავლობაში წარმოების ჩამორჩენილ დარგებში და ნაკლებ ხელფასის მქონე მუშების ჯგუფებისათვის სამუშაო ხელფასის დონის აწევის შესახებ, როგორც შემდეგ ნაბიჯს არანორმალური სხვაობის აღმოსაფხვრელად მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიების ხელფასის გასტუმრების დროს.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ წარსულმა წელმა გამოაშკარავა მთელი რიგი ავადმყოფური მოვლენებისა, რაც, პირველ ყოვლისა, გამოიხატა შრომის ნაყოფიერების ზრდის შენელებაში, ნაკლებ კვალიფიციურ მუშების მნიშვნელოვანი კადრის ჩაბმით მუშაობის ხარისხის გაუარესებაში, მუშა-ძალის არარაციონალურ გამოყენებაში, შრომის დისციპლინის ნაწილობრივ შესუსტებაში (სამუშაოს გაცდენა და სხ.). სამუშაოს გაცდენის არაჩვეულებრივად გაზრდილი პროცენტი იწვევს წარმოების შეუფერხებლობის მიზნით, ზედმეტი მუშების მნიშვნელოვანი შტატის ყოლის საჭიროებას (სამუშაოზე არ გამოცხადების შემთხვევებში), რაც, რასაკვირველია, თავის მხრივ იწვევს ნაწარმოების გაძვირებას. ამ ავადმყოფური მოვლენების წინააღმდეგ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება. ამ მხრივ მიღებულ ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ ღონისძიებებთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ღებულობენ საწარმოო თათბირები. შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად წარმოებული ბრძოლა მუშათა კლასის აქტიური მონაწილეობის გარეშე ვერ იქნება მიყვანილი სრულ გამარჯვებამდე, სწორედ ისევე, როგორც მუშათა მასების ფართო მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობის გზაზე აღმართულ ყველა სხვა ამოცანების გადაწყვეტა და სიძნელეების გადალახვა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა წარმატებით გადაწყდება მხოლოდ იმ პირობებში, თუ მუშათა ფართო მასები სათანადო ანგარიშს გაუწევენ როგორც იმ ამოცანებს, რომელიც წამოჭრილია მუშათა კლასის წინაშე მრეწველობის გაფართოების საქმეში, ისე ჩვენს სახალხო მეურნეობაში წამოჭრილ სიძნელეებს.

სამეურნეო, პროფკავშირულ და პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ საწარმოო თათბირების მუშაობის გაუმჯობესებას და საწარმოო თათბირების მითითებათა და გადაწყვეტილებათა სასწრაფოდ შესრულებას, იმ გადაწყვეტილებებისა, რომელნიც მიმართული არიან წარმოების გაუმჯობესებისა და რაციონალიზაციისაკენ.

ინდუსტრიალიზაციის პრაქტიკული განხორციელება აყენებს კვალიფიციურ მუშების ძველი კადრების ტეხნიკური კვალიფიკაციისა და კვალიფიციურ მუშების ახალი კადრების მომზადების გადაუდებელ ამოცანას, აგრეთვე ამოცანას მუშათა მასების კულტურული დონის აწევის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გაუმჯობესდეს საქმის დაყენება საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლებში, გაფართოვდეს საღამოს კურსების ქსელი და შემუშავებულ იქნას ინდივიდუალურ და საბრიგადო მოწაფეობის პირობები. საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს პროფტეხნიკური განათლების საქმეს და მრეწველობასთან მისი კავშირის გამტკიცებას.

ბინათა საკითხი მუშათა ყოფა-ცხოვრებაში გადაიქცა ერთ, უაღრესად მწვავე საკითხად, რომლის დადებითად გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება მომავალში, თუ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ საბინაო კრიზისი, რომელიც თანდათან ძლიერდება, წარმოადგენს უდიდეს სიძნელეს მრეწველობის შემდგომი გაშლის საქმეში. მიაქცევს რა პირველხარისხოვან მნიშვნელობას მუშათა საცხოვრებელი ბინების აშენების საქმეს, რომლის განხორციელებას ჯერ კიდევ მრავალი წელი დასჭირდება, მე-15 პარტკონფერენცია სავსებით იწონებს ცკას და ც. საკ. კომისიის ივლისის პლენუმის პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს საბინაო საკითხის შესახებ და აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება.

მე-15 საკავშირო პარტკონფერენცია აღასტურებს უმუშევართა მნიშვნელოვანი კადრის არსებობას, მიუხედავათ მრეწველობის ზრდისა და სახელმწიფო მრეწველობაში 400.000-ზე მეტ ახალი მუშის ჩაბმისა ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში.

ძირითად წყაროს, რომელიც ავსებს უმუშევართა კადრებს, წარმოადგენს სოფელი, რომელიც ქალაქში ისვრის სასოფლო-მეურნეობაში მოჭარბებულ მუშა-ხელს. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს უმუშევრობის ზრდაზე სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოების მოსამსახურე პერსონალის შტატების შემცირება.

რადგან უმუშევრობა მთელი თავისი უმთავრესი ნაწილით დაკავშირებულია სოფლის მოსახლეობის საჭიროებასთან, ამიტომ მას აუცილებლივ ხანგრძლივი ხასიათი ექნება. მნიშვნელოვან გზებს მის შენელებისაკენ წარმოადგენენ: ჯერ ერთი, ისეთი ღონისძიებების მიღება თვით სასოფლო მეურნეობაში, რომლებიც გადიდებენ მის მოთხოვნილებას მუშა-ხელზე (დახმარება სოფლის ღარიბებს ნაწილის, ისეთ კულტურების განვითარება, რომელთაც დიდი შრომა ესაჭიროებათ, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მისი კოლექტივიზაცია, გადასახლება და სხ.) და მეორე, ინდუსტრიის განვითარება. ამასთან ერთად მიღებულ უნდა იქნას დაუყოვნებლივი ზომები საზოგადოებრივ სამუშაოთა გასაფართოებლად, უმუშევართა დახმარების, მუშების დაქირავების, სამუშაოდან დათხოვნის მოსაწესრიგებლად და შრომის ბირჟების მოსაწყობად.

კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო

(მოგვყავს უფრო დაწვრილებითი ანგარიში ვინემ გვქონდა გამოქვეყნებული გუშინ. რედ.)

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. მე-XV პარტკონფერენციის 27 ოქტომბრის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო.

ამხ. მანუილსკის სიტყვა

მანუილსკიმ აღნიშნა ,რომ ბუხარინის მიერ წამოყენებული ძირითადი დებულებები უდავოა და შემდეგ მიუთითა იმაზე, რომ კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის შედეგად, ძალთა გადაჯგუფება ხდება არა მარტო მუშათა კლასის შიგნით, არამედ მსოფლიო სახელმწიფოებს შიგნითაც. გერმანია, რომელიც ერთა ლიგის მოწყობის დასაწყისში წარმოადგენდა კოლონიალური ექსპლოატაციის ობიექტს, მისი სამეურნეო სტაბილიზაციის წყალობით, დაადგა აგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკის გზას. გერმანიის დაჯგომამ იმპერიალისტური პოლიტიკის გზაზე შექმნა ახალი დაჯგუფების შესაძლებლობა—გერმანიის ბლოკის შესაძლებლობა საფრანგეთთან. ინგლისსა და საფრანგეთს შორის წინააღმდეგობათა გაღრმავების ნიადაგზე, საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების ნიადაგზე შესაძლებელია კონტინენტალური ბლოკის შექმნა ინგლისის წინააღმდეგ. ამ ახალი ტენდენციების არსებობა ფარავს ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხეს. ამ კონკრეტიულ საფრთხეზე დღემდე ძალიან ცოტას ლაპარაკობდენ.

საერთაშორისო ურთიერთ დამოკიდებულებაში არის ორი კვანძი, რომლებიც მომავალ ომების მდიდარ წყაროს წარმოადგენენ, ეს არის—წყნარი ოკეანე და ხმელთაშუა ზღვა. შესაძლებელია, რომ ახალი ომი პირველად ამ რაიონებში არ დაიწყოს. მაგრამ ჩვენ ნათლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ძირითადათ მომავალი შეჯახება მოხდება ორ კოალიციას შორის, რომელთაგან ერთს მეთაურობს ამერიკა, რომელიც დღითი-დღე ძლიერდება, ხოლო მეორეს—დიდი ბრიტანეთი, დაქვეითებული იმპერიალიზმის ქვეყანა.

ინგლისის ახალი შესაძლებელი მოკავშირე—იტალია კვლავ ხდება იმპერიალისტური პოლიტიკის ერთ-ერთ ფაქტორად. ამის დამამტკიცებელია ჩემბერლენისა და მუსოლინის შეხვედრა ლივორნოში, რომლის შემდეგაც კვლავ გაძლიერდა მტრული კამპანია გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ.

ჯერ-ჯერობით ეს ახალი დაჯგუფებები არ არიან ჩამოყალიბებული, ჯერ-ჯერობით ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ მხოლოდ ტენდენცია ამ დაჯგუფების ჩამოყალიბებისაკენ. მაგრამ კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითად ამოცანად დასახულ უნდა იქნას ენერგიული ბრძოლის წარმოების საჭიროება ამ პაციფისტური ილუზიების დასამსხვრევად. დღევანდელი პაციფიზმი არსებითად განსხვავდება ომის წინანდელი პაციფიზმისაგან, ომის წინანდელი პაციფიზმის სოციალურ ბაზას წარმოადგენდა რანტიეთა კლასი. იმპერიალისტური ომის შედეგად [illegible] რანტიეთა კლასი. დღევანდელი პაციფიზმი ემყარება მსხვილ ინდუსტრიას, რომელიც ამჟამად დაინტერესებულია თავისი კაპიტალის მშვიდობიანი დაბანდების შესაძლებლობის უზრუნველყოფით. სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერს მსხვილი ინდუსტრიის ამ პაციფიზმს. ჩვენ ნათლად უნდა ვითვალისწინებდეთ მომავალი ომის საშიშროებას, და ამიტომ წინდაწინვე უნდა დავრაზმოთ ევროპის პროლეტარიატის საზოგადოებრივი აზრი ამ მომავალი საშიშროების წინააღმდეგ.

ამხ. ჯონ პეპერის სიტყვა

მანუილსკის შემდეგ გამოდის ამერიკის კომპარტიის წარმომადგენელი ჯონ პეპერი, რომელიც ანალიზს უკეთებს კომინტერნის არსებობის განმავლობაში მუშათა მოძრაობაში აღმოცენებულ ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობებს, ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობანი 1921 წელში გამოხატავდენ იმ ფაქტს, რომ უშუალო რევოლიუციონური სიტუაცია ევროპაში მაშინ არათანაზომიერი იყო. ლენინის მოხდენილი თქმით, ეს ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობანი აღინიშნენ „რევოლიუციონური მოუთმენლობით". დღევანდელი ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობანი აღმოცენდენ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის არათანაზომიერობის ნიადაგზე. მათ დღეს რევოლიუციონური მოუთმენლობა კი აღარ ახასიათებს, არამედ, პირიქით, პარაჟენცობა და პროლეტარული რევოლიუციის ძლიერებაში და მის მომავალ განვითარებაში რწმენის დაკარგვა. თუ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ 1921 წლის ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობებს ჰქონდათ საბჭოთა კავშირის დახმარების იმედი, იმ საბჭოთა კავშირის, რომელსაც ისინი მსოფლიო რევოლიუციის ცენტრად სთვლიდენ, ეხლა, პირიქით, ეს ახალი ფორმაციის ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობანი საკავშირო კომპარტიას არაპროლეტარულ პარტიას უწოდებენ და ამიტომ ისინი, ლაპარაკობენ რა საბჭოთა კავშირის ბურჟუაზიული გადაგვარების შესახებ, ობიექტურად კონტრ-რევოლიუციონური არიან, ევროპის რევოლიუციის მაგიერ მათ სურთ რევოლიუცია საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობანი ემყარებიან ოთხ სოციალურ ფენას, სახელდობრ: წვრილი ბურჟუაზიის ნაწილს, რომელიც ომის შემდეგ დროინდელ ინფლიაციის შედეგად, თავისი სოციალური მდგომარეობით ძალიან დაუახლოვდა პროლეტარიატს; ინტელიგენციის დეკლასიურ ფენებს, თვით პროლეტარიატის დეკლასიურ ფენას, რომელიც ხანგრძლივი უმუშევრობის ნიადაგზე წარმოიშვა და, ბოლოს, მეოთხე ფენას, წვრილ წარმოებაში მომუშავე მუშების ფენას. ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობათა წყაროს კი წარმოადგენს: კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია, მსოფლიო რევოლიუციის ტემპის შენელება, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გზაზე აღმართული სიძნელეები, იმპერიალისტური ფრონტის გაძლიერება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (გერმანიის ბურჟუაზიის ახალი დასავლეთური ორიენტაცია, რომელსაც სოციალ-დემოკრატებიც უდგებიან), მემარჯვენე საფრთხე და შეცდომები ჩვენს პარტიაში და, ბოლოს ოპოზიცია საკავშირო კომუნისტურ პარტიაში, რომელმაც გამანადგურებელი გავლენა იქონია სხვადასხვა კომუნისტურ პარტიების ზოგიერთ ფენებზე.

ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობა დაძლეულ უნდა იქნას არა მარტო იმისათვის, რომ ფრაქციების შექმნით ისინი ძირს უთხრიან კომპარტიის მთლიანობას, არამედ იმიტომაც, რომ მათი შემდეგი პოლიტიკა მიემართება კომინტერნისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დღევანდელი ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობანი მიექანებიან კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში. მათ წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა არა მარტო იდეოლოგიური, არამედ ორგანიზაციული გზითაც. კომინტერნი მხოლოდ მაშინ წავა წინ, თუ ის გადაივლის ულტრა-მემარცხენეთა პოლიტიკურ გვამზე.

ამხ. სტენის სიტყვა

სტენი ჩერდება რა კაპიტალიზმის სტაბილიზაციის წარმოებულ პროცესზე, აღნიშნავს, რომ მასთან ერთად ხდება წინააღმდეგობათა გამწვავება სხვადასხვა ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ჯერ არ გამქრალა რევოლიუციონური პერსპექტივები მსოფლიო მასშტაბით. მოხდა მხოლოდ ტემპის შენელება. ამიტომ კომინტერნის ძირითად პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს ძალთა დარაზმვა და კომუნისტური პარტიების მიერ მუშათა ფართო მასების დაპყრობა. საჭიროა ბრძოლა ამ ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობებთან, რომელნიც ამ გარემოებას არ ითვალისწინებენ და მხოლოდ ახდენენ პროლეტარული რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა დეზორგანიზაციას. საჭიროა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში არსებულ ყველა მემარცხენე მოვლენების გამოყენება პროლეტარული არმიის შექმნის მიზნით.

ამხ. რიუტინის სიტყვა

რიუტინი აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის ოპოზიციონურმა ბლოკმა კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხში გამოააშკარავა თავის სრული პოლიტიკური გაკოტრება. ოპოზიციონური ბლოკის განცხადება, რომ სტაბილიზაცია დასრულდა, შემთხვევითი არ არის. ის გამომდინარეობს არამარქსისტულ, არალენინურ წყაროებიდან და დაკავშირებულია ოპოზიციის მიერ რწმენის დაკარგვასთან სოციალისტურ მშენებლობასა და მუშათა კლასის გლეხობასთან დაკავშირებაში.

ამხ. ლოზოვსკის სიტყვა

ლოზოვსკი ფიქრობს, რომ დღევანდელ მომენტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საკითხი კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ფორმებისა და საზღვრის შესახებ.

მაგრამ, კაპიტალისტურ მსოფლიოს დამახასიათებელ თავისებურებას,—ამბობს ლოზოვსკი,—წარმოადგენს ის, რომ იმ დროს, როცა დახავსებული კაპიტალიზმის ქვეყნებში, უმთავრესად ევროპაში, ვამჩნევთ კაპიტალიზმის დეგრადაციას, კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში, პირიქით, ვამჩნევთ მისი განვითარების სწრაფ ტემპს. ასეთი სიტუაცია კაპიტალისტურ მსოფლიოში ჰქმნის ახალ წინააღმდეგობებს, ახალ დაჯგუფებებს, ძალთა ახალ განწყობილებას.

ამ გარდამავალ მომენტის მეორე დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სახელმწიფოთა დანაწილება და მათ შორის საბაჟო ბარიერების აღმართვა. ამ მოვლენამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ბანკირების მანიფესტში, რომელიც ამას წინედ გამოქვეყნებული იყო გაზეთებში. ევროპის დაშლის საქმეში დიდ როლს თამაშობს ამერიკა, რომელიც სცდილობს ზოგიერთი ევროპიული ქვეყნები თავის აგენტად გამოიყენოს. გერმანია, რომელიც დღეს ამერიკის სესხით სარგებლობს, ერთ ასეთ აგენტთაგანს წარმოადგენს.

ევროპაში ევროპიული კაპიტალიზმის ხვედრითი წონის შემცირების ნიადაგზე მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მუშათა კლასის სტრუქტურაშიც და მის იდეოლოგიაშიც. ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში ჩვენ ვამჩნევთ მუშათა მასების მნიშვნელოვან გამემარცხენებას და ამასთან ერთად მუშათა კლასის ზედაფენების გამემარჯვენებას. თუ ჩვენ გადავხედავთ არაევროპიულ ქვეყნებს მუშათა მოძრაობას დავინახავთ, რომ იმ დროს, როცა ამერიკაში მუშათა კლასის ოფიციალური ორგანიზაციები ატარებენ კონსერვატიულ პოლიტიკას, აღმავალ კაპიტალიზმის ქვეყნებში, მაგალითად ინდონეზიაში და ავსტრალიაში, მუშათა მოძრაობა წარმოადგენს უდიდესი ძლიერების რევოლიუციონურ ფაქტორს. შემთხვევითი არ არის, რომ საკითხი პროფკავშირთა წყნარი ოკეანეს ყრილობის მოწვევის შესახებ წამოაყენეს ავსტრალიის პროფესიონალურმა კავშირებმა. ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების მუშათა მოძრაობა, რომელიც თანდათან ძლიერდება, გადაჭრით სვამს საკითხს მუშათა მოძრაობის გაერთიანებისა და ახალი ინტერნაციონალის შექმნის შესახებ.

— რომ სწორად დავსვათ და გადავჭრათ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხი,—განაგრძობს ლოზოვსკი,—საჭიროა შევისწავლოთ, როგორც დახავსებული კაპიტალიზმის, ისე ახალი კაპიტალიზმის ქვეყნების არსებული მდგომარეობა, რომელიც განსაკუთრებით განვითარდა იმპერიალისტური ომის შემდეგ.

მაგრამ როგორადაც არ უნდა მიუდგეთ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხს, ჩვენ დუმილით გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ სოციალიზმის სტაბილიზაცია საბჭოთა კავშირში წარმოადგენს ძლიერ ფაქტორს რომელიც ხელს უშლის კაპიტალიზმის სტაბილიზაციას, რომ სოციალიზმის სტაბილიზაცია ჩვენს ქვეყანაში უფრო უზრუნველყოფილი იქნეს, საჭიროა პირველ ყოვლისა საკავშირო კომპარტიის (ბ) სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. ჩვენმა პარტიულმა მასამ კარგად შეიგნო ეს, როცა ოპოზიციის ყველა ცდებს შეერყია საკავშირო კომპარტიის სტაბილიზაცია მან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია.

ამხ. კუზმინის სიტყვა

კუზმინი ლაპარაკობს, რომ მთავარი ამოცანა, რომელიც სდგას, როგორც ჩვენი პარტიის, ისე კომუნისტური ინტერნაციონალის წინაშე,—ეს არის ოპოზიციურ ჯგუფების რაც შეიძლება დაჩქარებით ლიკვიდაცია და მით რევოლიუციონურ მოძრაობის შემაფერხებელ დაბრკოლებათა აღმოფხვრა.

ამხ. სკრიპნიკის სიტყვა

სკრიპნიკი ანალიზს უკეთებს ოპოზიციის სხვადასხვა ბელადების პოზიციებს და ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხში ოპოზიციას არ აქვს გარკვეული მკვიდრი შეხედულება. ზინოვიევი მაგალითად, ერთ შემთხვევაში ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია არ არის მკვიდრი, მეორე შემთხვევაში კი ამას უარყოფს. ასეთსავე მერყეობას იჩენს ტროცკიც. ეს არასაკმაოდ ნათელი პოზიცია კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხში სრულებითაც არ არის შემთხვევითი, მას ფესვები აქვს გადგმული იმაში, რომ ოპოზიციას არ სჯერა მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება და სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობა საბჭოთა კავშირში. თუ მოვიგონებთ ისტორიას, ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლა შეგვიძლია შევადაროთ კამენევის გამოსვლებს ოქტომბრის რევოლიუციის წინ, როცა ის ეკამათებოდა ლენინს და ამტკიცებდა სოციალისტური რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურის შეუძლებლობას ერთ ქვეყანაში.

სკრიპნიკი კონფერენციის ყურადღებას მიაქცევს მთელ რიგ ფაქტებზე, რომელნიც მოწმობენ, რომ ზოგიერთი ბურჟუაზიული სახელმწიფოები ემზადებიან მეტად აქტიურ გამოსვლებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მჭიდროთ დაუკავშირდეთ დასავლეთ ევროპის მუშათა მასებს და ყოველმხრივ დავიპყროთ მათი სიმპატიები, ვინაიდან ამ შემთხვევაში მათ შეუძლიათ დიდი სამსახური გაგვიწიონ ჩვენ, ხელი გამოგვიწოდონ ბურჟუაზიული სახელმწიფოების ინტერვენციონისტულ ზრახვების წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდა ამ ამოცანებისა, ჩვენი ამოცანაა აგრეთვე რაც შეიძლება უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა და განვავითაროთ გლეხთა ინტერნაციონალის მუშაობა.

ამხ. რასკოლნიკოვის სიტყვა

რასკოლნიკოვი ჩერდება აღმოსავლეთის ქვეყნების მდგომარეობაზე. ის ლაპარაკობს, რომ აღმოსავლეთში ჩვენ გვყავს მთელი რიგი სახელმწიფოებისა, რომელთა ეკონომიური განვითარება სხვადასხვა დონეზე სდგას.

ერთის მხრივ იქ არიან ეკონომიური განვითარების უაღრესად დაბალ დონეზე მდგომი ქვეყნები, რომლებშიაც თითქმის სრულებით ადგილი არ აქვს კაპიტალისტურ ურთიერთობას, ასეთი ქვეყნებია მაგალითად ავღანისტანი და მონღოლეთი. ჩვენი ამოცანაა დახმარება გაუწიოთ მათ ნაციონალური დამოუკიდებლობის დაცვაში და ამ დამოუკიდებლობის ნიადაგზე განვითარებაში.

ამ ქვეყნებს გარდა აღმოსავლეთში არიან აგრეთვე ისეთი სახელმწიფოები, სადაც მოიპოვებიან კაპიტალიზმის ელემენტები: ოსმალეთი, სპარსეთი, ჩინეთი, ინდონეზია და სხვ. ყველა ეს სახელმწიფოები შედარებით დიდი ხანი არ არის რაც კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგენ. ზოგიერთ მათგანში თუმცა ადგილი აქვს საზოგადოების მკაფიოდ დაყოფას კლასებად, მაგრამ არსებობენ საერთო ნაციონალური ხასიათის ამოცანები, რომელნიც ყველა კლასებს აერთიანებენ. კომინტერნის ამოცანას ასეთ ქვეყნებში, განსაკუთრებით, ჩინეთში პირველყოვლისა წარმოადგენს ნაციონალურ - რევოლიუციონური განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთიანი ფრონტის განმტკიცება.

ამხ. ბუხარინის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში ამხ. ბუხარინი პირველყოვლისა ჩერდება კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხზე და მიუთითებს მთელ რიგ ფაქტორებზე, რომელნიც უდავოდ მოწმობენ ამ სტაბილიზაციის განუმტკიცებლობას.

საბჭოთა კავშირის ზრდა, სოციალისტურ ელემენტების ზრდა ჩვენი ქვეყნის შიგნით წარმოადგენს უდიდეს ფაქტორს, რომელიც არღვევს კაპიტალისტურ სტაბილიზაციას. ჩინეთის რევოლიუციაც, რომელშიც ჩაბმულია 430 მილიონიანი ჩინეთის მოსახლეობა, უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფაქტორია, რომელიც სოლივით არის შესობილი კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობაში. ინგლისის გაფიცვა, რომელსაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს წარმოადგენს მესამე სოლს კაპიტალიზმის სტაბილიზაციაში, მაგრამ გარდა ამ პირველ ხარისხოვანი ხასიათის ფაქტორებისა, რომელნიც უარყოფით მოვლენას ახდენენ კაპიტალიზმის სტაბილიზაციაზე, არსებობს მთელი რიგი მეორე ხარისხოვან ფაქტორებისა.

ამ რიგად, ანალიზი მოწმობს კაპიტალისტური სტაბილიზაციის განუმტკიცებლობას.

შემდეგ ბუხარინი ახასიათებს ზედმეტი საქონლის დამზადებით გამოწვეულ კრიზისს, რომელსაც ადგილი აქვს დასავლეთ ევროპაში. დიდი შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ეხლანდელი კრიზისი კაპიტალისტურ მეურნეობაში თავისი ბუნებით ჩვეულებრივი, ტიპიური კრიზისი არის. ამის მტკიცება ნიშნავს იმის დავიწყებას, რომ ომით გამოწვეული ნგრევა კიდევ არ არის აღმოფხვრილი, ამის გაუთვალისწინებლობა შეუძლებელია ეხლანდელი კრიზისის გაშუქების დროს.

ერთ-ერთ უდიდეს საკითხს ამჟამად წარმოადგენს ბრძოლა სპეციფიურ პაციფიზმის წინააღმდეგ, რომელმაც მოიცვა პირველყოვლისა სოციალ - დემოკრატია, ბრძოლა იმ სამხედრო წინააღმდეგობათა მიჩქმალვასთან, რომელთაც ადგილი აქვს კაპიტალისტურ მსოფლიოში, ბრძოლა საომარ სამზადისის მიჩქმალვასთან და სხვ. აქ საჭიროა ბრძოლა როგორც შესაძლებელ და აუცილებელ ომის მზადებასთან კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ისე, განსაკუთრებით, საომარ სამზადისთან, რომელსაც აწარმოებენ ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ძალიან ძნელია იმის წინასწარმეტყველება, იქნება თუ არა ეს ომი ან როდის იქნება ის. მაგრამ ეჭვს გარეშეა ის, რომ ყველა ამ საკითხების დაყენების დროს ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი ომის საფრთხის პრაქტიკული კრიტიკის შესახებ. ჩვენ მუშათა კლასის საზოგადოებრივი ძალების მობილიზაცია უნდა ჩავატაროთ კაპიტალისტურ ქვეყნების იმპერიალისტურ ზრახვების წინააღმდეგ.

კომინტერნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მუშაობა პროფესიონალურ ორგანიზაციებში. სწორედ დაყენებული მუშაობა პროფესიონალურ კავშირებში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილად უნდა იქცეს მუშათა მასების გარევოლიუციონერების საქმეში. უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვენი კომუნისტური პარტიები ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეეთვისენ ამ მუშაობას. ხშირად კომუნისტების მუშაობა პროფესიონალურ კავშირებში არაფრით არ განირჩევა სოციალ - დემოკრატების მუშაობისაგან, ხოლო ერთი რამ ცხადია, რომ თუ ჩვენ გვინდა ამ მუშაობის წარმოება, პირველყოვლისა ერთგვარი ჩვენი საკუთარი კომუნისტური სახე უნდა გვქონდეს.

რა გზით უნდა წავიდეს ჩვენი მუშაობა პროფკავშირებში? პირველყოვლისა ჩვენ ეხლა თავი უნდა მოვუყაროთ ძალებს ტრესტების კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კაპიტალისტური მრეწველობის რაციონალიზაცია, ინდუსტრიის ტრესტიფიკაცია და სხ. მძიმე ტვირთად აწვება მუშათა კლასს, განსაკუთრებით, მის ცალკე რაზმებს, უნდა ითქვას, რომ ჩვენ მეტად ხელსაყრელი ნიადაგი გვაქვს პროფესიონალურ კავშირებში მუშაობისათვის. პრაქტიკულ ლოზუნგად ამ ხაზით სავსებით რეალურად უნდა ჩაითვალოს პროფკავშირების გადახალისება საწარმოო საფუძველზე, ძლიერ პროფესიონალურ გაერთიანებათა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების შექმნა.

მეორე გენერალურ ხაზს ამ მუშაობაში წარმოადგენს ხაზი, დაკავშირებული კაპიტალისტურ სტაბილიზაციასთან. მაგალითად,გერმანიაში, სადაც რაციონალიზაციის კაპიტალისტური პროცესი უფრო ინტენსიურად ვითარდება, სადაც სოციალ - დემოკრატები ყოველმხრივ ხელს უწყობენ ამ პროცესს და მორჩილებას და მოთმენას უჩიჩინებენ მუშებს, მუშათა კლასი გაიყო მომუშავეებად და უმუშევრებად. ეს გარემოება მეტად ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის პროფესიონალურ კავშირებში მუშაობისათვის. პრაქტიკულ ამოცანებად ამ ხაზით წამოყენებული უნდა იქნეს უმუშევართა ჩაბმა პროფკავშირებში, მუშათა მასების მობილიზაცია ამ კამპანიისათვის, მუშათა კლასის სხვადასხვა ნაწილების გაერთიანება, ძალების მობილიზაცია იმ დახმარების წინააღმდეგ, რომელსაც სოციალ - დემოკრატია უწევს კაპიტალიზმს.

ბუხარინი აღნიშნავს, რომ ინგლისის კომუნისტური პარტია, რომელმაც ამ მხრივ აიღო სწორი ხაზი და შეათავსა საერთო ლოზუნგები და მუშათა კლასის კონკრეტული ყოველდღიური მოთხოვნილებანი, უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაძლიერდა. თუ მოვიგონებთ, რომ ინგლისში კომუნიზმზე ირონიით ლაპარაკობდენ და მას „საიმპორტო პროდუქტად" სთვლიდენ, ინგლისის კომუნისტური პარტიის დიდ წარმატებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, მით უფრო, რომ ეს წარმატებები იმდენად დიდია, რომ მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნიან ინგლისის იმპერიალიზმისათვის.

უკანასკნელ დროს გერმანიის კომუნისტური პარტიის ხაზი ამ მხრივ რამოდენიმედ გამოსწორდა. მის მიერ ჩატარებულმა საყოველთაო კენჭის ყრის კამპანიამ გააძლიერა გერმანიის კომპარტიის გავლენა მუშათა მასებს შორის, ასწია მისი ავტორიტეტი და გაადიდა მის წევრთა რაოდენობაც.

დასასრულ ბუხარინი ჩერდება ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვასთან დაკავშირებით საკითხებზე. ის ლაპარაკობს, რომ ამ გაფიცვამ ცხადჰყო მუშათა კლასის ამ რაზმის უდიდესი გამძლეობა და სიმხნევე და ჩვენს წინ გადაშალა უდიდესი რევოლიუციონური პერსპექტივა ინგლისში ნახევრად დამარცხების ან სრულ დამარცხების შემთხვევაშიაც ეს გაფიცვა უდიდეს გავლენას იქონიებს მთელი მუშათა კლასის გარევოლიუციონერებაზე.

„ეხლა — ლაპარაკობს ბუხარინი—ვაჭრობა ხდება გენერალურ საბჭოს და ინგლისის მთავრობის შორის. ეხლა სწყდება საკითხი—გაყიდის თუ არა გენერალური საბჭო მემაღაროეთა გაფიცვას. ჩვენ აქ ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყოთ, შეუსუსტებლად მხარი უნდა დავუჭიროთ ამ გაფიცვას. აი ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა მე-15-ე პარტკონფერენციამ აუცილებლად უნდა სთქვას: „გაუმარჯოს ინგლისელ მემაღაროეებს"".

ბუხარინის უკანასკნელ სიტყვებს მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით ფარავს.

ამხ. ა. ი. რიკოვის მოხსენება*)

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა

(27 ოქტომბრის საღამოს სხდომა)

27 ოქტომბრის პარტკონფერენციის საღამოს სხდომაზე ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. რიკოვი.

„ამჟამად, სთქვა ამხ. რიკოვმა, ჩვენ შევდივართ სამეურნეო განვითარების ახალ პერიოდში—მეურნეობის უფრო მაღალ ტეხნიკურ საფუძველზე მოწყობის პერიოდში. მრეწველობაში და სასოფლო მეურნეობაში ჩვენ მივაღწიეთ ომის წინა დროის დონეს. აღდგენითი პერიოდი უკან დაგვრჩა. ახლად შექმნილ წარმოებაში საშუალებების მოთავსება გაცილებით უფრო ძნელი ამოცანაა, ვიდრე აღადგენ მრეწველობაში საშუალებების მოთავსება, ვინაიდან ის მილიარდი, რომელიც როგორც ძირითადი კაპიტალი წელს იქნება მოთავსებული ჩვენს მრეწველობაში, შედეგებს მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ მოგვცემს. სწორედ ამიტომ ინდუსტრიალიზაციის გეგმის განხორციელება რამდენადმე დამოკიდებულია იმაზე, შევსძლებთ თუ არა ჩვენ ამ უზარ-მაზარი საშუალებების მიზანშეწონილად გამოყენებას.

ინდუსტრიალიზაციის განხორციელების ძირითად მომენტს წარმოადგენს საკითხი—საიდან მივიღოთ და რას მოვახმაროთ ახალი კაპიტალი. ჩვენ გვაქვს მრეწველობაში მოსათავსებელ საშუალებათა სამი ძირითადი წყარო: თვით მრეწველობის შიგნი შეძენილი დაგროვება; ეკონომიკის სხვა დარგებში არსებულ დაგროვების მრეწველობაში გადატანა; მოსახლეობის მომარაგებულ თანხების გამოყენება.

ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპის შესახებ ამხ. რიკოვი აღნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობის გეგმით გათვალისწინებულ 18 პროცენტით ზრდამ მიმდინარე წელს და 12 პროცენტით შემდეგ წელს ჩვენი პარტიის ზოგიერთ წევრებში გამოიწვია პარაჟენცული განწყობილება, რომელიც გახდა ოპოზიციის პლატფორმად. მრეწველობის ყოველწლიური ზრდა უმთავრეს კაპიტალისტურ ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი) ათეულ წლის განმავლობაში იმამდე სულ უდრიდა 1—4 პროცენტს. ამრიგად ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი მეტად დიდია, როგორც არ ჰქონია არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას და მან შიშის აჩრდილიც კი არ უნდა გამოიწვიოს.

კაპიტალი, პირველ ყოვლისა, უნდა დაიხარჯოს მანქანების დასამზადებლად, ვინაიდან მრეწველობის ამ დარგის დაბალი დონე ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ორგანიულ სენს წარმოადგენს. ძირითად მეორე ამოცანად მრეწველობის რეორგანიზაციის დარგში ამხ. რიკოვი სცნობს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას სავსებით და სამრეწველო ორგანიზაციების მართვის სისტემის შეცვლას. მომჭირნეობის რეჟიმის არსებითი შედეგები მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას მიღებული, თუ სამრეწველო წარმოებათა მმართველობის ეხლანდელი სისტემა შეიცვლება. ეს სისტემა მეტად დიდ ცვლილებებს მოითხოვს. გარდა იმისა, რომ სამეურნეო ორგანიზაციები არ იძლევიან დაპირებულ აუცილებლად საჭირო თანხებს, იმ პირებს, რომელნიც სდგანან ამ წარმოების სათავეში ყოველგვარი სამეურნეო და პროფესიონალური ორგანოები უკეთებენ დაუსრულებელ რევიზიებს.

შემდეგ ამხ. რიკოვი ეხება სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის საკითხებს. სოფლის ფენებად დაყოფის საკითხის შესახებ ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ეს დაყოფა ჩვენ გვიჩვენებს კაპიტალისტურ განვითარების აღდგენას იმ ტემპით, რომელიც რევოლიუციამდე არსებობდა. გლეხთა მეურნეობის ცვლილებანი კი გვიმტკიცებენ, რომ გლეხობის საშუალო ფენის დაშლის მაგიერ ჩვენ გვაქვს გლეხობის ყველა ჯგუფების საერთო წინსვლა, მათ შორის საშუალო შეძლების გლეხთა ფენის ძირითადი ნაწილის წინსვლა.

ოპოზიციის მტკიცებას, რომ ჩვენი პოლიტიკა გლეხობის მიმართ არის კაპიტულიაციის პოლიტიკა სოფლის კულაკური ელემენტების წინაშე, სავსებით უარყოფენ ის ცნობები, რომელიც ჩვენ გვაქვს გლეხობის ფენებად დაყოფის შესახებ. ოპოზიცია ამბობს, რომ ვითომც ჩვენ ვატარებთ არა სწორ საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც სოფელში კულაკური [illegible]ების გამაგრებას უწყობს ხელს. რაში მდგომარეობს ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის არსებითი მხარე? უპირველესად ყოვლისა იმაში, რომ მთელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 47 პროცენტს იხდის კულაკური მეურნეობანი, რომელნიც მთელი გლეხთა მეურნეობის 15 პროცენტს შეადგენენ.

მეორე მომენტი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან გავანთავისუფლეთ 25—30 პროცენტამდე გლეხთა მეურნეობანი, ღარიბ გლეხთა მეურნეობანი. მთელ რიგ ნიშნების მიხედვით შეიძლება მტკიცება, რომ გლეხობის კიდევ დაბეგვრა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ნაკლებად არის შესაძლებელი და ეს იქნებოდა მუშათა და გლეხთა კავშირის გაწყვეტა, რომელსაც დიდი პოლიტიკური გართულებანი მოჰყვებოდა.

გლეხობის საკითხთან მჭიდროთ არის დაკავშირებული საკითხი კერძო კაპიტალის შესახებ. ოპოზიცია გვაშინებს ჩვენ კერძო კაპიტალის უდიდესი ზრდით და გვიქადის ყოველგვარ უბედურებებს.

რომ გავაქარწყლოთ ეს ლეგენდა კერძო კაპიტალის შესახებ, საკმარისია მოვიყვანოთ ციფრები: 1923—24 წ. საბითუმო ვაჭრობის 22 პროც. იყო კერძო კაპიტალის ხელში; 1925—26 წ. ეს პროცენტი ეცემა 9 პროცენტამდე. შესაფერისი დაცემა გვაქვს საცალო ვაჭრობაშიაც. 1923—24 წ. კერძო კაპიტალის ხელში იყო საცალო ვაჭრობის 57 პროც.; 1925—26 მხოლოდ 39 პროც.

სწორია თუ არა ჩვენი ფასების დაწევის პოლიტიკა? ოპოზიცია ამტკიცებს, რომ საჭიროა ფასების აწევის პოლიტიკის შემოღება. მაგრამ ოპოზიცია არ უწევს იმას ანგარიშს, რომ ფასების აწევის პოლიტიკა ნიშნავს კავშირს კულაკთან და ნეპმანთან და არა ღარიბ გლეხთან, ვინაიდან მაღალი ფასების დროს სამრეწველო პროდუქტები მიუწვდომელი გახდება ღარიბ და საშუალო გლეხობისათვის. სამრეწველო საქონლის მაღალი ფასები ნიშნავს მუშებისა და გლეხების კავშირის გაწყვეტას, ის ნიშნავს ჩვენი რევოლიუციის დამარცხებას.

ოპოზიციის ბელადს ტროცკის დაავიწყდა, რომ პორაჟენცობა კარგია იმპერიალისტური ომის დროს, მაგრამ ცუდი იყო პორაჟენცი მაშინ, როცა პროლეტარიატი აწარმოებს ბრძოლას თავისი დიქტატურის განსამტკიცებლად.

ამხ. რიკოვის უკანასკნელი სიტყვა ხანგრძლივი ტაშით იფარება.

---

*) იბეჭდება შემოკლებით. მოხსენების სრულ ანგარიშს დამატებით მოვათავსებთ. რედ.

---

28 ოქტომბრის დილის სხდომა

კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო

28 ოქტომბრის დილის სხდომა გაიხსნა კამათით ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო. სიტყვა ეძლევა ამხ. ეიხეს.

ამხ. ეიხეს სიტყვა

ამხ. ეიხე მიაქცევს კონფერენციის ყურადღებას იმ საკითხებზე, რომელნიც დაკავშირებული არიან ადგილობრივ მრეწველობის განვითარებასთან. მისი აზრით, ამ მრეწველობის ხვედრითი წონა მნიშვნელოვანია ჩვენს საერთო სამეურნეო ცხოვრებაში.

— თუ ჩვენ ვიმსჯელებთ ჩვენი მრეწველობის სუსტ მხარეებზე—ამბობს ამხ. ეიხე,—უსათუოდ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ამ სუსტი მხარეების გამოსწორება მჭიდროთაა დაკავშირებული ადგილობრივი მრეწველობის განვითარებასთან, მაგალითად, როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ სათბობი მასალების მრეწველობაზე, რომლის პროდუქციაც ამჟამად ვერ ფარავს ბაზრის მოთხოვნილებას, უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ციმბირში ამ მხრივ ჩვენს წინაშე დიდი შესაძლებლობანია, რითაც უნდა ვისარგებლოდ შესაფერისი წესით და განვავითაროთ ციმბირის ქვა-ნახშირის წარმოება.

ახალი აღმშენებლობის დარგში, ჩვენს ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს ამ აღმშენებლობის დაახლოვება მრეწველობის ცენტრებთან. თუმცა პრაქტიკა ამ მხრივ გვიჩვენებს სრულებით საწინააღმდეგო მოვლენას. მაშინ, როდესაც მოსკოვში აგებენ ტყავეულობის საკეთებელ ქარხანას და არა აქვთ ქარხნისათვის საჭირო ნედლი მასალა, ციმბირში დიდძალი ნედლეულია, მაგრამ ტყავეულობის ქარხნები არ მოიპოვება. მეურნეობის ასეთი წყობა არ არის მიზანშეწონილი და რაციონალური.

ერთ-ერთ უძნელეს ადგილთაგანს ჩვენს ეკონომიკაში წარმოადგენს საექსპორტო-საიმპორტო საქმე.

ამ დარგში ციმბირს აქვს დიდი შესაძლებლობანი, რაც დღემდე არაა კიდევ სრულად გამოყენებული. ციმბირში ძლიერ ვითარდება ერბო-კარაქის წარმოება. თუ 1923 წელს ციმბირში შევსძელით დაგვემზადებია 300.000 ფუთი ერბო, გასულ წელს უკვე დავამზადეთ 2 მილიონ ფუთამდე.

აქ პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს ფასების ერთგვარი გათანაბრება ციმბირის კარაქზე და იმ კარაქზე, რომელიც მზადდება საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილში, კერძოთ ვოლოგოდის გუბერნიაში.

საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობის სათანადო განვითარება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ რამდენიმედ შევცვლით არსებულ საკრედიტო პოლიტიკას მიზნობრივ კრედიტების ვადის გაგრძელების მიზნით.

ეიხე აღნიშნავს ჩვენი ვაჭრობის ზრდის და კოოპერატიულ სავაჭრო ქსელის განმტკიცებას. მისი აზრით, ამ დარგში მიღებულ წარმატებათა განმტკიცება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეცვლილ იქნება ანგარიშის გასწორების საფუძვლები სახელმწიფო მრეწველობის და კოოპერაციის შორის განსაკუთრებით იმ კოოპერაციის მიმართ, რომელიც საბჭოთა კავშირის განაპირა მხარეებს ემსახურება.

ამხ. ჩუბარის სიტყვა

ამხ. ჩუბარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რიკოვის მოხსენებაში და მისი მოხსენების თეზისებში მოყვანილი ციფრები, რომელნიც ახასიათებენ ჩვენი მრეწველობის მდგომარეობას, ზრდის და მისი განვითარების პერსპექტივებს, სავსებით თავდაყირა აყენებენ ოპოზიციის ყველა შეხედულებებს და მთელს მის კრიტიკას პარტიის სამეურნეო პოლიტიკის დარგში.

ამხ. ჩუბარი აღნიშნავს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენი მრეწველობის კონსტრუქციაში. საგეგმო მუშაობის უაღრეს კონცენტრაციას არსებითად მოაქვს არა სარგებლობა, არამედ ზიანი, ვინაიდან ასეთ მუშაობის მეოხებით ჩვენ ყოველთვის ვაგვიანებთ გეგმებს იმის გამო, რომ გეგმების განხილვამ მრავალი ინსტანცია უნდა გაიაროს.

მაგალითად, შარშან სასოფლო მეურნეობისათვის მანქანების მიწოდების გეგმა 90 სხდომაზე იქნა განხილული. თითქმის ასეთივე ზედმიწევნით გართულებული მუშაობა ხდება ბიუჯეტის შედგენის დროსაც: ეს ფაქტები მოწმობენ, რომ საგეგმო მუშაობის დეცენტრალიზაციის საკითხი ამჟამად უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია.

ჩუბარი უარყოფს ლეგენდას, თითქოს უკრაინაში კერძო კაპიტალი გაძლიერებული იყოს. წელს უკრაინაში კერძო კაპიტალის ხელში იყო საერთო აღებმიცემობის მხოლოდ 27 პროცენტი, ხოლო კერძო კაპიტალის საშუალებათა რაოდენობა არ აღემატებოდა 86 მილ. მანეთს. უკრაინაში ბრძოლა კერძო კაპიტალის წინააღმდეგ, გარდა საგადასახადო ღონისძიებებისა, სწარმოებს აგრეთვე კოოპერაციის განვითარების და განმტკიცების შემწეობით.

მიღწევები, რომელნიც ჩვენ გვაქვს სამეურნეო მშენებლობის დარგში,—ამთავრებს თავის სიტყვას ჩუბარი,—სრულ იმედს გვაძლევენ იმისას, რომ ჩვენ შეგვიძლია კონკრეტიული შინაარსით შევავსოთ საკონტროლო ციფრებით დაწესებული ფარგლები.

მომავალ სამეურნეო მშენებლობის დარგში ძირითად ამოცანად უნდა იქცეს წამოყენებული ქვეყნის ელექტრიფიკაცია, ვინაიდან მხოლოდ ამ ნიადაგზე შეგვიძლია აღმოფხვრათ ყველა სამეურნეო სიძნელენი, რომელიც ჩვენ გვაქვს.

ამხ. მილიუტინის სიტყვა

ამხ. მილიუტინი მიუთითებს სამ მთავარ ამოცანაზე, რომელიც ამჟამად სდგას ჩვენს წინაშე: ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, კოოპერატიული მშენებლობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა, სასოფლო მეურნეობის ტეხნიკის განვითარების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, მის იმ დარგებში, რომელნიც ნედლეულის დამზადებასთან არიან დაკავშირებული.

რა გზით უნდა განვახორციელოთ ეს ამოცანები? ამხ. მილიუტინი ფიქრობს, რომ ამ საკითხს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მის გადაჭრაზეა დამოკიდებული ჩვენი სამეურნეო და საგლეხო პოლიტიკის წარმართვა, მუშათა კლასის და გლეხების კავშირის შემდგომი არსებობა და განმტკიცება. აღდგენითი პერიოდის ძირითადი ამოცანა იყო მუშების და გლეხების კავშირი, ამ კავშირის დაცვა და განმტკიცება; ამ აღდგენითი პერიოდის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ჩაითვლება ის, რომ ეს ამოცანა განხორციელებული იქნა. ეხლაც ეს ამოცანა ძირითად ამოცანად რჩება.

თუ შევეხებით საგლეხო მეურნეობის დიფერენციაციის საკითხებს, ამის შესახებ არსებული ცნობები მოწმობენ, რომ სამეურნეო და საგლეხო პოლიტიკა, რომელსაც დღემდე პარტია აწარმოებდა, სავსებით სწორია და სავსებით შეეფერება მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცების ინტერესებს. ოპოზიცია ჩვენი სოფლის განვითარებას სთვლის კაპიტალისტურ განვითარებად. ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობს პრეობრაჟენსკი.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამჟამად ხდება გლეხობის ყველა ჯგუფების გამოცოცხლება, პირველ ყოვლისა კი ღარიბ და საშუალო გლეხობის ჯგუფების. მაგრამ ხდება არა მარტო ეს. ამ გამოცოცხლებასთან ერთად ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამჟამად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აერთიანებს უკვე მთელი გლეხური მოსახლეობის 30 პროცენტს, ხოლო კოოპერაციის საპაიო კაპიტალები ამ უკანასკნელ წლებში სამჯერ უფრო მეტად გაიზარდა. საერთოდ სოფლად ჩვენ ვხედავთ სოციალისტური განვითარების აშკარად გამოხატულ ტენდენციას, რომელიც ჰქმნის საფუძველს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის.

ძირითადი ამოცანა მახლობელ პერიოდისათვის იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პრობლემა ისე უნდა გადავსჭრათ, რომ განვამტკიცოთ მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი, გამოვიყენოთ ყველა სამეურნეო შესაძლებლობანი, კერძოთ სასოფლო-მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, ჩვენი საგასახადო პოლიტიკა, ადგილობრივი მეურნეობის განვითარება და სხვ.

მეორე ამოცანა შეეხება მეურნეობის მართვის სისტემის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. არა საკმარისი გეგმიანობა, შემცდარი გამოანგარიშება და ბიუროკრატიზმის ელემენტები მეურნეობის მართვა-გამგეობაში,—ყოველივე ეს დიდ ზიანს აყენებს სოციალისტური მეურნეობის განვითარების საქმეს. ჩვენ უნდა გავატაროთ ისეთი სამეურნეო პოლიტიკა, რომ თავიდან ავიცილოთ კრიზისები. თუ ჩვენ ამ მხრივ საბჭოთა კავშირს შევადარებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მაშინ ,როცა მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა წარმოადგენს ისეთ სისტემას, რომლის დროს კრიზისები აუცილებელია, ჩვენი მეურნეობის სისტემის დროს კრიზისი მოსალოდნელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ სამეურნეო შეცდომებს დავუშვებთ. მტკიცე ხაზის გატარება სამეურნეო პოლიტიკის დარგში უზრუნველყოფს სოციალიზმის შემდგომ განვითარებას.

ამხ. ივანოვის სიტყვა

ამხ. ივანოვი კონფერენციის ყურადღებას მიაქცევს სათბობი მასალის არსებულ კრიზისზე და ფიქრობს, რომ ჩვენ კიდევ ვერ გამოვიყენეთ ყველა შესაძლებლობანი მისი ლიკვიდაციისათვის. კერძოდ ორატორი მიუთითებს კუზნეცკის ქვა-ნახშირის დიდ მარაგზე, რომელიც დონის აუზის სიმდიდრეს სამჯერ აღემატება. სათანადო სამეურნეო პოლიტიკის შემწეობით კუზნეცკის ქვა-ნახშირი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სათბობი მასალის კრიზისის ლიკვიდაციის საქმეში.

მეორე საკითხს, რომელსაც პარტიამ ყურადღება უნდა მიაქციოს, წარმოადგენს ციმბირის ინდუსტრიალიზაციის საკითხი, ვინაიდან ციმბირს ყოველგვარი შესაძლებლობა აქვს ამისათვის. ციმბირში დიდძალი სათბობი მასალის მარაგი. ციმბირის ნედლეული რესურსებიც საგრძნობია, იქ საჭირო მუშა-ხელიც მოიპოვება.

ამხ. კულაკოვის სიტყვა

ამხ. კულიკოვი ფიქრობს, რომ ოპოზიციის ძირითადი შეცდომანი სამეურნეო პოლიტიკის დარგში არის ის, რომ იგი მოითხოვს ყველა საშუალებათა გამოყენებას მძიმე ინდუსტრიის აღმშენებლობისათვის და არ ითვალისწინებს იმას, რომ ამ პოლიტიკით კავშირი გაწყდება მძიმე და მსუბუქ ინდუსტრიის განვითარების შორის. ოპოზიციის წინადადება ნიშნავს საქონლის ნაკლებობის გაძლიერებას და მუშათა და გლეხთა საარსებო დონის შემცირებას ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით. ეს თვალსაზრისი გადაჭრით და კატეგორიულად უნდა უარყოს პარტიამ.

კულიკოვი სცნობს, რომ დიდ დაბრკოლებას ჩვენს სამეურნეო აღმშენებლობაში წარმოადგენს ტეხნიკური ჩამორჩენილობა და კვალიფიციურ ტეხნიკურ ძალთა ნაკლებობა. ამ ნაკლის შესავსებად აუცილებელია ტეხნიკოსების დაჩქარებით გამოშვება უმაღლეს სასწავლებლების მიერ. იმ შემთხვევაში კი, თუ ჩვენი ტეხნიკები არ გვეყოფა, მაშინ საზღვარგარეთიდან უნდა მოვიწვიოთ.

ამხ. მურალოვის სიტყვა

ამხ. მურალოვი აღნიშნავს, რომ მრეწველობის აღმშენებლობის საქმეში პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწიეს სრულ ერთობას მუშათა კლასთან, რაც განსაკუთრებით საგრძნობია ადგილობრივ, სადაც მრეწველობის აღმშენებლობის პროცესი სწრაფი ტემპით მიდის.

კოოპერაციის განვითარება, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ უკანასკნელ წლებში ასეთივე კავშირს ჰქმნის პარტიისა და გლეხობის შორის. ჩვენი ქვეყნის მთელი ძალების გაერთიანება სამეურნეო აღმშენებლობის საკითხების ირგვლივ საუკეთესო საწინდარია იმისა, რომ ჩვენი მრეწველობის აღმშენებლობა უზრუნველყოფილია და უადგილოა ოპოზიციის წინასწარმეტყველებანი. მურალოვი ფიქრობს, რომ ძირითადი საკითხები, რომლებსაც უნდა მიექცეს პარტიის ყურადღება უახლოეს პერიოდში არის მეურნეობის რეკონსტრუქცია, კერძო მრეწველობის განვითარების და ადგილობრივი ფინანსების გამაგრების საკითხები.

ამხ. ლარინის სიტყვა

თითქმის მთელ პარტიას, ამბობს ამხ. ლარინი აქვს ერთნაირი შეხედულება. უპირველესად ყოვლისა ოპოზიციამ განიცადა სასტიკი მარცხი. მეორეს მხრივ ოპოზიციის გამოსვლა ობიექტიური გამოხატულება იყო ბურჟუაზიული გარემოცვისა ჩვენს პარტიაზე.

შემთხვევითი არაა ის, რომ სწორედ 1925 წლის შემოდგომაზე, როცა ჩვენ განვიცდიდით სამეურნეო დაბრკოლებებს, ჩვენ ვგრძნობდით იდეურ დუღილს პარტიულ წრეებში. შემთხვევითი არაა, რომ სამეურნეო დაბრკოლებათა აღმოფხვრასთან ერთად მცირდება ის ყურადღება, რომელსაც პირველ ხანებში იწვევდა ოპოზიცია. სასტიკად დამარცხებულ ოპოზიციას აღარ შეძლება თავის წამოყენება, თუ ჩვენ შემდგომ მუშაობაში უზრუნველვყოფთ სწორ სამეურნეო ხაზს. ამ ხაზის უზრუნველსაყოფად კი საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ სამი შემდეგი გარემოება:

1) ჩვენი საკუთარი პრაქტიკა არ უნდა ემორჩილებოდეს ბურჟუაზიის ზეგავლენას, რომლის მსხვერპლიც გახდა ოპოზიცია, 2) მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ შეცდომათა და ნაკლთა თავიდან აცილებას, რომლებსაც ჩვენი საქმიანობის სხვადასხვა დარგში აქვს ადგილი, 3) იმ ამოცანების მაგივრად, რომლებსაც ოპოზიცია აყენებდა პარტიის წინაშე სამეურნეო პოლიტიკის დარგში, ჩვენ უნდა დავაყენოთ რეალური, ჩვენი სამეურნეო მდგომარეობიდან გამომდინარე ამოცანები.

ამხ. ლარინი შეჩერდა რა იმ ამოცანებზე, რომელნიც ჩვენ უნდა გადავსწყვიტოთ უახლოეს ხანში, იგი ასახელებს 6 ამოცანას... (დამახინჯებულია) მხოლოდ ისინი, რომელნიც დაამახინჯა ოპოზიციამ. პირველი ამოცანა: თუ ოპოზიცია სცნობს, რომ უახლოეს ხანაში ჩვენ გვექნება საქონლის ნაკლებობის გამწვავება, ამაში იგი სასტიკად სცდება, ვინაიდან იგი მხედველობაში არ იღებს წვრილი და საშუალო მრეწველობის სწრაფ განვითარებას. პიატაკოვი სასტიკად სცდება, როცა იგი წვრილი მრეწველობის განვითარებას უახლოესი 5 წლის განმავლობაში ანგარიშობს 10 პროცენტით. თუ ოპოზიციის მსჯელობაში ასეთი ხასიათის შესწორებას შევიტანთ, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ უახლოეს წლებში ჩვენს წინაშე უნდა დადგეს ბაზრების გაფართოების საკითხი.

მეორე ამოცანა: ოპოზიცია სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის დარგში აყენებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ნიშნავს პრიმიტიული, ჩამორჩენილი, რეაქციონური მეურნეობის აღდგენას, რომელიც ძველ სოფელს ედო საფუძვლად და რომლის გამოც არ შეეძლო სოფელს წინსვლა სამეურნეო ხაზით. ჩვენი ამოცანა მიწათმოქმედების დარგში უახლოეს წლებში იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მეტად გავატაროთ სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ეს ნიშნავს—მარცვლეული კულტურის როლის შემცირებას და ტეხნიკური მცენარეულობის და აგრეთვე მესაქონლეობის როლის ზრდას. სასოფლო მეურნეობის მხოლოდ ასეთი გარდაქმნა მოგვცემს საშუალებას, რომ მიწის სიმცირის საკითხი მოვაგვაროთ.

მესამე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ცვლილებანი უნდა შევიტანოთ ჩვენი მრეწველობის მმართველობის დარგში. მრეწველობის დარგში ჩვენ უნდა განვახორციელოთ ერთგვარი დამოკრატიული ცენტრალიზმი. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მსხვილი ამერიკული წარმოებების გამოცდილებანი, რომელმაც უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ძალიან გაუსწრო წინ ევროპას მთელი მეურნეობის ორგანიზაციისა და წარმოებათა მმართველობის მეთოდებში.

მეოთხე ამოცანა: ჩვენ მიერ მიღწეული მეურნეობის განვითარების საფეხური მწვავედ სვამს საკითხს მთელი სახალხო მეურნეობის რაციონალიზაციის შესახებ. როგორ უნდა გავზარდოთ მიზანშეწონილი ჩვენი მოსახლეობის შრომის ხარჯვა—ეს საკითხი ეხლა უმთავრესი საკითხია.

თუ ჩვენ აქ ჩამოთვლილ ღონისძიებებს განვახორციელებთ მაშინ ჩვენ სახალხო მეურნეობის პოლიტიკის დარგში წავალთ ისეთი გზით, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

ამხ. სირცოვის სიტყვა

ამხ. სირცოვი აღნიშნავს რომ ძირითადი აზრი, რომელზედაც აგებულია ამხ. რიკოვის თეზისები და მოხსენება, სწორია და ამტკიცებენ იმას, რომ ცეკას ხაზი სამეურნეო პოლიტიკაში სავსებით გამართლდა. ოპოზიციის პოზიცია დამსხვრეულია ყოველგვარ პირობების გარეშე.

ფაქტიურად რა ღირებულება აქვს სიძნელეების გაბერვას, რომელიც ოპოზიციას დასჭირდა? მართალია, ოპოზიციის ბანაკიდან ისმის დაგვიანებული სიტყვა იმაზე, რომ მათ „ანგარიში შეეშალათ". არსებითად აი სწორედ ეს ამტკიცებს ოპოზიციის უპრინციპობას. ისინი ხომ ლაპარაკობდენ, „რომ „თუ სიძნელეები ისეთი აღმოჩნდებოდა, როგორც მათ სახავდენ, მაშინ ჩვენ მართალი ვიქნებოდით"-ო. მაგრამ ამ „თუ"-მ და „მაშინ"-მა ისევე ვერ უშველა ოპოზიციის ურთიერთ საწინააღმდეგო პოზიციებს, როგორც საიმედო მილიარდის დაპირებამ. ფაქტები ადასტურებენ უმრავლესობის პოლიტიკის სისწორეს.

შემდეგ გადადის რა იმ სიძნელეების გაშუქებაზე რომელნიც წამოიჭრენ ფასების დარგში პარტიის პოლიტიკის გატარების დროს, სირცოვი ციმბირის პრაქტიკის მაგალითებით ასურათებს, რომ სახელმწიფო ვაჭრობის მრეწველობის და კოოპერაციის აპარატი სტიქიურად ეწინააღმდეგება პარტიის დირექტივებს, აპარატის გამოჯანსაღებას თან უნდა სდევდეს საქონლის გამტარებელ ქსელი ზედნადები ხარჯების დაკლება.

დასასრულ სირცოვი შეეხო საკითხს სპეციალისტების შესახებ. სრულიად ადასტურებს რა სპეციალისტებთან ფრთხილი მოპყრობის აუცილებლობას, სირცოვი აღნიშნავს, რომ ალაგ ალაგ სპეციალისტებს შორის შეიმჩნევა თავის საკუთარი როლის წარმოდგენის გაბერვა. ჩვენ ამ გაბერილ წარმოდგენას უნდა ვებრძოლოთ.

ამხ. სულიმოვის სიტყვა

ამხ. სულიმოვი აცხადებს, რომ რიკოვის მოხსენებისა და თეზისების ღირებულება ორგვარია. უპირველეს ყოვლისა, ისინი ნათლად განსაზღვრავენ პარტიის ხაზს სამეურნეო პოლიტიკაში. მეორე, ისინი მტკიცე და აშკარა ანალიზს უკეთებენ ოპოზიციის პოზიციას და ამომწურავ პასუხს აძლევენ გაურკვეველ შეკითხვებზე, რომლებიც წარმოშვა ოპოზიციის გამოსვლამ მუშების ნაკლებ შეგნებულ ნაწილში.

სულიმოვს მოჰყავს მთელი რიგი ციფრებისა ურალის სინამდვილიდან, რომელნიც ამტკიცებენ მთელი საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის რიკოვის მიერ გაკეთებულ ანალიზს. ჩვენი მეურნეობა მიდის წინ და, სახელდობრ, მისი სოციალისტური ელემენტების განმტკიცებისაკენ.

თავის სიტყვას სულიმოვი ათავებს მითითებით ურალის დიდ სამეურნეო შესაძლებლობებზე (მათ რიცხვში—კალის მაღაროზე სოლიკამსკის ახლოს), რომელნიც გამოყენებულ უნდა იქნან სოციალისტური მშენებლობის წინ წაწევისათვის.

ამხ. კრინიცკის სიტყვა

ამხ. კრინიცკი აღნიშნავს, რომ თეზისები სამეურნეო მდგომარეობის შესახებ წარმოადგენენ ინდუსტრიალიზაციის შესახებ მე-14 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პირდაპირ გაგრძელებას და ამტკიცებს პარტიის მიერ აღებული ხაზის სისწორეს. შეეხო რა იმ სიძნელეებს, რომელნიც გლეხურ მეურნეობებში წამოიჭრენ, ინდუსტრიალიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებით, კრინიცკი აღნიშნავს სასოფლო მეურნეობის გასაძლიერებლად გაცემულ საშუალებების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობას როგორც სასოფლო მეურნეობის ხაზით, ისე მიწათმოქმედების ხაზით. ყველა შესაძლებელ საშუალებებით ხელი უნდა შევუწყოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმოებითი ფორმების განვითარებას. ყველა საგლეხო რაიონებში საჭიროა გავაძლიეროთ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია, კომუნალური არტელებისა და საბჭოთა მეურნეობების რიცხვის გადიდების გზით.

სიტყვის დასასრულ კრინიცკი სვამს კითხვას კონფერენციაზე ოპოზიციის სიჩუმის შესახებ. „ოპოზიციამ,—ამბობს ამხ. კრინიცკი,—განაცხადა, რო ის რჩება პრინციპიალურ უთანხმოებათა ნიადაგზე და ის მაინც გაჩუმებულია მე-15 კონფერენციაზე. ამ თავისი სიჩუმით ოპოზიცია ამტკიცებს მხოლოდ თავის იდეურ შეუძლებლობას".

ამხ. გოლოშჩეკინის სიტყვა

ამხ. გოლოშჩეკინი აღნიშნავს, რომ საკითხს მრეწველობის ნედლეულით მომარაგების შესახებ, დიდი მნიშვნელობა აქვს ინდუსტრიალიზაციისათვის. საჭიროა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ ფაბრიკები და ქარხნები დაუახლოვოთ ნედლეულის წყაროებს. ეხლა მდგომარეობა ისეთია, რომ მთელი სამრეწველო ნედლეულიდან, რომელსაც ყაზახსტანი იძლევა, ადგილობრივ მუშავდება მხოლოდ 6%.

გოლოშჩეკინი აღნიშნავს სემირეჩიეს რკინის გზის გაყვანის აუცილებლობას, რომელმაც შუა აზია ციმბირს უნდა დაუკავშიროს და რომელიც თავისი ეკონომიური მნიშვნელობით არ ჩამორჩება „დნეპროსტროის", და ამიტომ ის გადიქცევა ინდუსტრიალიზაციის გადამწყვეტ ფაქტორად.

შეეხო რა ოპოზიციის ეკონომიურ პლატფორმას, გოლოშჩეკინი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ეს პლატფორმა არღვევს ლენინურ ხაზს ნაციონალურ პოლიტიკაში.

ამხ. კალიგინას სიტყვა

ამხ. კალიგინა ჩერდება ნედლეულის ბაზრის გაფართოების საჭიროებაზე. ინდუსტრიალიზაციის საკითხი ებჯინება ნედლეულის, უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ნედლეულის საკითხებს. კოოპერაცია, აწარმოებს რა ოპერაციებს ნედლეულის ბაზარზე, ჯერ კიდევ ნაკლებ ზრუნავს ნედლეულის მწარმოებელთა კულტურული დონის ამაღლებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებულად ნაკლები ყურადღება ექცევა გლეხობას, რომელიც უშუალო მონაწილეობას ღებულობს ნედლეულის საკმაოდ დიდი ნაწილის დამზადებაში. საჭიროა გაძლიერდეს კოოპერაციის აღმზრდელობითი მუშაობა ამ დარგში. საშუალებები, რომელიც იხარჯება ამ საქმეზე, ჩქარა ანაზღაურდება და ისინი ხელს შეუწყობენ ჩვენი ნედლეული ბაზის მოწესრიგებას.

28 ოქტომბრის საღამოს სხდომა

პარტკონფერენციის 28 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო.

კამათის გახსნისას გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წევრი რუხიმოვიჩი, რომელიც შეეხო საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ბაზებს და სათბობი მასალის საკითხებს.

რუხიმოვიჩის შემდეგ გამოსულმა იაკოვლევმა განაცხადა, რომ ეხლანდელ მომენტის ცენტრალური საკითხია ინდუსტრიალიზაციის დაკავშირება სასოფლო მეურნეობის განვითარებასთან.

შემდეგი ორატორები:—**პოსტიშევი** (უკრაინა), **ლუნაჩარსკი, კოლმუშკინი** (ლენინგრადი), **უხანოვი ,გოლცმანი, მედვედიევი** (უკრაინა), **ლიუბიმოვი, ლობოვი, მიხეენკო** (არტემოვსკი), **ფიზატნერი** და **ბოგდანოვი**,—თავის სიტყვებში ხაზს უსვამდენ შემცდარ პოზიციას, რომელიც ოპოზიციამ დაიკავა, სამრეწველო მშენებლობის საკითხებში.

ადგილობრივი მუშაკები გარდა ამისა, ახასიათებენ რა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, მიუთითებდენ დიდ მიღწევებზე და აგრეთვე შეცდომებზე და მოსალოდნელ სიძნელეებზე.

29 ოქტომბრის დილის სხდომა გაიხსნება რიკოვის საბოლოო სიტყვით, რის შემდეგ კონფერენცია მოისმენს ტომსკის მოხსენებას.

გენერალური საბჭო კვლავ „ეხმარება" მემაღაროებს

ტელეგრაფმა მოიტანა ცნობა, რომ გენერალური საბჭო კვლავ დაინტერესდა მემაღაროების ბედით. ეს იმას ნიშნავს, რომ კულუარებში სწარმოებს მოლაპარაკება, თუ როგორ მიყიდონ მემაღაროები მაღაროების მეპატრონეებს. გენსაბჭოს წარმომადგენლებს, რომელთა რიცხვში ისეთი „მებრძოლნია" მუშათა საქმისათვის, როგორიცაა პიუ, არტურ ტომასი, ციტრინი და სხ., რაღაც საიდუმლო მოლაპარაკება ქონდათ ბოლდუინთან, ჩერჩილთან და ქვა-ნახშირის მრეწველობის საქმეთა მდივანთან ფოქსთან. მთავრობის ცნობა მოლაპარაკების ხასიათის შესახებ არაფერს გარკვეულად არ ამბობს. მაგრამ ამ გაურკვევლობას საკმაოდ გარკვეული ხასიათი აქვს, მთავრობა იუწყება, რომ „მას არავითარი წინადადებები არა აქვს და დიდი სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ გენსაბჭოს წევრებს არ შეუძლიათ მემაღაროების სახელით გამოსვლა". ცხადია, რომ მთავრობისთვის აქ არსებობს „სიძნელე", მაგრამ უნებლიეთ იბადება კითხვა: თუ გენსაბჭო ლაპარაკობდა არა მემაღაროების სახელით, მაშინ ვისი სახელით აწარმოებდა ის მოლაპარაკებას. რის შესახებ მჭერმეტყველებდენ პროფკავშირების ლიდერები მინისტრების სალონებში. რისთვის წავიდენ ისინი ბოლდუინთან. იმათ ხომ სულ რამოდენიმე დღის წინად კვლავ დაპირდენ მემაღაროებს დახმარება და დანიშნეს პროფკავშირების აღმასკომების კონფერენცია 3 ნოემბრისათვის. ყველა ამ კითხვებზე პასუხი არაა, მაგრამ მარტო ის, რომ მოლაპარაკებას პიუ, ტომასი და კომპანია აწარმოებდა, რომ მოლაპარაკებას საიდუმლო ხასიათი ქონდა და მთავრობამ საჭიროდ დაინახა ხაზი გაესვა, რომ გენსაბჭოს ლიდერები თავის საკუთარი სახელით ლაპარაკობდენ, მარტო ეს საკმარისია, რომ გავიგოთ ის საზიზღარი როლი, რომელიც იკისრა გენსაბჭომ მემაღაროებთან შრომის განაწილების წესით.

დეპეშიდან სჩანს, რომ გენსაბჭო შეეცადა დაეთანხმებია მთავრობა მოლაპარაკების საფუძვლად აეღო მეფის კომისიის ის მოხსენება, რომლის მიუღებლობაც გახდა კონფლიქტის მიზეზი. მაგრამ გენსაბჭო არ დაკმაყოფილებულა. მხოლოდ მთავრობის წინააღმდეგ ბრალდების წაყენებით, მან დაარსა განსაკუთრებული საშუამავლო კომიტეტი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებები იმ წინადადებათა საფუძველზე, რომლებიც მისტერ პიუმ გაზეთ „ტაიმს"-ისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნა. მემაღაროებმა გენსაბჭოს სთხოვეს პროფკავშირების ყველა წევრებიდან მუდმივი ანარიცხების დაწესება და ემბარგოს გატარება (ქვანახშირის შემოტანის აკრძალვა), ამის ნაცვლად გენსაბჭო აარსებს „საშუამავლო კომიტეტს", ე. ი. ხელახლად ჰქმნის იმ კომისიას, რომელმაც ერთხელ უკვე ჩაშალა საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც გაფიცულ მემაღაროელებისათვის უნდა დაეჭირა მხარი.

რა უნდა გააკეთოს და რა უნდა შეიმუშაოს საშუამავლო კომისიამ? კომისია შეეცდება დათმობაზე წაიყვანოს მემაღაროები და შეიმუშავებს შეთანხმებების ისეთ პირობებს, რომლებიც გაცილებით უარესი იქნება, ვიდრე ჰერბერტ სამუელის კომისიის წინადადება. ეს საშუამავლო კომისია სხვა არაფერია, თუ არა სახანძრო რაზმი ,რომელმაც უნდა ჩააქროს მემაღაროების აღშფოთება. ეს ახალი იარაღია, რომელმაც უნდა ჩაახრჩოს გაფიცვა.

იმ არაჩვეულებრივად დაჭიმულ ატმოსფერაში, რომელშიაც ამ ჟამად სწარმოებს მემაღაროების ბრძოლა და რომელიც შექმნილია გაფიცვის გაჭიანურებული ხასიათით გამოწვეულ სიძნელეებით, გენსაბჭოს ახალი ჩარევა ასუსტებს ინგლისის პროლეტარიატის ყველაზე უფრო მხნე, ყველაზე უფრო მტკიცე და მებრძოლ რაზმს. რომ ეს გენსაბჭო გამცემლური პოლიტიკა არ იყოს, რომ მემაღაროების რიგების სისტემატიური და გეგმაშეწონილი გახრწნა არ ხდებოდეს, რომ ტრედუნიონების ხელმძღვანელთა შტრეიკბრეხერობას არ ქონდეს ადგილი, მემაღაროების მდგომარეობა ამ ჟამად არ იქნებოდა ასე კრიტიკული.

კუკის მიერ საბჭოთა მუშებისადმი მიმართული მოწოდება სასოწარკვეთილებით არის აავსე, ის ხედავს მუშათა პარტიისა და გენსაბჭოს ხელმძღვანელთა ოინბაზობას, მაგრამ ნებით თუ უნებლიეთ უადგილებს ამ ვაჟბატონებს მათი საზიზღარი როლის შესრულებას.

გენერალური საბჭოს ახალი გამოსვლა მოწმობს იმას, რომ ტრედიუნიონების ხელმძღვანელ წრეებში მომწიფებულად მიაჩნიათ მომენტი, რომ ჩაკლან გაფიცვა და სწორედ ამიტომ საერთაშორისო პროლეტარიატს, პირველ რიგში კი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს, მართებსთ ინგლისის მემაღაროებისათვის დახმარების გაათკეცება.

ინგლისის მემაღაროები მიატოვა იმ საერთო—პროფესიონალურმა ორგანიზაციამ, რომლის ნაწილიც ისინია; ისინი გასცა გენსაბჭომ, ისინი გასცა იმ ინტერნაციონალმა, რომელიც მათზე ემყარებოდა, როცა საჭირო იყო ალდუმის გამართვა ან მოსკოვის დაშინება თავისი ლეგიონებით, ისინი გასცა მემაღაროეთა ინტერნაციონალმა, რომელიც რაზმავს შტრეიკბრეხერებს, ისინი გასცა მთელმა საერთაშორისო რეფორმიზმმა. რაშია ამ ცინიკური გამცემლობის მიზეზი. იმაში, რომ მემაღაროები იბრძვიან, იმაში, რომ ისინი უდიდესი თავდადებით გამოდიან ბურჟუაზიის და მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ. ბურჟუაზიის დამქაშებს არ შეუძლიათ აპატიონ ეს მემაღაროებს და აქედან წარმოსდგება დარაზმული შტრეიკბრეხერობა მე-2 და ამსტერდამის ინტერნაციონალებისა და მათი სექციებისაგან.

სად ნახეს მემაღაროებმა ნამდვილი დახმარება და მხარის დაჭერა. არა იქ, სადაც მოელოდენ და ქონდათ კიდეც ამის უფლება,—არა ამსტერდამში, არამედ მოსკოვში. მემაღაროები არ შედიან პროფინტერნში, მაგრამ პროფინტერნში შემავალი ყველა ორგანიზაციები ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რომ დაეხმარონ ინგლისის მემაღაროებს. მემაღაროები არ შედიან კომინტერნში, მაგრამ ამავე დროს ყველა კომუნისტური პარტიები და კომუნისტური ინტერნაციონალი, ყოველნაირ ძალას ხმარობენ, რომ დაეხმარონ გაფიცულებს. ინგლისის მემაღაროებს არ ქონიათ არავითარი ფორმალური ხელშეკრულება რუსეთის მემაღაროებთან და საბჭოთა პროფკავშირებთან; ამავე დროს საბჭოთა პროლეტარიატი მთლიანად კიდევ და კიდევ აგროვებს ფულს და უგზავნის მხნე მებრძოლთ.

რატომ! როგორ მოხდა, რომ იმათ, ვინც ფორმალურად ვალდებულია დაეხმაროს, გასცეს და ხელი დაიბანეს, ხოლო ისინი კი, რომლებიც არავითარი ფორმალური ვალდებულებით არ იყვნენ დაკავშირებული, დახმარების საქმეში პირველ რიგებში აღმოჩნდენ, ეს იმიტომ მოხდა, რომ პროფინტერნი არავითარ ფორმალურ ხასიათის საკითხებს არ უწევს ანგარიშს. ყველა ქვეყნის რევოლიუციონური კავშირები ხელმძღვანელობენ შემდეგი მარტივი, მოკლე და ყველასთვის გასაგებ პროლეტარულ ჭეშმარიტებით: ვინც ბურჟუაზიის წინააღმდეგ იბრძვის, ის ჩვენი მოკავშირეა.

გენსაბჭოს ახალი გამცემლობა, მემაღაროების მდგომარეობის გაუარესება, მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს ჩვენს წინაშე საკითხს გაფიცულთა დახმარების გაძლიერების შესახებ. დღე, ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში გაისმას ჩვენი ძველი, მაგრამ კიდევ მაინც აქტუალური ლოზუნგი: „ყველაფერი ინგლისის მემაღაროების დახმარებისათვის".

ა. ლოზოვსკი.

გადმოცემულია ტელეგრაფით
მოსკოვი, 28 ოქტომბერი.

საბჭ. კავშ. მშრომელთა დახმარება ინგლისის მემაღაროებს

კუკი მადლობას უხდის საბჭოთა პროფკავშირებს: „საბჭოთა კავშირის მშრომელთა დახმარების გარეშე ჩვენ დღემდი დავმარცხდებოდით. ჩვენ უნდა შევქმნათ ინგლის-საბჭოთა სამთამადნო მუშათა კომიტეტი, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა და დავამხოთ კაპიტალისტური სისტემა.—ჩვენ არ დავთანხმდებით მაღაროს პატრონთა პირობებზე და მივაღწევთ ნახშირის მრეწველობის ნაციონალიზაციას“.

გენერალური საბჭო განაგრძობს მოღალატურ პოლიტიკას

პუანკარე გადადგომით იმუქრება, თუ პალატა არ მიიღებს საფინ. კანონპროექტებს

მემაღაროეთა გაფიცვა

ჩერჩილის განცხადება

ლონდონი, 27 ოქტომბერი. ჩერჩილმა ლეიტონში გამოსვლის დროს ცნობები გამოაქვეყნა გენერალურ საბჭოსა და მთავრობას შორის წარმოებული მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ და აგრეთვე დასძინა, რომ მთავრობამ თავის დროზე წარმოადგინა წინადადება, მაგრამ ის არ მიიღეს. ეხლა, თუ ახალი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო ამან უნდა მიიღოს სერიოზული და გულწრფელი წინადადების ფორმა იმათ მხრიდან, ვინც დღეს სამთამადნო მუშების წარმომადგენლებათ ითვლება.

კუკი თანახმაა რეფერენდუმის მოწყობისა

ლონდონი, 27 ოქტომბერი. გუშინ კუკი გამოვიდა სტაფორდშირის ოლქში მიტინგებზე, სადაც განაცხადა, რომ ის მზად არის ურჩიოს სამთამადნო მუშებს გაფიცვის საკითხი რეფერენდუმის საშუალებით გადასწყვიტონ; კუკი თანახმა არის რეფერენდუმი მოაწყოს კენტერბერიის არქიეპისკოპოსმა ან და რომელიმე ავტორიტეტულმა პირმა. რეფერენდუმზე დასმული უნდა იქნეს სამი საკითხი: მხარს უჭერთ თუ არა თქვენ 8 საათის სამუშაო დღეს? დგახართ თუ არა იმ ნიადაგზე, რომ შეთანხმება მაღაროს პატრონებთან ოლქების მიხედვით მოხდეს? თანახმანი ხართ თუ არა მოხდეს შეთანხმება საერთო ინგლისის მასშტაბით და გატარდეს 7 საათის სამუშაო დღე? ამას გარდა კუკი წინადადებას აძლევს ბოლდუინს ამ რეფერენდუმის ნაცვლად მოაწყოს საერთო ხმის მიცემა ინგლისის ამრჩეველთა შორის და დაუყენოს მათ საკითხი—თანახმანი არიან ისინი, რომ მემაღაროები დათანხმდენ ხელფასის დაკლებას და სამუშაო დღის გაგრძელებას თუ არა?

კონსტიტუციური მუშათა ლიგა

ლონდონი, 27 ოქტომბ. ლივერპულის კორესპონდენტი იუწყება, რომ დაარსდა კონსტიტუციონალური მუშათა ლიგა, რომელსაც დასახული აქვს ბრძოლა სოციალიზმსა და კომუნიზმთან, პროფკავშირების ტირანიასთან ლოიალურ მუშებზე და იმ პოლიტიკურ და რევოლიუციონურ იდეებთან, რომელთაც მუშათა პარტია ისახავს.

„პირდაღებული უფსკრული“

ლონდონი, 27 ოქტომბერი. გუშინდელ საიდუმლო მოლაპარაკებას ბოლდუინთან და ჩერჩილთან აწარმოებდა ეგრედ წოდებული ტრედიუნიონთა გენსაბჭოს „შუამავალი კომიტეტი“, რომელშიაც შედიან: ტომასი, სუელსი, ბენტერბერი და სიტრინი. საქმესთან გაცნობილი წრეების ცნობით „შუამავალი კომიტეტი“ მოითხოვს, რომ მთავრობა შეეცადოს მოაწყოს მემაღაროეთა ფედერაციისა და მაღაროს მეპატრონეთა წარმომადგენლების თათბირი. ბოლდუინი უპასუხებს, რომ მოდავე მხარეებს შორის „პირდაღებული უფსკრულია“ გათხრილი. მთავრობას არ აქვს რაიმე წინადადება, რომლითაც მას შეეძლებოდა გამოსვლა. ბოლდუინმა განაცხადა, რომ ის მზად არის ყოველ წუთში ხელახლად შეხვდეს გენერალურ საბჭოს წარმომადგენლებს, მაგრამ დიდი სიძნელე იმაშია, რომ გენერალურ საბჭოს არ შეუძლია სამთამადნო მუშების სახელით გამოვიდეს.

კუკის წერილი საკავშირო პროფკავშირთა ცენ. საბჭოს

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. კუკმა წერილი მოსწერა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, რომელშიაც სხვათა შორის ამბობს: მემაღაროეთა დიდმა ბრძოლამ. რომელიც უკვე მეექვსე თვეა, რაც გრძელდება, იმ საფეხურს მიაღწია, როცა აუცილებელი ხდება დახმარებისათვის მოწოდებით მივმართოთ ინგლისისა და საზღვარ-გარეთელ ამხანაგებს. **ჩვენ რომ საბჭოთა მუშების დიდსულოვანი დახმარება არ მიგვეღო—დღემდე დავმარცხდებოდით. ამ დახმარებას არასოდეს არ დავივიწყებთ. ჩვენ უნდა შევქმნათ ინგლის-რუსეთის მემაღაროეთა კომიტეტი, რომ ამით განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა კაპიტალისტური სისტემის დასამარცხებლად, რომელიც მემაღაროებს ართმევს სიცოცხლის უფლებას. ჩვენ არ დავთანხმდებით მაღაროს მეპატრონეთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებს და განვაგრძობთ ბრძოლას, რომელიც გადასწყვეტს მრეწველობის ბედს, ჩვენ მივაღწევთ მის ნაციონალიზაციას. ჩვენ გვინდა შევქმნათ ნამდვილი მუშათა ინტერნაციონალი, რომელიც ბოლოს მოუღებს ყოველ გვარ ბნელ ელემენტებს და საფუძველს ჩაუყრის ახალ სოციალურ წესწყობილებას.**

მემაღაროეთა ოჯახებს ეხმარებიან

ლონდონი, 27 ოქტომბ. ლონდონის გემების აღმშენებელ სადგურში მდგომი საბჭოთა გემის „როზა ლიუქსემბურგი“-ს მეზღვაურებმა 80 მემაღაროეთა ოჯახის სასარგებლოთ გადარიცხეს თავიანთი ერთი დღის ხვედრი ჯამაგირი. ამ ფულით მემაღაროეთა ბავშვებს სადილები დაურიგდათ, ოთხი თავი საჭმელისაგან.

„ბავშვებს სახეები უბრწყინავდა, სწერს „დეილი ჰერალდი“, რადგან მათ კვირეების განმავლობაში პირველათ მოუხდათ უარის თქმა გამასპინძლებაზე, იმდენათ უხვი იყო საჭმელი. „მუცელში მეტი აღარ ჩამეტევაო“, სთქვა ერთმა მათგანმა.

მთავრობა შეტევაზე გადადის

ლონდონი, 28 ოქტომბ. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინგლისის მთავრობის სამმა წევრმა: ლორდ სესილმა, კანცლერმა ჩერჩილმა და ვიკონტმა კევმა სიტყვები წარმოსთქვეს ინგლისის მრეწველობის შესახებ.

ვიკონტმა კევმა განაცხადა: „უკანასკნელმა ამბებმა დაამტკიცეს, თუ რამდენად დიდ ზიანს აყენებს მუშებს კანონის ზოგიერთი დადგენილებანი 1906 წ. სამრეწველო კონფლიქტების შესახებ. მთავრობა გრძნობს, რომ აუცილებელია განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ ტრედიუნიონები ბოროტად იყენებენ ზოგიერთ უფლებებს, მაგ., საგაფიცვო პიკეტებით, რომლებსაც დაშინების ხასიათი აქვთ. ტრედიუნიონებმა ბოროტად გამოიყენეს 20 წლის წინედ მიცემული პრივილეგიები.

ჩერჩილმა განაცხადა: „სანახშირო მრეწველობამ უნდა იარსებოს მით, რასაც იგი შექმნის. არაა საჭირო მემაღაროეთა ძალიან დიდი შტატის შენახვა, რომელნიც იღებენ სამუშაო ხელფასის ხელოვნურ განაკვეთებს საზოგადოების დანარჩენი ნაწილის ხარჯზე“.

მემამულეები კმაყოფილი არიან პილსუდსკით

პილსუდსკი ბანკეტზე თავად რაძივილთან

ვარშავა, 27 ოქტომბ. პილსუდსკის დასწრებამ თავად რაძივილის მიერ ნესვიჟში გამართულ ბანკეტზე, რომელზედაც თავი მოიყარეს პოლონეთის არისტოკრატიის წარმომადგენლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია პოლიტიკურ წრეებში. მიესალმა რა პილსუდსკის, თავადმა რაძივილმა სთქვა:

„ჩვენ, რესპუბლიკის აღმოსავლეთ მხარის მოქალაქეები, ვაცხადებთ, რომ შენი და შენი პოლიტიკური გონიერებისა და ენერგიის წყალობით ჩვენ ვეკუთვნით დამოუკიდებელ პოლონეთის რესპუბლიკას. ვინ იცის, რა დაგვემართებოდა ჩვენ, შენ მტკიცე ნებას რომ არ განესაზღვრა ხმლით პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრები. ჩვენ ეს გვესმის და ვაფასებთ კიდეც ამას. დარწმუნებული იყავ, რომ **აღმოსავლეთის განაპირა მხარეების მემამულეები მზად არიან დაგეხმარონ შენ** პოლონეთის სახელმწიფოებრივი გაძლიერებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცების საქმეში.

საპასუხო სადღეგრძელოში პილსუდსკიმ უსურვა ბედნიერება რაძივილთა შთამომავლობას, „რომელიც მრავალ საუკუნეების განმავლობაში აძლევდა პოლონეთს ბრძენ მრჩევლებსა და ბრწყინვალე რაინდებს“.

ახალი კონსერვატიული პარტია

ვარშავა, 28 ოქტომბ. მთავრობის ოფიციალური გაზეთი „გლოს პრავდი“ უარყოფს პილსუდსკის ნესვიჟში გამგზავრების პოლიტიკურ ხასიათს. მაგრამ პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში არ ჯერათ ოფიციოზის განცხადების და ამტკიცებენ, რომ **ნოემბრის შუა რიცხვებში ნესვიჟში შესდგება ახალი კონსერვატიული პარტიის ყრილობა.**

გერმანია კრედიტს უდიდებს საბჭოთა კავშირს

ბერლინი, 27 ოქტომბ. გერმანიის ავტორიტეტულ საქმიან წრეებში იუწყებიან, რომ გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირისათვის მიცემული კრედიტი 300 მილიონი მარკა გადიდებული იქნება 120 მილიონიდან 230 მილიონამდე.

კრედიტების დანიშნულებაა საბჭოთა შეკვეთებისათვის ხელის შეწყობა გერმანიაში. ახალი კრედიტების ვადა განსაზღვრულია 4 და 2 წლით.

ბერლინის საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობა იტყობინება, რომ მიღებული 300 მილიონი მარკის ანგარიშში გერმანიაში უკვე შეკვეთილია 100 მილიონი მარკის საქონელი.

„გენსაბჭო“ განაგრძობს მოღალატეობას

ლონდონი, 28 ოქტომბერი. ტრედ-იუნიონთა კონგრესის გენერალურ საბჭოს მიერ დაწყებული მოლაპარაკების წარმატებით დასრულებისათვის საჭიროა, რომ მემაღაროეთა ფედერაციამ გადასცეს მას მოლაპარაკების წარმოების უფლება ყველა საკითხებზე, სამუშაო ხელფასის, სამუშაო საათების შესახებ და რაიონულ შეთანხმებების საკითხების ჩათვლით.

„თუ მემაღაროეთა აღმასკომი ხელახლად სხდომაზე გენსაბჭოს აღნიშნულ უფლებებს მიანიჭებს, მაშინ ტრედ-იუნიონთა დელეგაცია ხელახლა შეხვდება მთავრობას, რომელთანაც ეს მოლაპარაკება ძალაუნებურად უნდა გაიმართოს, რადგან მაღაროს მეპატრონეთა ასოციაცია აღარ გამოდის, როგორც მოლაპარაკების მწარმოებელი ორგანო.

პრემიერმა და ჩერჩილმა გაკიცხეს მემაღაროებისა და მაღაროს მეპატრონეთა ლიდერები მათი შეურიგებელი პოლიტიკისათვის.

გუშინ ჩერჩილმა განაცხადა, რომ მთავრობა იმოქმედებს კანონმდებლობითი წესით, თუ რომელიმე მხარე წამოაყენებს შეურაცხმყოფელ და უღირს მოთხოვნილებებს.

გენსაბჭოს „დახმარება“

ბერლინი, 28 ოქტომბერი. ტრედ-იუნიონთა კონგრესის გენერალურ საბჭოს განზრახული აქვს წინადადება მისცეს მემაღაროებს დაიწყონ მოლაპარაკება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

თეთრგვარდიელები სამუშაოს ეძებენ

პარიზი, 27 ოქტომბ. როგორც ამბობენ, რუსი თეთრგვარდიელები ცდილობენ მთელი თავისი სამხედრო მოწყობილობა მიჰყიდონ პოლონეთსა და ბალტიის განაპირა სახელმწიფოებს.

სექტემბერში ვრანგელის წარმომადგენელი ჩავიდა ვარშავაში და რიგაში, სადაც აწარმოებდა მოლაპარაკებას პოლონეთისა და ლატვიისათვის საარტილერიო იარაღების და მოწყობილობის მიყიდვის შესახებ.

რიგაში ვრანგელის წარმომადგენელი მიიღო ლატვიის სამხედრო მინისტრმა.

იუწყებიან, აგრეთვე, რომ ვრანგელს წინადადება მიუცია ლატვიის სამხედრო წრეებისათვის — იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთი ომს გამოუცხადებს საბჭოთა კავშირს, **მაშინ ის მზად არის შეადგინოს თეთრგვარდიელთა რაზმები, რომლებიც ლატვიიდან ზურგიდან თავს დაესხმიან წითელ არმიას.** ამის გარშემო მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა.

ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია

საიდუმლო სხდომები

ლონდონი, 27 ოქტომბ. საიმპერიო კონფერენციის სხდომები კვლავ საიდუმლოებითაა დაფარული.

გუშინ ირჩეოდა საკითხი იმპერიის თავდაცვის შესახებ. ავსტრალიის პრემიერი ბრიუსი დაჟინებით იცავდა იმ აზრს, რომ დომინიონებმა უფრო მეტად უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა თავდაცვის ორგანიზაციაში.

იუწყებიან, რომ ჩემბერლენმა 25 ოქტომბერს მოახერხა კონფერენციისაგან მიეღო ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკის მოწონება, მაგრამ საკითხი ლოკარნოს ხელშეკრულების მიერ გადაუწყვეტელი დარჩა.

პუანკარე გადადგომით იმუქრება

ბერლინი, 28 ოქტომბ. პუანკარე გადადგომით იმუქრება იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატთა პალატის მიერ 20 დეკემბრამდე დამტკიცებული არ იქნება საბიუჯეტო ღონისძიებები.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ეს მუქარა ნიშნავს მნიშვნელოვან საშინაო და საგარეო საკითხებზე პალატის გადაწყვეტილებათა გამოტანის გადადებას.

მუსოლინი და ბრიანი

ბერლინი, 28 ოქტომბერი. **მუსოლინის წინადადება ბრიანთან თათბირის შესახებ უარყოფილ იქნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. ტანჟერის სტატუტი აღარ შეიძლება შეიცვალოს იტალიის სურვილით, რადგან ამისთვის საჭიროა ინგლისის აზრის გაგებაც.**

გაფიცვა ტანჟერში

ბერლინი, 28 ოქტომბერი. **ხალიჩის მქსოველ იმ გაფიცულ მუშათა მხარის დასაჭერად, რომლებიც 8 საათის სამუშაო დღეს მოითხოვენ, ტანჟერში გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა.**

რევოლიუციური მოძრაობა ბრაზილიაში

ლონდონი, 28 ოქტომბერი. ბუენოს-აირესიდან მიღებული ცნობებით, ბრაზილიის სამ შტატში—მინას-გერასში, მატო-გროსოში და გოიასში დაიწყო სერიოზული რევოლიუციონური მოძრაობა. მრავალი კოლონისტი, სამოქალაქო ომის შიშით, არგენტინაში გარბის.

ალექსინსკის „რეფერატები“

ვენა, 27 ოქტომბერი. რუმინეთში ჩავიდა სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი, თეთრგვარდიელი ემიგრანტი ალექსინსკი, რომელიც არის რუმინეთის მთავრობის მიერ მოსყიდული აგენტი.

ბუქარესტში მან წაიკითხა მთელი რიგი ლექციები, რომლებიც სავსე იყო ფანტასტიური ჭორებით და ცილისწამებით საბჭოთა კავშირის შესახებ.

ალექსინსკის რეფერატები თითქმის უკლებლივ იბეჭდებოდა გაზეთებში.

ალექსინსკის პირველ ლექციას დაესწრენ პრემიერი ავერესკუ, საგარეო საქმეთა მინისტრი და რუმინეთის კაბინეტის სხვა წევრები.

ამხ. ხინჩუკის დანიშვნა

მოსკოვი, 28 ოქტომბ. სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის ცაკმა დაადგინა გაანთავისუფლოს ამხ. ხლოპლიანიკოვი საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამდებობიდან დიდ ბრიტანეთში და მის ადგილას დაინიშნოს ამხ. ხინჩუკი.

„არაოფიციალური“ კონფერენცია

მექსიკა, 27 ოქტომბერი. გაიხსნა მექსიკის და ზოგიერთი ევროპიული ქვეყნების პროფმოძრაობის ლიდერების არაოფიციალური კონფერენცია, რომელიც მოიწვია მექსიკის რეფორმისტულმა შრომის ფედერაციამ.

იუწყებიან, რომ მექსიკის შრომის ფედერაციამ იკისრა ვალდებულება არ შეუერთდეს ამსტერდამს, თუ არ იქნება ამერიკის შრომის ფედერაციის საამისო თანხმობა.

სესხი ბელგიას

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბ. ნიუ-იორკის ბანკირებმა ხელი მოაწერეს ბელგიის სესხს 50 მილ. დოლარის რაოდენობით.

ამავე დროს ფინანსთა სამინისტრო იუწყება, რომ ფედერალურმა ბანკმა გაუხსნა ბელგიას 50 მილ. დოლარის კრედიტი.

პუანკარეს „მომჭირნეობა“

პარიზი, 28 ოქტომბ. საფინანსო კომისიის თავმჯდომარის შეკითხვაზე პუანკარემ 116 მილ. ფრანკით განსაზღვრა პირველი მომჭირნეობა ადმინისტრატიული რეფორმების გატარების საშუალებით.

ბელგიის სტაბილიზაციის სესხი

ლონდონი, 27 ოქტომბერი. **დღეს დილით ლონდონის ბანკებში დაიწყო ხელის მოწერა ბელგიის სტაბილიზაციო სესხზე, მაგრამ 9—10 საათზე უკვე შეწყდა, ვინაიდან ხელის მოწერამ საჭირო თანხის რაოდენობას გადააჭარბა.**

„აგრძნობინეს“

პარიზი, 27 ოქტომბერი. **„ეკო დე პარი“-ს ცნობით, გერმანიის ელჩს ვაშინგტონში „აგრძნობინეს“, რომ ამერიკა გერმანიის საფრანგეთთან დაახლოვების პოლიტიკას სთვლის მისი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკად.**

საბჭოთა დელეგაცია

ტოკიო, 27 ოქტომბ. ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია წყნარ - ოკეანეს სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 30 ოქტომბერს გაიხსნება.

ჩინეთ-ბელგიის სავაჭრო ხელშეკრულება

პეკინი, 27 ოქტომბ. ევროპაში არსებულმა **ჩინეთის წარმომადგენლობებმა** გაუგზავნეს დეპეშა პეკინში საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ უარი სთქვან ჩინეთ-ბელგიის სავაჭრო ხელშეკრულებაზე და უარყონ იგი.

პარტიული ცხოვრება

ლენინის გზით

(ა. ლ. კ. კ. არსებობის 8 წლის თავის გამო)

სრ. რუსეთის ახალგ. კომკავშირის ყრილობაზე ამხ. ლენინი ახალგაზრდობის წინაშე გამოვიდა ვრცელი მოხსენებით „ახალგაზრდათა კავშირის ამოცანების შესახებ“. ლენინის აზრების გაქანებამ გენიალურად დახაზა ის ამოცანები, რომელნიც კომკავშირის გაძლიერებული მუშაობის საგანს წარმოადგენს 6 წლის განმავლობაში. რამდენად შეასრულა კომკავშირმა ის ამოცანები, რომელიც ბელადმა დააყენა მის წინაშე?

⁂

„თუ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მთელი მასა არ იქნება ჩაბმული... კომუნიზმის აღმშენებლობაში, თქვენ ვერ ააშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას“ (ლენინი, ტომი 16).

მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მთელი მასის წარმოების საქმეში ჩაბმის საკითხი უკავშირდება კომკავშირის ზრდის საკითხს, როგორც შედეგს პარტიის გავლენისა ახალგაზრდობის ფართო ფენებზე კომკავშირის საშუალებით. სიტყვებზე უფრო დამაჯერებელია ციფრები. საკავშირო ლენინური ახალგ. კომკავშირის მე-6 ყრილობისათვის კომკავშირის რიგებში იყო 702 ათასი წევრი. მე-7 ყრილობის წინ—1.750 ათასი, მიმდინარე წლის აგვისტოსათვის კი 2.026 წევრი. საკავშირო ლენინური ახალგ. კომკავშირის ცკას გენერალურმა მდივანმა მე-7 ყრილობაზე მოიყვანა შემდეგი საინტერესო ცნობები: ყოველდღიურად საბჭოთა კავშირში კომკავშირის რიგებში შედის 1.500 კაცი, ყოველდღიურად არსდება 150 ახალი უჯრედი. კომკავშირი, როგორც ზღაპრული გოლიათი ისე იზრდება ყოველ საათში. კომკავშირი არის უდიდესი ფაქტორი პარტიის ახალგაზრდობაზე გავლენის საქმეში, მუშა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნიზმის აღმშენებლობაში ჩაბმის საქმეში, ამ კადრებისაგან მომავალი საზოგადოების აღმშენებელთა აღზრდის საქმეში.

ლენინის მიერ წამოყენებული ამოცანა ხორციელდება. მაგრამ კომკავშირი არ შეასრულებდა ბელადის ანდერძს, რომ ეს ზრდა არ დაეკავშირებინა აღზრდასთან.

„... და აი, როცა ამ თვალსაზრისით უდგებით ახალგაზრდობის ამოცანების საკითხს, მე უნდა ვსთქვა, რომ ეს ამოცანები საზოგადოდ ახალგაზრდობისა, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირისა და კერძოდ ყველა სხვა ორგანიზაციებისა, შეიძლებოდა ერთი სიტყვით გამოვხატოთ: ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ისწავლონ“. (ლენინი, ტომი 16).

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები, მუშფაკები და სხვა სასწავლებლები სავსეა კომკავშირელებით. ახალგაზრდა ვაჟთა და ქალთა არა ერთი ათასეული, რომლებმაც თავისი სიცოცხლე დაუკავშირეს რევოლიუციის ბედიღბალს, გულმოდგინედ სწავლობენ ქიმიას, ტეხნოლოგიას, საზოგადოებრივ მეცნიერებებს, და ემზადებიან სოციალისტური აღმშენებლობის დიადი მუშაობისათვის.

ინდუსტრიალიზაციის გზაზე შემდგარი ჩვენი ქვეყანა მოითხოვს ახალ წითელ სპეციალისტებს ძველების ნაცვლად.

საქარხნო შეგირდების სკოლა 87.000 კვალიფიციურ მუშას იძლევა. საქარხნო შეგირდების სკოლამ უკვე მოგვცა რამოდენიმე ათი ათასი კვალიფიციური მუშები, მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება ასი ათასები. ახალგაზრდა გლეხთა 500 სკოლაში სწავლობს 60.000 სოფლის კულტურული მეურნე. ეს რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში.

კომკავშირთა პოლიტსკოლების დიდი ქსელით დაფარულია მთელი საბჭოთა კავშირი. 1924-25 წელში სულ იყო 24.000 კომკავშირთა პოლიტსკოლა. ცხადია, რომ მეტად ძნელია პოლიტგანათლების სისტემის გავრცელება ასე სწრაფი ტემპით.

ბევრი რამ არის გაკეთებული ლენინის მიერ დასახულ ამოცანების შესასრულებლად, მაგრამ კიდევ მეტის გაკეთება მოგვეთხოვება.

ლენინი ასწავლიდა ახალგაზრდობას, რომ მათ ესწავლათ და ეს სწავლა დაეკავშირებინათ ყოველდღიური მუშაობისათვის, ყოველდღიური ბრძოლისათვის.

„მუშაობის, ბრძოლის გარეშე არაფრად ღირს კომუნიზმის შესწავლა კომუნისტურ ბროშიურებიდან და ნაწარმოებებიდან, რადგან ეს განაგრძობდა ძველად არსებულ დაშორებას თეორიისა და პრაქტიკას შორის, იმ ძველ დაშორებას, რომელიც ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ერთი საზიზღარი დამახასიათებელი იყო“ (იქვე).

მივმართოთ ისევ ციფრებს. უკანასკნელ საარჩევნო კამპანიაში (1925-26 წ. წ.) სასოფლო საბჭოებში არჩეულ იქნა 6,2 პროც. კომკავშირელი. 60,000 ახალგაზრდა მუშა და მუშა-ქალი წარმოადგენს ფაბკარხკომების წევრს; ამას უნდა დაემატოს საწარმოო თათბირების მონაწილენი. კოოპერატიულ მუშაკთა მოსამზადებელ კურსებზე კომკავშირმა მოგვცა 45 პროც. მთელი შემადგენლობისა. ეს ციფრები საკმაოდ დამახასიათებელია. შეიძლებოდა მთელი წყება ციფრების მოყვანა, მაგრამ ეს ციფრებიც პირდაპირ გვიჩვენებენ ჩვენ, რომ ლენინის მიერ კომკავშირის წინაშე წაყენებული ამოცანა, უკვე ხორცს ისხამს.

„საჭიროა, რომ ახალგაზრდობის კავშირი აღიზარდოს მცირეწლოვანობიდანვე შეგნებული და დისციპლინიანი შრომით“ (იქვე).

ფართოდ გაშალა კომკავშირმა თავისი მუშაობა პიონერთა შორის. საკავშირო ა. ლ. კ. კ. მე-4 ყრილობისათვის მთელ საბჭოთა კავშირში ითვლება 200 ათასი პიონერი, მე-7 ყრილობისათვის უკვე 586 ათასი. ასეთი არაჩვეულებრივი ზრდის პირობებში აუცილებელია წინააღმდეგობები პიონერთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან და მუშაობის ფორმებთან ერთად. არის სიძნელეები, მაგრამ ჩვენ ვძლევთ მათ და პიონერთა ორგანიზაციები სულ უფრო და უფრო იპყრობენ საბჭოთა ბავშვებს. მესამე თაობა იხარშება საზოგადოებრიობის ქვაბში, ეჩვევა კოლექტივიზმს. და ეს ამოცანა, წამოყენებული ილიჩის მიერ, ხორციელდება კომკავშირის მიერ.

„ახალგაზრდა კომუნისტური კავშირი მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის დანიშნულებას, რომ ის არის ახალგაზრდა კომუნისტური თაობის კავშირი, როცა ის თავისი სწავლის, აღზრდის, განვითარების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ყველა მშრომელთა საერთო ბრძოლაში მონაწილეობას“. (იქვე).

მთელი მუშაობა, რომელსაც კომკავშირი აწარმოებს, გაჟღენთილია ინტერნაციონალიზმის სულით. ინტერნაციონალური აღზრდა მოქცეულია კომკავშირის ყურადღების ცენტრში. წარმოადგენს რა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაც. უძლიერეს სექციას, საკ. ა. ლ. კ. კ. ამდიდრებს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს თავის გამოცდილებით; ხოლო 8 წლის მანძილზე საკავშირო ახკომკავშირმა მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება შეიძინა.

ანდა ავიღოთ კომკავშირის მუშაობა არმიასა და ფლოტში. საბჭოთა ფლოტის უმეტესობას კომკავშირელები შეადგენენ. ახალგაზრდობისაგან შემდგარ არმიის უდიდეს პროცენტს კომკავშირელები შეადგენენ. ამ კადრების საშუალებით პარტია ანხორციელებს მზად ყოფნის და ბრძოლის სულით აღზრდის ამოცანას, ბრძოლის, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად. და აი აქ კომკავშირი წარმოადგენს ამ ამოცანის ერთგულ გამტარებელს, დამაკავშირებელ ღვედს პარტიისა და ახალგაზრდობის ფართო მასებისა, რომელნიც გახვეული არიან რუხ მაზარაში და საზღვაო „კურტკაში“ ბელადის ანდერძი რეალურ საქმედ იქცა.

კომკავშირი მიდის ლენინიზმის კვალით.

მიხ. ჩაუსსკი.

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ადგილობრივ ოპოზიციონერების წინააღმდეგ

(სამტრედია)

ს. კ. პარტიის სამტრედიის რაიონის კომუნისტთა გაერთიანებულმა კრებამ, კომკავშირის აქტივთან ერთად, მოისმინა რა მან მოხსენება ამხ. ი. ურუშაძისა ოპოზიციის მუშაობის შესახებ მაზრაში, სრულიად იწონებს ცკას და სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ ღონისძიებებს მიმართულს მაზრაში მომუშავე ოპოზიციონური ჯგუფის საწინააღმდეგოთ. ამასთან ერთად კრება აღნიშნავს, რომ 14 ოქტომბერს უპარტიო კრებაზე გამოსვლა არალეგალურ მენშევიზმის წარმომადგენლისა იამბნიძის ქალის სახით, რომელიც მოითხოვდა ანტისაბჭოთა პარტიების ლეგალიზაციას, რაიც სრულიად ეთანხმება ოპოზიციონერების მოთხოვნილებას ოსოვსკის სახით, არის შედეგი ოპოზიციის თავისუფლებისა, რომელიც აშკარად ხელს უწყობს ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფების გათამამებას და პარტიის და საბჭოს ხელისუფლების წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლას. ოპოზიციის მოთხოვნა ყრილობის მიერ გადაწყვეტილ საკითხებზე დისკუსიის გახსნის შესახებ გაუგონარი მოვლენაა ლენინის პარტიაში, რაც ძირშივე უნდა იქნას ჩაკლული.

ხონის საერთო პარტკრებაზე სამაზრო კომიტეტის ზოგიერთ წევრების გამოსვლა ოპოზიციის სასარგებლოდ ჩირქს სცხებს ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციას. კრება დარწმუნებულია, რომ ხონის ორგანიზაცია საჭირო პასუხს გასცემს იმ პირთ, რომლებმაც შეცდომაში შეიყვანეს აღნიშნული ორგანიზაცია.

კრება იწონებს ამ ვაჟბატონების მიმართ სამაზრო პარტკომის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ ზომებს და ითვლის მომავალში განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს ხონის ქალაქის ორგანიზაციას, როგორც დაავადებულ ადგილს სამაზრო ორგანიზაციისას.

კრება აღიარებს რა იმას, რომ სამაზრო პარტკომიტეტის შემადგენლობის ნაწილი ეკუთვნის ოპოზიციას, მიზანშეწონილად სთვლის მის გადასარჩევათ სამაზრო პარტ-კონფერენციის მოწვევას.

კრება ერთხელ კიდევ მოითხოვს გათავხედებულ ლიდერებისაგან, რომლებიც შეტევას აწარმოებენ პარტიის წინააღმდეგ, დაემორჩილონ პარტიის უმაღლეს ორგანოების დადგენილებებს და დაშალონ ფრაქციები. წინააღმდეგ შემთხვევაში კატეგორიულად დაისვას საკითხი პარტიიდან გარიცხვის შესახებ.

ძირს ყოველგვარი ოპოზიცია და ფრაქცია!

შორს ჩვენი პარტიის რიგებიდან გამთიშველები!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს პარტიის ბელადს—ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

აფხაზეთის ცაკის მესამე სესია

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აფხაზეთში

ამხ. მარღანიას მოხსენება

სოხუმი, 28 ოქტომბერი. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ამხ. მარღანიამ თავის მოხსენებაში სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შესახებ აღნიშნა, რომ წარსულ წელში დაბეგრილი იყო 58,744 დესეტინა სახნავი მიწა. ამ წელში კი იბეგრება 61.719 დეს. მომატება უდრის 8,8 პროც. წარსულ წელში დაბეგრილი ნათესები უდრიდა 28.644 დესეტინას, წრეულს კი — 27.075 დეს. ასეთი შემცირება აიხსნება იმით, რომ სიმინდი შეცვლილი იქნა თამბაქოთი.

დაბეგრილი ბაღები წარსულ წელში იყო 930. წრეულს კი — 922. ვენახები 2.274 დეს. და 2,450, ბოსტნები — 328 და 577, თამბაქოს პლანტაციები — 3.919 და 7.600. წარსულ წელში დაბეგრილი იყო 45.863 სული სხვილფეხა საქონელი. წრეულს კი— 66.873. ყველა მეურნეობათა საერთო შემოსავალი უდრის 5.601.113 მანეთს.

გადასახადი — 193.144 მანეთს. გადასახადის ამ თანხიდან 80 პროც. მიდის თამბაქოს კულტურაზე. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილ სულთა რაოდენობა, აფხაზეთის მთელი მოსახლეობის 4 პროც. შეადგენს. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს გლეხებმა, სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ლაკობამ, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა ალანიამ და სხვებმა.

თავის საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კანონი პრინციპში სწორია; დეფექტები არის, მაგრამ ისინი გამოსწორებული იქნებიან პრაქტიკაში.

მისასალმებელი დეპეშები

სოხუმი, 28 ოქტომბერი. სესიამ შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშები გაგზავნა:

ამხ. მამია ორახელაშვილს

მოსკოვი: „აფხაზეთის ცაკის მესამე სესია გესალმებათ თქვენ, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელს და დარწმუნებულია, რომ თქვენი და ლენინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის მრავალტომიანი ხალხები მტკიცე და ურყევი ნაბიჯებით აშენებენ სოციალიზმს. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხს. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას“.

ამხ. ორჯონიკიძეს

„აფხაზეთის ცაკის მესამე სესია გესალმებათ ამიერ - კავკასიის რევოლიუციონურ მოძრაობის დამწყებს და ხელმძღვანელს და პირობას სდებს, რომ ლენინის კომუნისტური პარტიის და მისი ბელადების ხელმძღვანელობით დაუღალავათ ვიმუშავებთ ლენინის მოძღვრების განსახორციელებლად, მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ“.

სომხეთის ცაკს

უკანასკნელ დეპეშაში ნათქვამია: „აფხაზეთის მუშები და გლეხები სომხეთის მშრომელ ხალხთან ერთად იზიარებენ მათ თავზე დამტყდარ უბედურებას და გამოსთქვამენ რწმენას, რომ ძმური რესპუბლიკების საერთო ძალ-ღონით შესაძლებელი გახდება სტიქიონის მიერ გამოწვეულ უბედურებათა ლიკვიდაცია და აღდგენილი იქნება სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის ნორმალური მსვლელობა.

ამას გარდა დეპეშები გაეგზავნა: ამხ. კალინინს სოჭში, საქართველოს ცაკს, საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს და ამიერ-კავკასიის ცაკს.

რეზოლიუციები

სოხუმი, 28 ოქტომბერი. სესიის უკანასკნელ სხდომაზე მოხსენებების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები.

აფხაზეთის კონსტიტუციის ცვლილებანი და დამატებანი მიღებულ იქნა ცაკის თავმჯდომარის ამხ. ჩანბას მოხსენების მიხედვით.

სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლაკობას მოხსენებაზე ბიუჯეტის შესახებ მიღებული იქნა რეზოლიუცია, სადაც აფხაზეთის სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი მრეწველობა-მეურნეობის აშკარა ზრდის გამო დამაკმაყოფილებლად არის ცნობილი. რეზოლიუცია აღნიშნავს ბიუჯეტის მნიშვნელოვან გადიდებას სამეურნეო გასავალის გაზრდით ადმინისტრატიული გასავლის ხარჯზე. სესია სასურველად სცნობს, რომ გადიდებულ იქნას ხარჯები განათლების, მიწათ-მოწყობის, სახალხო ჯანმრთელობის საკურორტო საქმის და ინდუსტრიალიზაციის დარგებში. სესია ავალებს აფხაზეთის მთავრობას შუამდგომლობა აღძრას ცენტრის წინაშე რათა გამოთხოვილ იქნას აუცილებელი თანხები რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების მოსაწყობად.

ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის მოხსენების გამო სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შესახებ, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, [illegible] ტანილ იქნას აუცილებელი შესწორებანი და უნდა გამოაშკარავებულ იქნას იჯარით გაცემულ მიწების უმართებულო აღრიცხვა, გლეხურ მეურნეობათა დასაბეგრ ობიექტების დაფარვა და სხვ. აფხაზეთის ცაკის პრეზიდიუმს და სახ. კომისართა საბჭოს დაევალა შუამდგომლობა აღძრას ცენტრის წინაშე, რათა გადასახადის მოკრეფის უკანასკნელი ვადა გაგრძელებულ იქნეს 1927 წლის 1 აპრილამდე,—ე. ი. იმ დრომდე, როდესაც სასოფლო მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია სწარმოებს.

მიწათმოქმედების სახ. კომისარის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ აუცილებლად უნდა განვითარდეს და გაფართოვდეს აფხაზეთის სასოფლო - სამეურნეო სადგურის საცდელი მეცნიერული მუშაობა.

აუცილებლათ საჭიროა სახალხო მამულების ტრესტში გაერთიანებულ იქნას აფხაზეთის ყველა საბჭოთა მეურნეობანი.

ტრესტს ევალება მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ ფართო აგრონომიული დახმარება გაუწიოს სოფლის მოსახლეობას; გააძლიეროს ვეტერინარული დახმარება, აგრეთვე აუცილებელ საჭიროებით იქნას ცნობილი მიწადმომწყობი მუშაობის დაჩქარება და მიწადმომწყობი ტეხნიკოსების შტატის გადიდება 1926-1930 წლებისათვის.

დახმარება მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

100.000 მან. უბინაოთ დარჩენილ რკინისგზელებს

გუშინ, ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში შესდგა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის სხდომა, რომელმაც მოისმინა ამხ. ივანოვის მოხსენება მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ლენინაკანის რაიონის შესახებ.

გამგეობამ დაადგინა გაიცეს 100.000 მანეთი უბინაოთ დარჩენილ რკინისგზელებისათვის ბინების მოსაწყობათ.

ამას გარდა გამგეობამ გადადო 10.000 მანეთი ზოგიერთ დანგრეულ ბინების შესაკეთებლად.

კოოპერაციის ზარალი

ლენინაკანში დაზიანდა სატრანსპორტო კოოპერაციის ცენტრალური მაღაზიის შენობა. ძლიერ დაზიანებულია საწყობის შენობა. ჩამოიგრა უკანა კედელი, რომელმაც დაამტვრია ჭურჭლეულობის პროდუქტები და სასმელები. ხაზზე არაფერი დაზარალებულა მნიშვნელოვნად. ზარალი გამოკვლევა სწარმოებს. მიღებულია ზომები ხაზის მოსამარაგებლად პირველმოთხოვნილების საგნებით და თბილი მანუფაქტურით. გუშინ გაიგზავნა ერთი პარტია თბილი ქურქებისა.

მიწისძვრით დაზარალებულთა დამხმარე კომისიაში

მიწისძვრით დაზარალებულთა დამხმარე კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ჰუსეინოვმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„პირველი რაც უნდა აღინიშნოს—ეს არის მთელი საბჭოთა კავშირის ძმური სოლიდარობა. საქართველოს და აზერბეიჯანის დახმარებაზე მე არაფერს ვიტყვი. ამხ. ხანოიანის კომისია ადასტურებს საქართვ. წითელი ჯვრის, ჯანსახკომის და ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრ. განყ. გმირულ მუშაობას.

ყველაფერი ეს ამტკიცებს ფედერაციის ერთსულოვნობას სახ. სომხეთისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში“.

შემდეგ ამხ. ჰუსეინოვმა აღნიშნა, რომ კომისიის მიერ მიღებულია ზომები საჭირო ხე-ტყის მასალის შესაძენად.

„კომისიამ მიიღო მოსამზადებელი ხასიათის მთელი რიგი გადაწყვეტილებები.

შაბათს ჩვენ ვფიქრობთ სომხეთის საგანგებო სამეულის წევრებთან ერთად გამგზავრებას ლენინაკანში, ადგილობრივ ზოგიერთ საკითხების გადასაწყვეტად“.

სურსათ-სანოვაგე და სამშენებლო მასალები

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში წინადადება მისცა საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ა.-კ. საოლქო კანტორას მის განკარგულებაში დღეს არსებული ყველა კარვების ლენინაკანში გადაგზავნის შესახებ ამხ. ხანოიანის კომისიის განკარგულებაში.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რათა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისიის განკარგულებაში იქნეს გადაცემული აზოვისა და შავი ზღვის ნავთსადგურებში გადმოგზავნილი ხე-ტყის მასალა, რომელიც სატყეო სინდიკატს ეკუთვნის.

ონეგიდან შავ ზღვაში მომავალი ორი გემი დატვირთულია 536.250 კუბ. დახერხილი ხე-ტყის მასალით.

ლითონის სინდიკატს წინადადება მიეცა გადაგზავნოს ლენინაკანში 2 ვაგონი ლურსმანი და საჭირო რაოდენობა ხრახნილებისა, ცულებისა, რანდისა და სხ.

სატყეო სინდიკატის ბაქოს განყოფილებას წინადადება მიეცა გადაგზავნოს ლენინაკანში მთელი ხე-ტყის მასალა.

ამას გარდა წინადადებაა მიცემული სტალინგრადიდან 50 ვაგონი ხე-ტყის მასალის გადაგზავნის შესახებ მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში.

ბაქოდან მიღებულია ცნობა, რომ სტალინგრადიდან ნახიჩევანში გაგზავნილი და სადგ. ბალაჯარზე დაყოვნებული ოთხი ვაგონი დახერხილი ხე-ტყის მასალით გადაგზავნილია ლენინაკანში ამხ. ხანოიანის კომისიის განკარგულებაში.

შინა-ვაჭრობის სახ. კომ. ა.-კ. რწმუნებულის განკარგულებით „ხლებოპროდუკტმა“ და სახ. ბანკმა გადაგზავნეს ლენინაკანში 22 ვაგონი ფქვილი.

შაქრის ტრესტის წარმომადგენელს წინადადება აქვს მიცემული შეუთვალოს ლენინაკანის სააგენტოს კომისიის განკარგულებაში საჭირო შაქრის დაუყონებლივ გადაცემის შესახებ.

ა.-კ. პროფსაბჭოს მოწოდება

ყველა მუშა-მოსამსახურეთ, პროფკავშირების წევრებს და მათ ორგანიზაციებს ამიერ-კავკასიაში

ლენინის ქალაქი—სომხეთის სამრეწველო ცხოვრების ცენტრი—მიწისძვრამ დაანგრია.

ლენინაკანის 7 ათას მუშა-მოსამსახურიდან 90 პროც. დარჩა უსახლკაროდ, ცის ქვეშ, მოედნებზე, ბაღებში და ყოველგვარ გაჭირვებას განიცდიან.

მუშათა ორგანიზაციებს დაენგრათ შრომის სასახლე. მუშათა კლუბები და სხვა შენობები.

საბჭოთა მთავრობის დახმარებას თავის შემოწირულებას საზოგადო ორგანიზაციებიც უერთებენ.

მაგრამ ეს დახმარება საკმარისი როდია; იმდენად დიდია ლენინაკანის რაიონსა და მის მშრომელებზე დატეხილი უბედურება, რომ მათ მწუხარებას მხოლოდ მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობის გამოხმაურება გაჰქარვებს.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო მიმართავს პროფკავშირების ყველა წევრებს და მათ ორგანიზაციებს ამიერ-კავკასიაში მოწოდებით გამოეხმაურონ სომხეთის პროფსაბჭოს და ლენინაკანის სამაზრო პროფბიუროს მოწოდებას დახმარების შესახებ.

პროფორგანიზაციებო! წარმოება-დაწესებულებებში გამართეთ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, გააშუქეთ ამ კრებებზე თავდატეხილი უბედურების სიმძიმე და მოაწყვეთ მატერიალურ შემოწირულებათა შეგროვება ლენინაკანისა და მის ახლო-მახლო სოფლების მშრომელთა სასარგებლოთ!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მუშებისა და მოსამსახურეების ძმურ სოლიდარობას ლენინაკანის მშრომელთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში!

ა.-კ. პროფსაბჭო.

საქართველოს პროფსაბჭოს მოწოდება

საქართველოს პროფკავშირების ყველა წევრებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენს მოძმე სომხეთის ხალხს თავს დაატყდა უბედურება. მიწისძვრამ დაანგრია საუკეთესო ქალაქი ერევნის შემდეგ—ლენინაკანი და მის ირგვლივ მდებარე სოფლების დიდი რაოდენობა. ასიათას კაცამდე, განსაკუთრებით მუშები და ღარიბი გლეხები თავიანთი ოჯახებით ღია ცის ქვეშ დარჩენ უბინაოთ, ულუკმაპუროთ და უმუშევრათ. ამ უბედური ადამიანების გასაჭირი განუზომელია.

საქართველოს მუშები, როგორც ცარიზმთან, დაშნაკიზმთან და მენშევიზმთან ბრძოლის პერიოდში, ისე საკუთარ მუშურ-გლეხურ, საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდშიაც, ყოველთვის სომხეთის მშრომელ ხალხთან ხელიხელ ჩაკიდებული მიდიოდენ. და ეხლაც, როცა სომხეთის ხალხს განსაკუთრებული უბედურება ეწვია, ჩვენი ვალია, საქართველოს პროლეტარიატის ვალია მაქსიმალურად დაეხმაროს მას.

საქართველოს პროფსაბჭო მოუწოდებს საქართველოს ყველა საკავშირო ორგანიზაციებს და პროფკავშირების წევრებს ფართო დახმარება გაუწიონ მიწისძვრისაგან დაზარალებულ სომხეთის მშრომელთ. აუცილებელია, რომ კავშირის თვითეულმა წევრმა შეძლებისდაგვარად გაიღოს თავისი წვლილი დანგრეულ ლენინაკანის და სოფლების სასწრაფოდ აღსადგენად და დაზარალებულ მუშების, მოსამსახურეებისა და ღარიბი გლეხების მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

საქართველოს პროფკავშირთა ყველა წევრებო, დაეხმარეთ სომხეთის მშრომელებს!

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

ამხ. ივანოვის დეპეშა

ა.-კ. რკინის გზ. გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ივანოვმა შემდეგი დეპეშით მიმართა ყველა გზების გამგეობებს:

„22 ოქტომბერს ღამით მიწისძვრამ დაანგრია ქალ. ლენინაკანი და მისი მიდამოები. 1.000-ზე მეტი რკინისგზელის ოჯახი დარჩენილა უბინაოთ—ღია ცის ქვეშ.

დაბეჯითებით გთხოვთ დასვათ გამგეობებში საკითხი დახმარების აღმოსაჩენათ ხე-ტყის მასალებით, რომლის ნაკლებობას აქ აქვს ადგილი“.

გაგზავნილია აგრეთვე შემდეგი დეპეშა გზათა სახალხო კომისარიატის და მის რწმუნებულის ამხ. შ. ელიავას სახელზე:

„22 ოქტომბერს მომხდარმა მიწისძვრამ დააზიანა რკინის გზის რაიონი სად. ჯაჯურიდან სად. აგინამდე. ყველაზე უფრო დაზიანებულია გადასარბენი ლენინაკანიდან—აგინამდე. დანგრეულია არპაჩაისა და ბაიანდურის რკ. გზ. სადგურების შენობები, ყაზარმები, საგუშაგოები და სხ. დაზიანებულია აგინის სადგურის შენობა, წყალსადენის შენობა და წყალსაქაჩავი. მიუხედავათ ამისა წყლის მიწოდება არ შეწყვეტილა. დაზიანებულია სად. ლენინაკანის, ჯაჯურის და აგინის სამგზავრო შენობები. დაზიანდა ძველი ნაშენი შენობები. ზარალი გამოირკვევა ახლო ხანში. აუცილებლად საჭიროა ბინების სასწრაფოთ მოწყობა. დაბეჯითებით გთხოვთ მოგვაწოდოთ დახმარება ხე-ტყის მასალებით, რომელიც ამჟამად არა გვაქვს“.

რკინისგზელების მდგომარეობა ლენინაკანში

გუშინ თბილისში ლენინაკანიდან დაბრუნდა ამ.-კავ. საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **საგაშვილი**, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გადმოსცა შემდეგი: „ლენინაკანის რკინის გზის წარმოებებში მუშაობა არ შეწყვეტილა პროფკავშირის ენერგიულ მუშაობის წყალობით. უბინაოთ დარჩენილია 2.000 რკინისგზელი მთელს სომხეთის ხაზზე. მიღებულია სასწრაფო ზომები ბინის საკითხის მოსაგვარებლად. მოეწყო ადგილობრივ კომისია, რომელიც ანაწილებს ბინებს ვაგონებში.

საგზაო კომიტეტმა გამოყო კომისია დახმარებების შესაკრებად. დაარსდა სპეციალური ფონდი, სადაც შემოდის ა.-კ. სხვადასხვა ნაწილებიდან სათანადო დახმარებები დაზარალებულ რკინისგზელთა სასარგებლოდ. ჯერ-ჯერობით შეგროვილია 10.000 მანეთი. აღიძრა შუამდგომლობა რკინისგზელთა საკავშირო ცენტრ. კომიტეტის წინაშე დახმარების გაცემის შესახებ. ა.-კ. საგზაო კომიტეტმა მიმართა ყველა გზების საგზაო კომიტეტებს მოწოდებით აღმოუჩინონ დახმარება ლენინაკანის რკინისგზელებს.

მორატორიუმი ლენინაკანის მცხოვრებლებისათვის

მოსკოვი, 28 ოქტ. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა: გაუგრძელდეს ფულის გადახდის ვადა 22 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საწარმოო დაწესებულებებს და აგრეთვე კერძო პირებს, რომლებიც იმყოფებიან ქ. ლენინაკანში და ლენინაკანის მაზრაში და დაზარალებული არიან მიწისძვრის გამო.

სომხეთის სახკომსაბჭოს ევალება გამოარკვიოს იმ ტერიტორიის საზღვრები, რომელზედაც ვრცელდება მორატორიუმი და აგრეთვე იმ დაწესებულებათა, წარმოებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა კატეგორიები, რომლებიც მორატორიუმის ძალით ღებულობენ თავიანთ ვალდებულებათა გადახდის ვადის გაგრძელების უფლებას.

საქართველოს ობსერვატორიის ცნობა

კატასტროფიული შორი მიწის ძვრას, რომელიც აღნიშნული იყო, ამ დღეებში საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ, უკანასკნელად მიღებული ცნობით ადგილი ჰქონია კაროლინის კუნძულზე.

აღნიშნული მიწის ძვრა, როგორც სეისმოგრაფები აღნიშნავენ, ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა.

ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლის თავის ჩატარების გეგმა

ცენტრალური კომისია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის თავის კომისიის შემადგენლობა. კომისიის თავმჯდომარედ ამხ. ს. თოდრია, წევრებათ: ამხ. აკ. თათარიშვილი, [illegible], შაჰავარიანი, სიხარულიძე, ხითაროვი, მაშკევიჩი, ჩერქეზიშვილი და სიხარულიძე.

საქ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ მიღებულია ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარების შემდეგი წესრიგი:

ქალაქებში

6 ნოემბერს საღამოთი იმართება ქალაქის საბჭოების გაერთიანებული საზეიმო სხდომები მუშათა, სამხედრო, პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებთან ერთად.

7 ნოემბერს დილით იმართება დემონსტრაციები, მანიფესტაციები, სამხედრო ნაწილების ალლუმები, მოწაფეთა, პიონერთა, ფიზკულტურის წევრთა და კომკავშირელთა დღესასწაული.

საღამოთი მოხსენებები კლუბებში ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ, უფასო წარმოდგენები, კინო და სხვა გასართობი.

სოფლებში

კვირას, **7 ნოემბერს** იმართება სათემო და სასოფლო საბჭოების საზეიმო სხდომები მოხსენებებით, მილოცვებით, სიტყვებით ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო და სამხედრო შეფ-ორგანიზაციების დელეგაციების მონაწილეობით, ეწყობა აგრეთვე სახალხო თამაშობა, ფიზკულტურის წევრთა გამოსვლა, დოლი, ლელო, კავკასიური ჭიდაობა და სხვა.

კომისიები ადგილებზე

აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკაში, აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ეწყობა კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარედ—ცაკის თავმჯდომარე, წევრებად—საოლქო კომიტეტის მდივანი, საagitაციო და ქალთა განყოფილების, კომკავშირის, ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების, განათლების განყოფილების, პოლიტგანათლების, პროფკავშირის და სამხედრო ნაწილების წარმომადგენელნი.

მაზრებში ეწყობა კომისიები შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარედ—სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე, წევრებად: სამაზრო აღმასკომის მდივანი, საagitაციო და ქალთა განყოფილებების, კომკავშირის, ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის, განათლების განყოფილების, პოლიტგანათლების, პროფბიუროს და სამხედრო ნაწილების წარმომადგენელნი.

თემებში ეწყობა კომისიები შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ—თემ-აღმასკომის თავმჯდომარე, წევრებათ: პარტკომის მდივანი, კომკავშირის, ახალგაზრდა პიონერების, პროფბიუროს, მასწავლებელთა, გლეხთა, მიწა-ტყის კავშირის და სამხედრო ნაწილების (თუ არის თემის რაიონში) და დელეგატ ქალთა წარმომადგენელნი.

სახკომსაბჭოში

ს. მ. უ. ს. 1926-27 წ. ხარჯთაღრიცხვა

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობის თანახმად დაარსებული იქნა სპეციალური კომისია ამხ. ე. ალშიბაიას, ი. ფანცხავას, მ. კვარაცხელიას და ბ. ჭიჭინაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ს. მ. უ. საბჭოს 1926-27 წლ. ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯების განხილვა.

მრეწველობის კვალიფიციური მუშა-ხელით უზრუნველყოფა

ს. მ. უ. საბჭოს შუამდგომლობის თანახმად სახკომსაბჭოსთან მოეწყო სპეციალური საუწყებათაშორისო კომისია ამხ. ბ. ჭიჭინაძისა (თავმჯდომარე), ა. მიქაძისა, დ. კანდელაკისა, ძაწინაშვილისა და ყურულაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა დაამუშაოს საქართველოს მრეწველობის კვალიფიციური მუშა-ხელით და ტეხნიკური პერსონალით უზრუნველყოფის საკითხი.

გზების შეკეთება ქუთაისის მაზრაში

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა საგზაო შრომითი ბეგრის წესით შესაკეთებელი გზების სიის დამტკიცების შესახებ საგზაო კომისიის დასკვნის თანახმად.

წინადადება მიეცა ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს შემოიღოს შრომითი ბეგარა ზუგდიდ-სენაკის გზის შესაკეთებლად, რისთვისაც უნდა გამოწვეულ იქნეს იმ თემების მოსახლეობა, რომელნიც აღნიშნული გზის გასწვრივ მდებარეობენ.

კონტროლის ბაზები ვენახების გაშენებისათვის

სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება ამერიკული ვაზის სადედისა, ნამყენი ვაზის სანერგისა და ვენახებისათვის კონტროლის ბაზების შესახებ მიწსახკომის და იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასკვნის თანხმად.

საგადასახადო კომისიის წევრთა სიის დამტკიცება

სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს ფინსახკომთან არსებული სპეციალური საგადასახადო კომისიის წევრთა სია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ბეზორგანიშვილი (თავმჯდომარე) ჩიქოვანი ილია, ლატარია ესტატე, კედროვსკი ბორის, ჯაბელიძე პლატონ, ჩხაიძე ვლადიმერ, ელიავა ზურაბ, ტატიშვილი დ. და ბერაძე იასონ.

მასიური ექსკურსია

ზაჰესში

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მასიურ ექსკურსიაში, რომელსაც აწყობს საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება კვირას, 31 ოქტომბერს, ზაჰესში, მონაწილეობა უნდა მიეღო 3.000 კაცს. მაგრამ გამოირკვა, რომ მსურველთა რიცხვი სამჯერ აღემატება ამ რაოდენობას. ამიტომ კულტგანყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს წინაშე, რათა ექსკურსანტებისათვის გამოყოფილი იქნეს მეოთხე სპეციალური მატარებელი. ამრიგად, ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს ოთხი ათასამდე კაცი.

1922 წლის პირველი შაბათობის შემდეგ, რომელიც მოწყობილი იყო ზაჰესის საძირკვლის ჩასაყრელად, ზაჰესს არ უნახავს მშრომელთა ასეთი დიდი მასა. ეს გასაგებიცაა. ოთხი წელიწადი შენდებოდა ზაჰესი. არ შეიძლებოდა ხელის შეშლა მუშაობისათვის. აქამდი კულტგანყოფილება კმაყოფილდებოდა მხოლოდ ჯგუფური ექსკურსიებით.

მაგრამ ეხლა, როდესაც ზაჰესი უკვე მზათაა, როდესაც რამოდენიმე კვირის შემდეგ ამუშავდება ორი ტურბინა, ზაჰესს შეუძლია მთავარი სტუმრების მიღება.

31 ოქტომბრის ექსკურსია პირველი მასიური ექსკურსიაა ზაჰესში, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ამდენი ხალხი.

უკვე შემუშავებულია ექსკურსიის საბოლოო წესრიგი: ზაჰესში ჩასვლისას ექსკურსანტები მიდიან კლუბში. აქ მოწყობილი იქნება ბუფეტი. ცოტა ხნის შესვენების შემდეგ ზაჰესის უფროსის—ინჟ. ჭიჭინაძის მიერ ექსკურსანტებისათვის წაკითხული იქნება ლექცია შემდეგ თემაზე: „რას მისცემს საქართველოს მშრომელებს ზაჰესი“.

ლექციის შემდეგ დაიწყება მთავარი საგუბარის, სადგურის შენობის და სხვა ხელოვნური ნაშენების დათვალიერება.

სრულ 2 საათზე იწყება სახალხო სეირნობა. სპეციალურ ესტრადაზე გამოდიან სამხატვრო წრეები; მოწყობილი იქნება ფიზკულტურის წრეების ვარჯიშობა და სხვა.

მატარებლები გავა კვირა დილის ყოველ ნახევარ საათში. ექსკურსანტებმა თავი უნდა მოიყარონ სადგურის მოედანზე.

საბჭოთა ნავთი

27 ოქტომბერს თბილისში ყარსიდან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ყარსის საკონსულოს მდივანი ამხ. **ლაზარევიჩი**, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

საბჭოთა კავშირის ნავთის სინდიკატსა და ოსმალეთის სახელმწიფო სანავთო მონოპოლიას შორის დადებულ ხელშეკრულებით, ოსმალეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებისათვის ნავთისა და ბენზინის მიწოდების შესახებ, ყარსში ა.-წ. 25 სექტემბრიდან დაიწყო ნავთისა, ბენზინისა და ნავთის სხვა პროდუქტების მსხვილი პარტიების მიღება.

შავიზღვის რკინის გზა

(საუბარი ინჟ. კაციტაძესთან)

გუშინ თბილისში ჩამოვიდა შავი ზღვის რკინიგზის სამუშაოთა უფროსი ინჟ. კაციტაძე, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს სამუშაოს მდგომარეობის შესახებ გადმოსცა შემდეგი:

„შავი ზღვის რკ. გზის სამხრეთ უბნის ასაგები თანხები არ არის გადიდებული, თუ ამ მიზნით გადაიდო 3,5 მილიონი მანეთი, მაშინ ახლო ხანში აიგება ენგურის რკ. გზის ხიდი—სიგრძით 350 საჟ. და კოდორის რკ. გზ. ხიდი—სიგრძით 300 საჟ. ამ თანხით შესაძლებელი იქნება აგრეთვე დამთავრდეს რკ. გზ. სად. გალამდე და შესრულდება წინასწარი სამუშაოები გზის გასაყვანად სოხუმამდე. ამჟამად მუშაობა სწარმოებს ჯუმარის ხიდზე. აღნიშნული სამუშაო დამთავრდება 1927 წლ. 1-ლ იანვრისათვის.

რაც შეეხება ტვირთ ზიდვას შავი ზღვის რკინის გზაზე რომ იგი თანდათან იზრდება. მთელ გზაზე ყოველდღიურად იგზავნება 20 ვაგონი ტვირთი. კერძოთ, სად. ხეთიდან ყოველდღე იგზავნება 5—6 ვაგონი სხვადასხვა სახის ტვირთი. ტვირთზიდვას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ამჟამად შავი ზღვის რკინიგზას არ ჰყავს მატარებელთა საკმაო შემადგენლობა, როგორც ვაგონები, ისე ორთქლმავლები. მიუხედავათ ამისა შემოსავლის სავსებით ჰფარავს გზის ხარჯებს. ტვირთზიდვის გადიდების ხელს შეუწყობს ხიდის გაყვანა მდინ. ენგურზე“.

თამბაქოს ფაბრიკა

ქუთაისში

26 კომუნარის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა ქუთაისში ამჟამად იმყოფება თამბაქოს ტრესტის უწყებაში. ამ ზაფხულზე ფაბრიკაში მუშაობდა 60 კაცი. აქედან 48 მუშა. თამბაქოს აქვს 5 თამბაქოს სატენი მანქანა სამ აპარატიანი და ერთიც ერთ აპარატიანი საგილზე მანქანები.

ფაბრიკაში მუშაობს 4 დიდი მამოძრავებელი „ოტო დეიცის“ 6 ცხენის ძალიანი და [illegible] „რეკორდი“ 10 ცხენის ძალიანი. [illegible] მუშების შვებულებაში [illegible] მოხდა ფაბრიკის საფუძვლიანი შეკეთება. გასული წლის საწარმოო გეგმის მიხედვით ყოველთვიურათ ფაბრიკა ამზადებდა 5.000.000 ცალზე მეტ პაპიროსს.

ახალი სამეურნეო წლიდან, ე. ი. 1926 წლის ოქტომბრიდან ფაბრიკის ყოველთვიური ნაყოფიერება აყვანილ იქნება 10.000.000 ცალ პაპიროსამდე. ამ მიზნით გადიდებულია მანქანების და მომუშავეების რიცხვი 50 პროცენტით.

ქუთაისის ფაბრიკის ნაწარმოები გადის, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკების ბაზრებზე.

ნედლ მასალად ფაბრიკა ხმარობს დასავლეთ საქართველოში მოყვანილ თამბაქოს, უმთავრესად აფხაზეთ-სამეგრელოს თამბაქოს. ფაბრიკა ნედლი თამბაქოთი ყოველთვის უზრუნველყოფილია სამი-ოთხი თვით.

მუშების სამუშაო ხელფასი 15 მანეთს აღემატება. გარდა ამისა ზეგანაკვეთური მუშაობისათვის ყოველი მუშა ღებულობს ხელფასის 30 პროც.

მიწადმოწყობა

სამხრეთ-ოსეთი

სამხრეთ-ოსეთის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი ამჟამად აწარმოებს დიდ მიწათ-მომწყობ მუშაობას სოფელ ძვილეთში, წონაში, წინალარსა და გდულეთში, სადაც ტეხნიკური კომისია აწარმოებს გლეხების მიწების ტეხნიკურ გაზომვას და ამავე დროს ახდენს განაწილებას მიწებისას ნორმებად,—დაბლობ ადგილებში ყოველ 3—5 სულიან ოჯახზე მოდის 3 დესეტინა; მოურწყველ რაიონში 6 დესეტინა, ხოლო მთა-გორიან ადგილებში 8 დესეტინა. იმ შემთხვევაში, როცა ოჯახის შემადგენლობა 5 კაცს აღემატება, ყოველ ზედმეტ სულზე ოჯახს დამატებით ეძლევა ნორმის ერთი მეათედი.

გორის მაზრა

გორის მაზრაში ამჟამად მიწად-მომწყობი მუშაობა მიმდინარეობს სამს თემში—გორის, მეჯვრისხევის და ქვემოქალის თემებში. მიწადმოსაწყობ მუშაობასთან დაკავშირებით ამ თემებში დაიწყო უმიწო-წყლო გლეხების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლება. სამიწათ-მოწყობო მუშაობის წარმოების დროს ტირიფონის ველზე აღმოჩენილ იქნა მიწის ფონდი, რომლის სივრცე 1.600 დესეტინას უდრის. ამჟამად სწარმოებს ამ ფონდის ნაჭრებად დანაწილება.

სამიწათმოწყობო მუშაობა უკვე დამთავრებულ იქნა შემდეგ სოფლებში: ტანისხიდში, ოთარშენში, თედოწმინდაში, ახალსოფელში და ნაწრებში. სპეციალური კომისია, რომელიც სამი მიწის მზომელისაგან შესდგება, ამჟამად აწარმოებს მიწების კატეგორიებად დაყოფას.გზების დაგეგმვას და სხ.

ტეხნიკუმი კახეთში

მიმდინარე სამოსწავლო წლიდან სიღნაღის მაზრაში არსებობს სამი ტეხნიკუმი სხვადასხვა ტიპისა—პედაგოგიურ-ეკონომიური და სასოფლო-სამეურნეო. თვითეულ ამ ტეხნიკუმთაგანში მიღებულ იქნა ოცდა ხუთი მოწაფე. ტეხნიკუმებში შესვლის მსურველთა რიცხვი ერთიორად მეტი იყო დაწესებულ ნორმაზე.

პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებში მიღებულნი მოწაფეები განთავისუფლებულნი არიან სწავლის ფულისაგან, და აყვანილნი არიან სიღნაღის სამაზრო აღმასკომის უზრუნველყოფაზე.

მიმდინარე სამოსწავლო წლიდან პედაგოგიურ ტეხნიკუმში და აგრეთვე სამრეწველო-ეკონომიურ ტეხნიკუმში გაიხსნა მეორე კურსები, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებში მესამე კურსები. სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის მესამე კურსებზე წელს დაიწყება სპეციალური სწავლების გავლა მევენახეობა-მეღვინეობის დარგებში. ამ მიზნით აქ შენდება სათბური.

საზამთრო სანატორიუმები

თბილისის დამზღვევი სალარო მიმდინარე საზამთრო სეზონში სანატორიუმებში გაგზავნის 240 დაზღვეულ ავადმყოფს. ადგილები აღებულია: ქობულეთში—20 ადგილი, არაზინდოში—50; კისლოვოდსკში—3; იალტაში—3; ამის გარდა განზრახულია 6 ადგილის აღება სოხუმში.

დამზღვევ სალაროს გადაწყვეტილებით გასაგზავნ ავადმყოფთა საერთო რაოდენობიდან 75 პროცენტი იქნება მუშები, 20 პროცენტი მოსამსახურეები და 5 პროცენტი პენსიონერები.

გასაგზავნ ავადმყოფების შერჩევის წესი შეცვლილია: ავადმყოფებს რიგს უნიშნავენ დისპანსერები.

ავადმყოფების პირველი წყება სანატორიუმში გაიგზავნება 16 ნოემბერს.

პროვინციის ბაზარზე

ახალ-სენაკი

გაძლიერდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანა ადგილობრივ ბაზარზე. სიმინდის ცუდი მოსავლის გამო, სიმინდის და სიმინდის ფქვილის ფასები იზრდება, ზრდის ტენდენცია ემჩნევა აგრეთვე ღვინის ფასებსაც.

ბაზარზე ადგილი არ აქვს სამრეწველო საქონლის ნაკლებობას, გარდა კალოშებისა, რომლებიც თუმცა მიღებული იქნა ერთი პარტია, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა.

ადგილობრივი კერძო ვაჭრები ამზადებენ საბჭოთა კავშირის შინაურ ბაზრებზე გასატანად დაფნის ფოთოლს, თხილს, კაკალს და სხვ.

ჭიათურა

ბაზარზე სიწყნარეა. დიდი მოთხოვნილებაა რკინეულობაზე და უცხო შევრიზე.

ადგილობრივმა კოოპერაციამ მიიღო მანუფაქტურის დიდი პარტია, მათ შორის ცოტაა სასეზონო ქსოვილები. ბაზარზე ცოტაა აგრეთვე კალოშები.

დასაკლავი საქონელი საკმაოდ შემოდის. ფასები უცვლელია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მრავლად მოიპოვება ბაზარზე.

ხაშური

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოზიდვა გაძლიერდა. ბაზარზე მრავლად მოიპოვება პური, სიმინდი და ქერი. ფასები დაეცა 10 პროცენტით. იზრდება რძის პროდუქტების ფასები.

ბაზარზე მანუფაქტურის დიდი ნაკლებობაა, თითქმის სრულებით არ იშოვება ჩითი, რომლის ფასი კერძო მაღაზიებში იზრდება.

ფოთი

რთველის გამო სავაჭრო ორგანიზაციების ბრუნვა შემცირდა. მუშკოოპმა მიიღო ბამბეული მანუფაქტურის დიდი პარტია. შემჩნეულია ნარმის, მადეპალამის, ბამბაზიის და მატყლის ქსოვილების ნაკლებობა. მოთხოვნილება მანუფაქტურაზე დიდია, მიწოდება სუსტი.

გაცხოველებულია აგრეთვე ცემენტის და რკინეულობის ბაზარი.

ხორცით ქალაქი უზრუნველყოფილია. იზრდება ყველის ფასები. გაძვირდა თხილი, რომლის ფასი აღწევს 7 მანეთამდე ფუთი.

დახმარება უმუშევარ სტუდენტებს

საქართველოს პროფსაბჭოში მრავალი შეკითხვები შედის ადგილებიდან იმის შესახებ, თუ როგორი დახმარება უნდა გაეწიოს სტუდენტებს უმუშევართა ფონდიდან.

პროფსაბჭომ განუმარტა ადგილებს, რომ სტუდენტებს, რომლებიც უმუშევრად დარჩენ სამუშაოდან დათხოვნის გამო, დახმარება უნდა მიეცეს უმუშევართა ფონდიდან საერთო წესით.

სტუდენტებს, რომლებიც თვითონ მიატოვებენ სამუშაოს, დახმარება უმუშევართა ფონდიდან არ მიეცემათ.

ამასთანავე ერთი კავშირიდან მეორე კავშირში გადასულ სტუდენტებს, თუ ისინი უმუშევრათ დარჩებიან სამუშაოდან დათხოვნის გამო, დახმარება უნდა მიეცეს იმ კავშირის უმუშევართა ფონდიდან, რომელშიაც ისინი არიან გადარიცხული.

თუ მატერიალური წყაროები საშუალებას იძლევა, კავშირების ცენტრალურ გამგეობებს შეუძლიათ შექმნან მოსწავლეთათვის დახმარების სპეციალური ფონდი, საიდანაც შეიძლება დახმარება გაეწიოს ისეთ სტუდენტებს, რომლებიც უმუშევრად დარჩენ სამუშაოს თავის სურვილისამებრ მიტოვების გამო.

ნაოსნობა მტკვარზე

მექანიკოსმა აგაბალოვმა გამოიგონა საკუთარი კონსტრუქციის მოტორიანი ნავი,მტკვარზე სანაოსნოთ. ნავი უკვე დამზადებულია და შაბათს მოხდება მისი გამოცდა.

ნავის კონსტრუქცია უბრალოა. ბრტყელ ძირიან ნავზე დადგმულია მანქანა, რომელიც ამუშავებს გარედან ორ ბორბალს. ნავი დაუბრკოლებლივ მისცურავს მდინარის მიმდინარეობის წინააღმდეგ. ნავში ეტევა 10 მგზავრი და მცირეოდენი ბარგი.

ამ კონსტრუქციის ნავს შეუძლია სიარული 8 დიუიმ სიღრმის წყალში, 18 ვერსის სისწრაფით საათში.

ეს ნავი პირველია თბილისში და მისი დანიშნულებაა, როგორც მდინარით საქონლის გადატან-გადმოტანა, ისე მსურველ მოქალაქეთა წაყვან-წამოყვანა.

როგორც ნავის კონსტრუქტორმა გადმოგვცა, ეს ნავი სრულიად ახალი სისტემისაა და იგი გამოსადეგია დაბალ მდინარეებში სანაოსნოთ.

კანაფის კულტურა

გურიაში

სასოფლო - სამეურნეო კულტურებს შორის, რომელთაც პირველი ადგილი დაიჭირეს გურიის გლეხობის დამხმარე მეურნეობაში, არის კანაფიც, რომელიც გლეხებში დიდ ინტერესს იწვევს.

დასავლეთ გურიის დაბლობ ადგილებში, რომელნიც მდ. რიონის და სუფსის ნაპირებზე მდებარეობენ, ნიადაგის დიდი სინესტის გამო გამოუსადეგარი არიან მარცვლეული კულტურის დასათესად.

სწორედ ამ მიდამოებში ინსტრუქტორ სპეციალისტების ხელმძღვანელობით მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოხდა კანაფის პირველი საცდელი დათესვა.

რადგან საკრედიტო ამხანაგობებმა გლეხებს თესლი ვეღარ დაურიგეს, ყანების დათესვაც კანაფით ერთდროულად ვერ მოხდა. ამიტომ ალაგ-ალაგ კანაფის ზრდა დამთავრებულია და სიმწიფის პერიოდში იმყოფება. ნაადრევი ნათესი კანაფის სიმაღლე აღწევს 4,5 მეტრს, ხოლო ნაგვიანევი ნათესის 3,5 მეტრს.

კანაფის ნორმალური ზრდა შეაჩერა აგრეთვე ჭარბმა სარეველა მცენარეებმა, რომლისგანაც სამუშაო უცოდინარობის გამო, ყანები თავის დროზე ვერ იქნა გამარგლული.

კანაფის მოსაყვანად გლეხობას მიეცა ავანსები: ერთი დესეტინის დასახნავად და დასათესად 20 მ. ყანების პირველი გამარგვლისათვის ერთეულ დესეტინაზე — 20 მან. მეორე გამარგვლისათვის — 20 მ.

კანაფის დასალბობი ორმოების მოსაწყობად 15-75 მანეთი.

ყოველი ფუთი კანაფის ნედლეულში შესასყიდ პუნქტზე მთავრობა იძლევა 4-5 მანეთს.

თვითეული გლეხი, რომელმაც წელს კანაფი მოიყვანა აიღებს საშუალოდ 150-200 მანეთს.

რკინის გზებზე

10 პროცენტით

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით ა. წ. 1-ლ ნოემბრიდან ა.-კ. რკ. გზაზე ტვირთისა და ბარგის გადაზიდვის ტარიფი გადიდებულია 10 პროცენტით.

მატარებლის გაწყვეტა

გუშინ, ფოილო-სალოღლის შუა, ღამის ორ საათზე გაწყდა მატარებელი № 198. გზაში დარჩა 18 ვაგონი. აღმოჩნდა, რომ კონდუქტორთა ბრიგადას და მთავარ კონდუქტორს სძინებია.

კაზანცევის მუხრუჭების ახალი გამოცდა

თბილისის მთავარი სახელოსნო ამჟამად აწყობს მატარებლის გამომცდელ შემადგენლობას კაზანცევის მუხრუჭებით. მატარებლის მოწყობა სწარმოებს თვით გამომგონის უშუალო ხელმძღვანელობით. ამხ. კაზანცევი ჩამოვიდა თბილისში ერთი კვირის წინად. გამომგონებელს შეაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები თავის გამოგონებაში, რაც უფრო ამარტივებს ავტომატიურ მუხრუჭის მოწყობის საქმეს.

გამოსაცდელი მატარებლის შედგენა დასრულდება ერთი კვირის განმავლობაში, რის შემდეგ იგი გაშვებული იქნება გამოსაცდელად ა.-კ. რკინის გზებზე. მუხრუჭის გამოცდაში გამომგონებლის გარდა მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე სპეციალისტების კომისია.

თბილისის ბირჟაში

ბრუნვა 1925-26 წელში

გასული სამეურნეო წლის განმავლობაში მნიშვნელოვნათ გაიზარდა თბილისის ბირჟის მიერ აღრიცხული ბრუნვა.

1925-26 წელში ბრუნვამ მიაღწია 115.784,2 ათას მანეთს, წინა წელში კი იყო 74.643.3 ათას მანეთი. ამრიგად, გასული წლის განმავლობაში ბრუნვა გაიზარდა 44.4 მილიონ მანეთით ანდა 55.1 პროც.-ით.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელში ბრუნვის ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით რამოდენიმეთ შენელდა (55 პროც. წინააღმდეგ 125 პროც.-სა), რაც უმთავრესად აიხსნება იმით, რომ 1925-26 წელში აღრიცხვაში გატარებული იქნა თითქმის მთელი საბითუმო ბრუნვა, რასაც ადგილი არ ჰქონდა წინა წელში.

ნაწილობრივ ზრდის ტემპის შენელება გასულ წელში უნდა მიეწეროს საერთო ეკონომიურ პირობებს (მრეწველობის აღდგენის პერიოდის დამთავრება. საგარეო ვაჭრობის უფრო ნაკლები ინტენსიური ზრდა და სხვა).

ბრუნვაში გაყიდვის დიდი ნაწილი, როგორც წინეთაც, მოდის სახელმწიფო ორგანოებზე, რომლებიც ასაღებენ უმთავრესად სამრეწველო საქონელს და სასოფლო-სამეურნეო საგნების დიდ ნაწილს.

გასული წლის განმავლობაში სახელმწიფო ორგანოებმა იყიდეს 85,6 მილიონ მანეთის საქონელი ანდა ყველა გაყიდვების 74 პროც. წინა წელში კი სახელმწიფო ორგანოების ხვედრითი წონა უდრიდა 76,2 პროც., ე. ი. ვაჭრობა გაიზარდა 28,5 მილ. მანეთით, ან და 49,8 პროც.-ით.

გაყიდვაში მეორე ადგილი უჭირავს კოოპერაციას, რომელზედაც მოდის 13,7 მილ. მანეთი, ანდა 11,9 პროც.. კოოპერაციის მონაწილეობა გაყიდვაში გაიზრდა, რაც აიხსნება კოოპერაციის მიერ ნედლეულობის ბაზრის დაპყრობით.

კოოპერაციის შემდეგ გაყიდვაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქციო საზოგადოებებს და კერძო ვაჭრებს, რომელთა მონაწილეობაც აგრეთვე იზრდება.

რაც შეეხება ყიდვას, ეს უკანასკნელი აბსოლუტიურ ციფრებში გაიზარდა კონტრაგენტების ყველა ჯგუფებში, მაგრამ ზრდის ტემპი ყველგან ერთნაირი არ არის.

ყიდვაშიაც პირველი ადგილი უჭირავთ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებზედაც მოდის 54,8 მილ. მანეთი; შემდეგ კოოპერაციას და ბოლოს საქციო საზოგადოებებს და კერძო პირებს.

სახალხო მამულების ტრესტში

კახეთში რთველი უკვე მოთავდა. ყურძნის მოსავალი, სადაც ვენახები სეტყვისაგან არ იყო დაზიანებული საშუალო მოვიდა. მამულში ვენახები კარგათ იყო მოვლილი, ყურძენი საუკეთესო ხარისხის არის კარდანახის მამულში; მამულის მიერ წნორის წყალზე გაშენებული ამერიკული ვაზის სანერგე კარგათ არის მოვლილი. ტრესტის სამმართველო ცდილობს სიღნაღის აღმასკომთან შეთანხმებით სანერგის გარშემო შეიძინოს ფონდის მიწები და გააფართოვოს ამერიკული ვაზის სანერგე. ეს იმიტომ, რომ ფილოქსერა კარდანახის რაიონს თანდათან უახლოვდება და ტრესტი მომზადებული უნდა შეხვდეს ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლას. სახალხო მამულების ტრესტის გამგემ განკარგულება გასცა, რათა კარდანახის მამულში და სანერგეში ზამთარში გლეხებს ასწავლონ დამყნილი ვენახების მოვლა და ხშირათ გამართონ ვაზის მყნობის და წამლობის კურსები. წელს კახეთში მრავლად ჩავიდა ყურძნის კერძო მყიდველები. ტრესტის მმართველობა დარაჯათ უდგა და იცავდა გლეხების ინტერესებს. წელს საზოგადოთ გლეხებმა ყურძენი და ტკბილიც კარგ ფასებში გაყიდეს. ტრესტის მმართველობამ ბლომათ შეიძინა ყურძენი გლეხებისგან.

დასავლეთ საქართველოში ვაჭრების და არგვეთის სახალხო მამულების ტრესტის მმართველმა განკარგულება მოახდინა აგრეთვე გლეხებისგან ყურძნის შეძენის შესახებ. ზესტაფონში კერძო ვაჭრები ბლომათ გამოცხადდნენ, მაგრამ რადგან დაინახეს, რომ იქ ტრესტის გადაწყვეტილი აქვს გლეხებისაგან ყურძნის შეძენა, ვერ გაბედეს ფასების დაწევა.

ყველაზე უფრო დიდ მუშაობას ეწევა ყურძნის გადასამუშავებლათ ვარციხის სახალხო მამული. ტრესტის მმართველობამ ის უზრუნველყო სარდაფის მეურნეობით და სხვა ნივთიერი სახსრით, რომ აქაც რაც შეიძლება ბლომათ გადამუშავდეს გლეხების ყურძენი. კერძო მოვაჭრეები ვეღარ ახერხებენ ფასების დაწევას. ტრესტის მმართველობამ აღუთქვა გლეხებს რომ თუ ვინიცობა გლეხობა კოოპერატიულათ ვერ მოასწრებს შეკავშირებას და სარდაფების მოწყობას, ტრესტი კიდევ მეტად გააფართოვებს მომავალში ყურძნის მიღებას გლეხებისაგან შესაფერის ფასებში.

ქრონიკა

უძველესი ცხოველის ჩონჩხი

ამ დღეებში თბილისში დაბრუნდა შავი ზღვის რკინისგზების სამუშაოთა უფროსი ინჟინერი კაციტაძე, რომელმაც თან ჩამოიტანა უძველესი ცხოველის ჩონჩხი.

ჩონჩხი იპოვნეს მუშებმა გათხრის წარმოების დროს. ჩონჩხი არაჩვეულებრივი სიდიდისაა, რაც ამტკიცებს იმას, რომ იგი უძველეს ხანის ცხოველის უნდა იყოს. ინჟ. კაციტაძემ ჩონჩხი გადასცა საქართველოს მუზეუმს.

თბ. აღმასკომში

◆ **პროლეტარულ ახალგაზრდობისათვის** სხვადასხვა სახის დახმარების გასაწევათ შესდგა მუდმივი კომისია ლ. სუხიშვილის (თავმჯდ.), დ. კანდელაკის, ფანცხავას, ასრიბეკოვის, დარახველიძის, ჯუღელის და მდივანის შემადგენლობით.

◆ **დაზღვევა.** აღმ. დაადგინა გაატაროს იმ პირთა სახელმწიფო დაზღვევა, რომლებიც მაზრაში აწარმოებენ ფულის ოპერაციებს.

◆ **სოფლების სახელები.** აღმასკომის დადგენილებებით, იმ სოფლებს, რომლებსაც ჰქვიათ თვითმპყრობელობის მიერ დარქმეული სახელები, დაერქმევათ რევოლიუციონური სახელები.

◆ **თერაპევტიული ინსტიტუტი** გადაეცა სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტს.

◆ **„ზაკორგსტროი“.** აღმასკომმა შეიძინა „ზაკორგსტროი“-ს 3.000 მანეთის აქციები.

◆ **ელექტროფიკაცია.** ყარაიას თემის დიდი სოფლების საელექტროფიკაციოთ გეგმის შედგენა დაევალა საგეგმო კომისიას.

◆ **ხიდები.** თიონეთის თემში შეკეთებული იქნა ყველა სასოფლო გზები და ხიდები.

◆ **ტეხნიკური საბჭო.** აღმასკომთან დაარსდა ტეხნიკური საბჭო ინჟ. ლეჟავას თავმჯდომარეობით.

აღწერა

◆ **აღწერის ჩამტარებელ კომისიამ** დაამთავრა წინასწარი მზადება აღწერის ჩასატარებლად.

◆ **ასაწერი რაიონები.** ქ. თბილისი დაყოფილია 12 სააღწერო რაიონად, სამილიციო რაიონებთან შეფარდებით.

◆ **აღმწერლები.** აღწერის ჩასატარებლად აღრიცხვაზე აყვანილია 3.000 აღმწერელი. ახალი კანდიდატების მიღება შეწყვეტილია.

◆ **აღწერის ხელმძღვანელობის** გასაადვილებლად ყოველ რაიონში არსდება ცენტრი.

საბინაო მშენებლობა

◆ **კარლ მარქსის სახელობის** საბინაო ამხ-ბას სესხად მიეცა 7 ათასი მანეთი.

◆ **კონკურსი.** საბინაო კავშირი დეკემბერში მოაწყობს კონკურს საუკეთესო ტიპიურ მუშათა სახლის გეგმის შესადგენად.

◆ **სესხი.** მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა საკრედიტო ქსელში შეიტანა ცხინვალის საბინაო-სამშენებლო ამხ-ბა.

◆ **მიზნობრივი გადასახადი.** საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის ცნობით, წელს მიზნობრივ-საბინაო გადასახადი შემოღებული იქნება მსხვილ სამაზრო ქალაქებშიაც.

◆ **საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტი** წელს დაარსებს სამეურნეო დაწესებულებების და ფაბრიკა-ქარხნების საამშენებლო რამდენიმე ამხ-ბას.

◆ **ქალაქის განაპირა უბნებში** აკრძალულია დაუგეგმავ ადგილებზე სახლების აგება.

ჯანსახკომში

◆ **ცენტრალურ სავადმყოფოებს** წინადადება მიეცათ ჩამოსული მძიმე ავადმყოფები მიიღონ პირველ რიგში, სათანადო მოწმობების უქონლობის შემთხვევაშიაც კი.

◆ **ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში** მოეწყო წყალით სამკურნალო.

◆ **ამბულატორული და სტაციონალური** დახმარება გორის მაზრაში გასულ წელს აღმოუჩინა 166.726 ავადმყოფს.

◆ **თვალის მკურნალობა.** წალკის საავადმყოფოსთან გაიხსნა თვალის სამკურნალო.

◆ **კბილის ტეხნიკის** სახელწოდების მისაღებათ გამოცდები დანიშნულია 15 ნოემბრისათვის.

◆ **კბილის კაბინეტების** საჭიროებათა გამოსაკვლევათ ადგილებს გაეგზავნათ ანკეტები.

◆ **ჯანსახკომმა** შორაპანში გადაგზავნა კბილის საექიმო კაბინეტი.

◆ **სულით ავადმყოფთა** სამკურნალოში დამატებით ეწყობა 300 საწოლი.

კრებები და მოხსენებები

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** შაბათს გრ. ჰაჯაანიძე წაიკითხავს მოხსენებას სტენოგრაფიის შესახებ.

სხვადასხვა

◆ **კაკლის დამზადება.** მიმდინარე სეზონში აჭარისტანში დამზადდება 150 ფ. კაკალი.

◆ **კახეთის აბრეშუმის** სხვევ-სართავი ქარხანა გადავიდა საზ-ბა „აბრეშუმი“-ს განკარგულებაში.

◆ **ბამბა.** 20 ოქტ. ა.-კ. მებამბეობის კომიტეტმა შეისყიდა და დაამზადა 8041 ტონა ნედლი ბამბა.

◆ **ახალ სესხზე** კოლექტიური ხელისმოწერის ვადა გაგრძელებულია ნოემბრის პირველ რიცხვამდე.

ხელოვნება

◆ **მომღერალ დოლონაძის** პირველ გამოსვლისათვის დღეს ოპერაში წარმოდგენილი იქნება „აიდა“.

◆ **მომღერალ ქალის ნიჟალსკის** გამოსათხოვარი კონცერტი გაიმართება კვირას რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

◆ **„როზიტა“.** წითელ თეატრის რუსულ დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „როზიტა“.

◆ **ახალგაზრდა მუსიკოსთა საზ-ბის** კონცერტი გაიმართება ხვალ რუსთაველის საკონცერტო დარბაზში.

◆ **ხელოვანთა სასახლეში** ორშაბათს, 1 ნოემბერს გაიმართება საღამო. მონაწილეობენ მსახიობები, მწერლები, მუსიკოსები. საღამოს მართავს ხელოვნების მთავარი კომიტეტი.

შემთხვევები

მძარცველების დაპატიმრება

ჩვენი გაზეთის № 241-ში, მოთავსებული იყო ცნობა ნატანებ-ქობულეთს შორის ნახევრად ჩქარი № 6 მატარებლის გაძარცვის და გადაგდების შესახებ.

როგორც მკითხველებმა იციან მძარცველების შესაპყრობათ მიღებული იქნა სასწრაფო ზომები საგანგებო კომისიის მიერ.

გუშინ საგანგებო კომისიაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ ბოროტგამზრახველნი, რომელთაც ბრალი მიუძღვით ამ საქმეში დაპატიმრებული არიან საგანგებო კომისიის ორგანოების მიერ.

სასამართლო

შავი-ქვის წარმოების სამმართველოს თანამშრომელთა საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა ამხ. სააგოვმა დაასრულა წინასწარი გამოძიება შავი-ქვის წარმოების სამმართველოს თანამშრომელთა საქმეზე.

პასუხისგებაშია მიცემული მოლარე **ლევან წერეთელი** და ბუხჰალტერი **პავლე ხითაროვი.**

წერეთელი და ხითაროვი წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ სახაზინო ფულების მითვისების საქმეში.

გამოძიებით გამოირკვა, რომ წერეთელის მიერ გაფლანგულია 8877 მანეთი, ხოლო ხითაროვის მიერ კი 1000 მანეთი.

ბრალდებულები ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ადგენდნენ ყალბ საბუთებს.

საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

ქალის მოტაცების ცდა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. ხარაბაძის თავმჯდომარეობით თიანეთში გაარჩია **ლუკა, გიორგი, ლაზარე და პავლე სულხანიშვილების, ივანე მოკველაშვილის, ქ. ცალუღელაშვილის, შიოა სუარიშვილის, გიორგი მოკვერაშვილის, იანვარა იარაჯულის და ლევან ფილაურის საქმე.**

ყველა ჩამოთვლილ პირებს ბრალდებოდათ ქეტესა ცალუღელაშვილის ოჯახზე თავდასხმა ქალის მოტაცების მიზნით.

ლუკა სულხანიშვილს შეუყვარდა თავისი თანასოფლელი ქალი ანიკო (ქეტესა ცალუღელაშვილის გერი). აღუთქვა ცოლათ შერთვა. ქალიც დასთანხმდა. საცოლეს დედ-მამამ ცივი უარით გაისტუმრა სულხანიშვილი, მაშინ ბრალდებულმა გადასწყვიტა მოეტაცებია თავისი საცოლე.

ერთ დღეს, ღამით, ლუკა სულხანიშვილი თავის ამხანაგებთან ერთად თავს დაესხა ქეტესა ცალუღელაშვილის ოჯახობას, სადაც ანიკო ცხოვრობდა. სულხანიშვილის საცოლემ მიხვდა, რომ საქმე კარგათ არ იყო და სახლიდან ამ დროს შეუმჩნევლად გაიპარა. ბრალდებულები შევიდენ დაკეტილ ოთახში. ქეტესა ცალუღელაშვილმა მათ წინააღმდეგობა გაუწია. ამ დროს ლევან ფილაურმა მსუბუქათ დასჭრა ცალუღელაშვილი.

სასამართლომ **ლუკა სულხანიშვილს და ლევან ფილაურს** მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, **გიორგი მოკვერაშვილს და კოტია ცალუღელაშვილს** 4 თვით, **გიორგი სულხანიშვილს, იარაჯულს და პავლე სულხანიშვილს** ორ-ორ თვით.

ლევან ფილაური დამნაშავეთ იქნა აგრეთვე ცნობილი ცალუღელაშვილის დაჭრაში, რისთვისაც მიესაჯა მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა ერთი წლით.

დანარჩენი 4 ბრალდებული სასამართლომ გაამართლა.

„წმინდა მამების“ საქმე

დასრულდა წინასწარი გამოძიება წალკის თემის 4 მღვდლის საქმეზე.

„წმინდა მამებს“ ბრალდებათ ანგარების მიზნით გლეხებში ხმის გავრცელება „სასწაულების“ მოხდენის შესახებ. ამნაირი გზით ისინი გლეხებიდან ღებულობდნენ ფულს და „საჩუქრებს“.

მეცნიერება და ტეხნიკა

ტალღისებური რკინისგზა

რკინის-გზის ასეთი სისტემა შემუშავებულია ინგლისში და მისი საშუალებით მიღწეული იქნება უდიდესი ეკონომია სამშენებლო მასალის ხარჯვაში. ამ გზის მთელი თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი რელსები ტალღისებურათ არის აგებული. სადგურიდან გასვლის შემდეგ, მატარებელი სიმძიმის ზეგავლენით თავისით მიექანება დაბლა. აქ საჭირო არ არის მამოძრავებლების მუშაობა. გზის უბნები ისეა შედგენილი, რომ სადგურთან მიახლოების დროს, მატარებელი თავისით ანელებს სვლას (აღმართზე ასვლის გამო). მაშასადამე აქ საჭირო არ არის ძვირათღირებული დასამუხრუჭებელი მოწყობილობა. გამომგონებელი აღნიშნავს, რომ ასეთ რელსებზე მატარებელს, საწვავი მასალის დაუხარჯავათ, საათში შეუძლია 130 კილომეტრის გავლა იმ პირობით, თუ რელსები საკმაოთ წაფერდებლათ იქნება დაგებული. რათა ვაგონები რელსებს არ ასცდეს, გამოგონებულია სპეციალური მოწყობილობა.

მარკონის ახალი გამოგონება

ცდები, რომლებსაც მარკონი აწარმოებდა რადიო-მბეჭდავი მანქანის გამოსაგონებლად, წარმატებით დამთავრდა. მარკონი რადიოთი უკარნახებდა ლონდონიდან ოქსფორდში და რადიო-მბეჭდავი აპარატი განსაცვიფრებელი სისწორით ბეჭდავდა გადმოცემულ ტექსტს. გამოგონების დეტალებს ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ ინახავენ.

ახალი მძლავრი ელექტრო - სადგური ამერიკაში

უკანასკნელ ხანებში არაჩვეულებრივად გაიზარდა წყლის ენერგიით მომქმედ ელექტრო-სადგურების რიცხვი. თუმცა ჰიდრო-ელექტრო-სადგურების მოწყობა დიდ თანხებს მოითხოვს, მაგრამ მათი საშუალებით ისეთ იაფ ენერგიას ვღებულობთ, რომ ეს სადგურები უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ნახშირით, ნავთით ან სხვა საწვავი მასალით მომუშავე სადგურები. ამით აიხსნება ჰიდრო - ელსადგურების მშენებლობის განვითარება მსოფლიოს ყველა კუთხეებში.

დღემდე ყველაზე უდიდეს ჰიდრო-ელექტრო-სადგურს მსოფლიოში წარმოადგენდნენ: მოსლბოლს (შეერთებულ შტატებში), რომელიც იძლევა 260.000 ცხენის ძალის ენერგიას, და ნიაგარის სადგური (იმავე სახელწოდების წყალვარდნილზე), რომელიც იძლეოდა 452.000 ცხენის ძალის ენერგიას.

ამჟამად შეერთებულ შტატებში შეუდგნენ ახალი, კიდევ უფრო მძლავრი ჰიდრო - ელსადგურის აგებას მდ. სოსკვეხანაზე, ქალაქ ფილადელფიის ახლოს. სადგურში დადგმული იქნება თერთმეტი 50.000 ცხენისძალიანი გენერატორი, ასე რომ სადგურის საერთო ძალოვანობა იქნება 550.000 ცხენის ძალის.

ჯებირის მოწყობის გამო, იქმნება წყალსაცავი, რომელიც დაფარავს ქ. კონოვინგოს და იგი გადატანილი უნდა იქნას სხვა ადგილას.

ამ ჰიდრო - სადგურის მოწყობის შემდეგ ამერიკაში იქნება მხოლოდ ერთი, უფრო მეტი ძალოვნობის მქონე ელექტრო - სადგური.—ეს არის ორთქლის ტურბინებით მომუშავე ჩიკაგოს ელექტრო - სადგური, სადაც დადგმული იქნება ათი ტურბო - გენერატორი. თითო 80.000 ცხენის ძალის მქონე. ეს სადგური ახლო ხანში იქნება დამთავრებული.

იურიდიული დახმარება

ოთახის შეკეთების შესახებ

კითხვა

მე ვმუშაობ ცეკავშირის სტამბაში ამკინძავის თანამდებობაზე. ჯამაგირს ვიღებ მე-9 განაკვეთით—67—40 კაპ. პლეხანოვის გამზირზე № 78. მიჭირავს ერთი ოთახი, რომლის მოცულობა უდრის 42 კვად. არშინს. ოთახი ბნელი და ნესტიანია. ქირას ვიხდი დღემდის არსებულ ტარიფის მიხედვით 2—70 კაპ. სახლი ეკუთვნის „საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას № 150“.

ჩემ ოთახს ესაჭიროება შეკეთება, რადგან ბუხარი მორღვეულია და ცეცხლის დანთების დროს ბოლი გამოდის საკვამლე მილიდან ოთახში. კედლები მთლად გამჭვარტლულია და შიგ მყოფთა ცხოვრება შეუძლებელია. ესაჭიროება შეკეთება როგორც ბუხარს, ისე კედლებს, რომლის შეკეთება ჯდება არანაკლებ 40 მანეთისა.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ ვის ანგარიშზე უნდა მოხდეს ასეთ ოთახის შეკეთება, შიგ მცხოვრების თუ „საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობის ანგარიშზე“.

კავშირის წევრი თედო კელაპტრიშვილი.
(წიგნ. № 172281.)

პასუხი

კვამლსადენების და კედლის ფეჩების და ბუხრების შეკეთება ითვლება კაპიტალურ შეკეთებად და ასეთი რემონტი უნდა მოახდინოს სახლის მფლობელმა (საბინაო ამხანაგობამ), თანახმად თბ. ქ. აღმასკომის პრეზიდიუმის 1925 წ. 31 ივლისის დადგენილება № 88-ისა.

როგორ მოვიქცე და ვის მივმართო

კითხვა

მე ვმსახურობ რკინის გზის მე-2-ე შეიარაღებულ რაზმში მსროლელად 1917 წლიდან. ვარ პროფკავშირის წევრი, ჯამაგირს ვიღებ 32 მან. 50 კაპეიკს თვიურად. მქონდა სიღნაღის მაზრაში სოფ. ვეჯინში მამა-პაპეული 600 კვ. საჟენის რაოდენობით სავენახე და სასახლე ადგილი, რომელიც ჩამომართვა ადგილობრივმა მიწის კომისიამ 1924 წელს და სხვას გადასცა.

გთხოვთ განმიმარტოთ კანონიერია თუ არა მიწის კომისიის ასეთი მოქმედება და ვის მივმართო ამის შესახებ.

ნიკო ფურცელაძე.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 66-ისა, თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ ჩამორთმეული მიწის უკან დაბრუნება სასამართლოს წესით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 17/65

ა.-კ. შინა-ვაჭრობის რწმუნებულისა საქართველოში

1926 წ. ოქტომბრის 6.

ნავთეულ პროდუქტებზე ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა. წ. ოქტომბრის 5-ს დადგენილებისა, № 43/99 შესაცვლელად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის 1925 წლის ივლისის 31-ს დადგენილების № 42 მუხ. I ლიტერი „ა“ და „ბ“-სი,—ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ I.

დაწესებული იქნეს ნავთეულ პროდუქტებზე შემდეგი საბითუმო საგასაცემო ფასები საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს „სახელმწიფო სათბობის“ მიერ გაცემის დროს.

ა) ფრანკო-საწყობი თბილისსა და ნავთლუღში:

	სახელმწ. სავაჭრო ორგანიზ. და კოოპერაციისათვის	კერძო პირთათვის
კეროსინი 1 კილოგრ.	7,5 კაპ.	8,24 კ.
ბენზინი 1 კილოგრ.	27,78 კაპ.	27,78 კ.
მანქ. ზეთი 1 კილოგ.	19,05 კაპ.	19,05 კ.
ცილ. ზეთი 1 კილოგ.	25,88 კაპ.	25,88 კ.
მოტ. ნავთი 1 კილოგ.	5,22 კაპ.	5,22 კ.

ბ) ფრანკო-ცისტერნა თბილისის და ნავთლუღის სადგური:

	სახელმწ. სავაჭრო ორგანიზ. და კოოპერაციისათვის	კერძო პირთათვის
ბენზინი 1 კილოგ.	26,31 კ.	26,31 კ.
ცილინ. ზეთი 1 კილ.	24,91 კ.	24,91 კ.
მანქ. ზეთი 1 კილოგ.	18,31 კ.	18,31 კ.
მოტ. ნავთი 1 კილოგ.	5,01 კ.	5,01 კ.

გ) ფრანკო-ცისტერნა ბათომის სადგური:

	სახელმწ. სავაჭრო ორგანიზ. და კოოპერაციისათვის	კერძო პირთათვის
კეროსინი 1 კილოგ.	7,63 კ.	7,75 კ.
ბენზინი 1 კილოგ.	29,61 კ.	29,61 კ.
მანქან. ზეთი 1 კილ.	21,12 კ.	21,12 კ.
ცილ. ზეთი 1 კილოგ.	27,84 კ.	27,84 კ.

დ) ფრანკო-საწყობი ბათომი (აფხაზეთისათვის).

კეროსინი 1 კილოგრ. 7,69 კაპ.

§ 2

დაწესებულ იქნეს შემდეგი საცალო საგასაცემო ფასები ქალ. თბილისში სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, კოოპერაციისათვის და კერძო პირთათვის:

კეროსინი 1 კილოგრ. 9 კაპ.

§ 3.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 4.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 5.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამ.-კავ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მაგიერ—**ბერელაშვილი.**
საქმეთა მმართველი—**აბესაძე.**

დადგენილება

დადგენილება № 18/66

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1926 წ. ოქტომბრის 6.

შაქარზე ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა ა.-წ. ოქტომბრის 5-ს დადგენილებისა № 44/100,—ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს შაქარზე შემდეგი საცალო საგასაცემო ფასები სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, კოოპერაციისათვის და კერძო პირთათვის.

ფასი 1 კილოგრამისა

	ნატეხი შაქ.	ფხვნ. შაქ.
ქალაქ თბილისში	85 კაპ.	68 კაპ.
ქალაქ ბათომში	85 კაპ.	69 კაპ

§ 2.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 3.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 4.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მაგიერ—**ბერელაშვილი.**
საქმეთა მმართველი—**აბესაძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომი წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს 29 ოქტომბერს უჯრედების კრებაზე დასმულ იქნეს ოპოზიციის უკანონობის და განხეთქილების საკითხი.

დანიშნულმა მომხსენებლებმა უნდა ისარგებლონ გაზეთების მასალებით.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, რომელიც ა.-წ. 28 ოქტომბერს გადაიდო, შესდგება 1 ნოემბერს საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ-განმანაწილებელი განყოფილება ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს წინადადებას აძლევს გამოცხადდნენ 29 ოქტომბერს დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირკვიძესთან.

1) ჩხეტიანი, 2) შალვა ნუცუბიძე, 3) დავით რისნაძე, 4) გაბაშვილი, 5) თეოფანე ჯიტნავა, 6) ემილიანე სიხარულიძე, 7) სარქის ოგანოვი, 8) სტეფანე ძალაევი, 9) ზაქარია შაუაშვილი, 10) ბაღდასარ სააკიანი, 11) ანნა მამულია.

— 1 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის შენობაში ჩიტაძის ქუჩა № 6 (ყოფ. ერმოლოვის) გაიხსნება ადმინისტრატიული ტეხნიკის და მოანგარიშეობის კურსები, რომელიც ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის უწყებაში იმყოფება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს, რომლებიც მე-3-ე რაიონის საბინაო ამხანაგობის სახლებში ცხოვრობენ, რაიკომში გამოცხადდნენ შაბათს, 30 ოქტომბერს სრულ 5 საათზე.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპი წინადადებას აძლევს სახ. უნივერ. კომუნისტ-სტუდენტებს (მსწავლებლებს) გამოცხადდნენ ცეკას აგიტპროპში (ოთახი № 10.), ა. წ. 29-30 ოქტომბერს ამხ. მამალაძესთან აღსარიცხავათ.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო აცხადებს ცალკე უჯრედების საყურადღებოთ, რომ ა. წ. 29 ოქტომბერს (პარასკევი), საღამოს 5 საათზე მოწვეულია აღნიშნულ უჯრედთა გაერთიანებული დახურული კრება.

დასწრება სავალდებულოა.

ს.კ.პ. (ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 31 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, გადახდილი იქნება უდროოდ დაკარგულ ამხ.
სონია (ალექსანდრა) ფირცხალაძის
სამოქალაქო პანაშვიდი ქალ. ხონში. ნ. 140

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „კომუნისტზე“ ნოემბრისათვის
პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:
1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპას“ წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის.
10. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ციცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
13. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
14. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
15. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
16. ოჩამჩირი—ვ. სოხელიას განყოფ. გამგეს
17. ხაშ. ბორჯომი—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
18. ბორჯომ-ბაღი—იაშა ტერტეროვთან
„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა
0—1

სახელმწიფო ოპერა
დღეს, ხანდრო დოლონაძის პირველი გამოსვლისათვის
„აიდა“
მონაწილეობენ: გილბერტი, ვოლჩანეცკაია, ქუმსიაშვილი, დოლონაძე, მესნიაევი
შაბათს, 30 ოქტომბ., პირველი აბონემენტის პირველი წარმოდგენა
დაისი
აბონემენტისაგან გადარჩენილი ბილეთები იყიდება. ნ. 142

აპოლო
არპასტო
სოლეი
დღეს და ყოველდღე
მერი პიკფორდი—შედევრში
„აყლაყუდა გიჟია“
პირველად თბილისში ამერიკ. წარმოების ახალი სურათი
„ქორწინების კომედია“
მხატვ. დრამა 7 ნაწ.
მილტონ სილსის და მაბლ სკოტის მონაწილეობით
ანონსი: ამ დღეებში „მთების გული“ მერი პიკფორდის მონაწილეობით.
წარმტაცი სურათი
„რობინ გუდი“
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით. ორი სერია,—10 ნაწილად ერთს საღამოს.
ნ. 1833 0—24

ა.-კ. ს. ფ. ს. რ.
ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან
ცხადდება, რომ 1926 წ. სახელმწიფო მოგებიანი სესხის ობლიგაციების გაყიდვა გამოშვებითი კურსით შეწყვეტილია
მთელ ა.-კ. ს. ფ. ს. რ.-ში ამა წლის 25 ოქტომბრიდან ეს სესხი შესულია ა.-კ. ს. ფ. ს. რ. საქონლის და საფონდო ბირჟების ბრუნვაში.
შენიშვნა: შეღავათიანი ხელმოწერა გამოშვებითი კურსით მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივებისათვის გაგრძელებულია ამა წლის ოქტომბრის ბოლომდე.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრონ-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 54825 —1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—2

ქუთაისში
ექიმი ჩეჩელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, პავლოვის ქუჩა № 9
მიღება დილის 8—12 საათ. საღამოს 6— 8 საათ. 25—2

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ტლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 12

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 6—9 საათამდე. ქალების მიღება 1—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—1

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59, ნ. ლ

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
13—21

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1-

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 348ა 25—1

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საზები? სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის სავადმყოფოს ზემოთა სართულში დილით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდ კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—1
358

ექ. ქ. ტყეშელაშვილი
აბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1 1—25

ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ექიმი
ლ. ა. სარალიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87

დაიკარგა წიგნაკი, თვითმშრომელთა საზოგადოებიდან მოცემული № 1233, ვანო დავითისძე ალთუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 370

დაიკარგა უვადო პასპორტი, და აღრიცხვის ბარათი ალფეს დარახველიძეს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 371

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 502, პროკოფი ივანესძე ცინცაძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 362

დაიკარგა სალექციო წიგნაკი სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული, ელენე ვასილის ასული ხახანაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 368

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 1.000, ლეონტი სუთიძეს სახელზე, ჩ. გ. 367

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 166, და აღრიცხვის ნუსხა № 200 მიხა ბეგლარისძე მიქაიას სახელზე, ჩ. გ. 365

დაიკარგა მატრიკული სამკურნალო ფაკულტეტის სტ. მ. რაზმაძეს სახელზე, ჩ. გ. 366

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 398, რაჟდენ სარდანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 364

დაიკარგა პირადი სამხედრო წიგნაკი (ფ. № 4), გაცემული აჭარისტანის სამხედრო კომისარიატის მიერ ალექსანდრე დიმიტრისძე ერქომაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 363

დაიკარგა ცხენის ნასყიდობის მოწმობა, დავით ელიშაკოვის სახელზე ჩ. გ. ქვ. 369

დაიკარგა საჯავშნო მოწმობა (бронирови. свидетельство) № 9, ნიკოლოზ ივანესძე კვეზერელი-კოპაძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 372

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68